The New ECONOMIST

DOI: doi.org/10.52340/tne

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

N1, 2022, VOL 17, ISSUE 1

Economy is the basis of everything!

ISSN 2667-9752 (ONLINE)
ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N1(64), 2022, Vol. 17, Issue 1.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Professor of Georgian Technical University;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Kutaisi University); NATIA TURNAVA (Minister of Economy and Sustainable Development of Georgia); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of the School of Business, Computing and Social Sciences of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University); MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Sukhumi State University); IVANE JAGODNISHVILI (Professro of Georgian Technical University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE (Ilia State University, Dean of the Faculty Business, Technology and Education); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1 (64), 2022, ტ. 17, გამოც.1

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმფიფო უნივერსიტეტი); სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნავა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ვახტანგ სართანია; ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენგაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; ვასილ ხიზანიშვილი (თელავის უნივერსიტეტი); დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაგოდნიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი); მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2022წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 10 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

SCIENCE

MANANA KHARKHELI, MIKHEIL MAKASARASHVILI
Challenges made by the pandemic in Georgian business and Opportunities to overcome them ---------- 7

TABATADZE LASHA
World economic sanctions, reality, real consequences ---------- 12

DAVID VEKUA, ARCHIL TSERTSVADZE
Some topical issues of risk management in Georgia In the tourism industry ---------- 17

NELI SESADZE, NINELI TEVDORASFVILI, LIA PITIURISHVILI
Education in an era of change ---------- 22

PAATA KUNCHULIA
The Factors Causing the Economic and Financial Crisis in Georgia and the COVID-19 Results ---------- 27

MARIAM GHIRSIASHVILI, ZURAB AZNAURASHVILI
Transparency and efficiency of public financial management ---------- 38

DAVIT GAVARDASHVILI
The Covid-19 Pandemic and the Challenges of Organizational Change ---------- 43

GIA KVASHILAVA
On Some Modern Directions for the Economics Research ---------- 49

KHATUNA BURCHULADZE
"Lazarus" by Nino Darbaiseli ---------- 56

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მეცნიერება

მანანა ხარხელი, მიხეილ მაკასარაშვილი
პანდემიით შექმნილი გამოწვევები საქართველოს ბიზნესში
და მათი დაძლევის შესაძლებლობები ---------- 8

ლაშა ტაბატაძე
მსოფლიო ეკონომიკური სანქციები, რეალობა რეალური შედეგები ---------- 12

დავით ვეკუა, არჩილ ცერცვაძე
რისკების მართვის ზოგიერთი აქტუალური საკითხი
საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში ---------- 18

ნელი სესაძე, ნინელი თევდორაშვილი, ლია პიტიურიშვილი
განათლება ცვლილებების ეპოქაში ---------- 23

პაატა კუნჭულია
საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის
გამომწვევი ფაქტორები და COVID-19-ის შედეგები ---------- 28

მარიამ ღირსიაშვილი, ზურაბ აზნაურაშვილი
საჯარო ფინანსების მართვის გამჭირვალობა და ეფექტიანობა ---------- 38

დავით გავარდაშვილი
Covid-19 პანდემია და ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევები ---- 43

გია კვაშილავა
ეკონომიკის კვლევის ზოგიერთი თანამედროვე მიმართულების შესახებ ---------- 50

ხათუნა ბურჭულაძე
ნინო დარბაისელის „ლაზარე“ ---------- 56

იუბილე

ომარ შუდრა - 80 წლის! ---------- 60

გამოსათხოვარი

ალექსანდრე კვაშილავა - მრავალმხრივი უნარისა და ნიჭის მფლობელი ---------- 62

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

CHALLENGES MADE BY THE PANDEMIC IN GEORGIAN BUSINESS AND OPPORTUNITIES TO OVERCOME THEM

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 03, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.01

Manana Kharkheli
Doctor of Economics
Associate Professor of TSU
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-6776-6324
E-mail: manana.khakheli@tsu.ge

Mikheil Makasarashvili
PhD student,
Invited Teacher at TSU
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-0539-761X
E-mail: makasarashvilimikheil@gmail.com

ABSTRACT

The paper work talks about the great negative impact of the pandemic on Georgian business. If in the period 2013-2019, before the pandemic, business in Georgia was developing significantly, in 2020, after the pandemic, it began to fall. This was especially the case in small businesses, where turnover (98.9%), output (99%), financial performance (99%) and employment (85.4%) decreased compared to 2019. Due to anti-pandemic restrictions, 49,446 jobs were lost in small businesses, with the same number of people joining the already large army of unemployed for an indefinite period.

In such a situation, the unemployed need protection. The author of the article shares the opinion of other scientists that it is time to introduce unemployment insurance in Georgia. He also supports the opinion of other Georgian scientists (V. Papava, V. Charaia, L. Sachaleli and others) that the atypical crisis caused by the pandemic needs special study, that it is time for a new understanding of economic policy, adaptation to a new, pandemic reality. In order to implement the ISO-9001 standard in small businesses, etc.

Keywords: *COVID-19; Atypical crisis; business; Growth rate; Falling rate.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პანდემიით შექმნილი გამოწვევები საქართველოს ბიზნესში და მათი დაძლევის შესაძლებლობები

მანანა ხარხელი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ეკონომიკის და ბიზნესის
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
manana.khakheli@tsu.ge

მიხეილ მაკასარაშვილი,
დოქტორანტი, თსუ ეკონომიკის
და ბიზნესის ფაკულტეტის
მოწვეული პედაგოგი
makasarashvilimikheil@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია იმაზე, თუ რა დიდი იყო პანდემიის უარყოფითი გავლენა საქართველოს ბიზნესზე. თუ 2013-2019 წლების პერიოდში, ე. ი. პანდემიამდე, საქართველოში ბიზნესი მნიშვნელოვნად ვითარდებოდა, 2020 წელს, ანუ პანდემიის შემდეგ დაიწყო მისი დაცემა. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა მცირე ბიზნესში, სადაც 2019 წელთან შედარებით შემცირდა ბრუნვაც (98,9%), პროდუქციის გამოშვებაც (99%), ფინანსური შედეგიც (99%) და დასაქმებაც (85,4%). ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო, მცირე ბიზნესში დაიკარგა 49446 სამუშაო ადგილი, ე. ი. ამდენივე ადამიანი გამოუცნობი ვადით მიემატა უმუშევართა ისედაც დიდ არმიას.

ასეთ ვითარებაში სამუშაო დაკარგულებს დაცვა სჭირდებათ. სტატიის ავტორი იზიარებს სხვა მეცნიერთა აზრს, რომ დადგა დრო საქართველოში შემოღებული იქნას უმუშევართა დაზღვევა. იგი აგრეთვე, მხარს უჭერს სხვა ქართველი მეცნიერების (ვლ. პაპავას, ვ. ჭარაიას, ლ. საჩალელს და სხვები) აზრს იმის შესახებ, რომ პანდემიით გამოწვეულ ატიპიურ კრიზისს სპეციალური შესწავლა სჭირდება, რომ დადგა დრო მოხდეს ეკონომიკური პოლიტიკის ახლებური გააზრება, ახალ, პანდემიურ რეალობაზე მორგების მიზნით კი მცირე ბიზნესში მოხდეს ISO-9001 სტანდარტის იმპლემენტაცია და ა. შ.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19; ატიპიური კრიზისი; ბიზნესი; ზრდის ტემპი; დაცემის ტემპი.*

შესავალი

COVID-19 პანდემიის გავრცელებამ მსოფლიო ეკონომიკა გლობალურ კრიზისში მოაქცია. აკადემიკოსმა ვლ. პაპავამ მას ატიპიური ეკონომიკური კრიზისი უწოდა და სწორედ მისი არატიპიურობის გამო, ეკონომიკურ მეცნიერებას იგი სპეციალური კვლევის საგნად შესთავაზა [Papava, 2020].

COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისი მთელ მსოფლიოს მოედო. მან განსაკუთრებით დიდი ზიანი მოუტანა პატარა ქვეყნების ეკონომიკებს, კერძოდ, ბიზნესს, რადგან პანდემიის წინააღმდეგ შემოღებული შეზღუდვები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე მასშტაბური იყო [Kakaulia & Kapanadze, 2021].

უაღრესად დიდი იყო COVID-19 პანდემიის უარყოფითი გავლენა საქართველოს მთლიან ეკონომიკაზეც. მისი მიზეზით 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტი 6,1%-ით შემცირდა [Mekvabishvili, 2021].

ბიზნესს ეკონომიკის ხერხემალს უწოდებენ. მართლაც, ბიზნესი ეკონომიკური როლის გარდა, რაც მის სტაბილურად განვითარებაში გამოიხატება, ასრულებს სოციალურ ფუნქციასაც. ეს უკანასკნელი მოსახლეობის დასაქმებაში ვლინდება.

ვერ ვიტყვით, რომ COVID-19 პანდემიის დაწყებამდე საქართველოში ბიზნესი მაღალგანვითარებული იყო და ყველა იმ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, რომლებითაც ფასდება ევროპაში ბიზნესი. იყო ნაწილობრივ სუბიექტური და ნაწილობრივ ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ნაკლოვანებები, მაგრამ საქართველო ამ ნაკლოვანებების გამოსწორების გზას ადგა. სწორედ ამ მიზნით იქნა შემოღებული მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი და მათი შეღავათიანი (1%) დაბეგვრა, დაინერგა ბიზნესის დაბეგვრის ესტონური მოდელი და სხვა.

დღეს საქართველოს ბიზნესი უფრო დიდი, შეიძლება ითქვას კატასტროფული გამოწვევების წინაშე დგას. ეს არის COVID-19 პანდემია, რომელსაც კოლოსალური ზარალი მოაქვს. წინამდებარ სტატიაში შევეცდებით წარმოვადგინოთ როგორ შეაფერხა პანდემიამ ბიზნესის განვითარება საქართველოში და რა ზარალი მოუტანა მას.

ძირითადი ტექსტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლების მანძილზე საქართველოში ბიზნესის განვითარება საკმაოდ ჩამორჩენილი იყო. ეს განსაკუთრებით ეხებოდა მცირე და საშუალო ბიზნესს. არადა ეს სწორედ ის სფეროებია, რომელთა განვითარებით დაიწყო ევროპის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის განვითარება და

ცხრილი 1

ბიზნესის განვითარების ტემპები საქართველოში პანდემიამდე და პანდემიის შემდეგ

	პანდემიამდე (2013-2019 წლები)								პანდემიის შემდეგ
	2013 წ. %-ად 2012 წელთან	2014 წ. %-ად 2013 წელთან	2015 წ. %-ად 2014 წელთან	2016 წ. %-ად 2015 წელთან	2017 წ. %-ად 2016 წელთან	2018 წ. %-ად 2017 წელთან	2019 წ. %-ად 2018 წელთან	საშუალო ტემპი 2013-2019 წლებში	2020 წ. %-ად 2019 წელთან
1. რეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვი	106,8	107	105,8	100,7	107,1	106,6	106,1	105,7	104,9
2. ბრუნვა (მლნ ლარი)	105,4	112,9	113,8	112,4	111,9	120,7	125,8	114,7	104,8
3. პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	101,9	110,7	115,0	113,8	111,8	109	114	110,9	97,3
4. ფინანსური შედეგი (მლნ ლარი)	89,0	87,9	66,7	201,2	143	98,7	118,1	86,6	90,5
5. დასაქმებულთა რიცხვი	103	107,4	105,8	106,3	106,2	103,7	103,1	105,1	93

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

მხოლოდ შემდეგ შეიქმნა მსხვილი სტრუქტურები [კურდღელია, 2021]. აღმოსავლეთ ევროპის ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყნებმა თავიდანვე გახსნეს ბიზნესინკუბატორები და იქ უფასოდ, მასიურად მოამზადეს მოსახლეობა ბიზნესის დასაწყებად. საქართველოში ასეთი ბიზნესინკუბატორები დღემდე არ გახსნილა. სწორედ ამიტომ საქართველოში მეწარმეობის განვითარება შეფერხდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ბიზნესის სფეროში ჩატარებული ყველა სამეცნიერო კვლევა ადასტურებდა ამ სფეროში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესში, კარდინალური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას, რათა გაჩენილიყო სამუშაო ადგილები და გაუმჯობესებულიყო მოსახლეობის ცხოვრების დონე. ცნობილია, რომ მცირე და საშუალო საწარმოები 1,5-2,0-ჯერ მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიან მსხვილ საწარმოებთან შედარებით და ამ გზით განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში [თოქმაზიშვილი, 2017].

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს მთავრობაში მოსულმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მეცნიერ-მკვლევარების და აგრეთვე ბიზნესმენთა ეს რეკომენდაციები გაითვალისწინა და ბიზნესის განსავითარებლად მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა: გახსნა სსიპ „მეწარმეობის განვითარების“ სააგენტო, დააფუძნა თანადაფინანსების პროგრამები „აწარმოე საქართველოში“, „შექმენი მომავალი“, „იაფი კრედიტი“, მცირე ბიზნესის სტატუსმიღებულ საწარმოებს 1%-მდე შეუმცირა გადასახადი და ა. შ. ასე რომ, ქართულმა ბიზნესმა 2013 წლიდან განვითარებისკენ სვლა დაიწყო. ეს საბუთდება იმ ინფორმაციით, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს ამ საკითხზე. განსაკუთრებით ზრდა დაეტყო მცირე და საშუალო ბიზნესს (იხ. ცხრილი 1, 2). ეს პროცესი გაგრძელდა პანდემიის დაწყებამდე, რომელიც 2020 წლის 11 მარტს გამოცხადდა და ანტიპანდემიური შეზღუდვებიც 1 აპრილიდან დაიწყო. ამან მთლიანად შეცვალა წინა 2013-2019 წლებში ბიზნესში ჩამოყალიბებული ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ერთობ პოზიტიური ტენდენცია (გარდა მოგების მაჩვენებლისა).

პანდემიის დაწყების შემდეგ, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ 2020 წელს ბიზნესში ბრუნვა მაინც გაზრდილა, მაგრამ ეს მოხდა მსხვილი კომპანიების ხარჯზე, მცირე და საშუალო კომპანიებში კი, ბრუნვა ყველგან შემცირდა სხვა მაჩვენებლებთან ერთად (იხ. ცხრილი 2). მსხვილ ბიზნესშიც ბრუნვა გაეზარდათ არა ყველა პროფილის საწარმოებს, არამედ, ძირითადად, სოფლის მეურნეობის, სამთომოპოვებითი მრეწველობის, მშენებლობის, ხელოვნების და გართობა-დასვენების მსხვილ საწარმოებს.

მართალია, 2020 წლის სტატისტიკური ინფორმაციით მსხვილ საწარმოებს ბრუნვაში 58,3% უკავიათ, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესს მხოლოდ 47,7%, მაგრამ, საქართველოს მოსახლეობის სიღარიბის ფონზე (აბსოლუტური სიღარიბე 21,3%, შეფარდებითი 26,7%) მთავარი მაინც არის მოსახლეობის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი 2

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში

	პანდემიამდე							პანდემიის შემდეგ
	2013 წ. %-ად 2012 წელთან	2014 წ. %-ად 2013 წელთან	2015 წ. %-ად 2014 წელთან	2016 წ. %-ად 2015 წელთან	2017 წ. %-ად 2016 წელთა	2018 წ. %-ად 2017 წელთან	2019 წ. %-ად 2018 წელთან	2020 წ. %-ად 2019 წელთან
ბრუნვა:								
მცირე ბიზნესი	97,1	123	111	421,1	105,6	109,6	109	98,9
საშუალო ბიზნესი	133,2	102	109,4	292,9	118	112	113,6	97,2
პროდუქციის გამოშვება:								
მცირე ბიზნესი	96,8	117,4	110,6	384	113,3	106,5	110,7	99,0
საშუალო ბიზნესი	128,8	111	117,4	293	113,4	114	113,1	100
ფინანსური შედეგი:								
მცირე ბიზნესი	228,3	97,6	123	751,5	83	186	135,6	80,2
საშუალო ბიზნესი	170,4	40	123,9	141,5	371	102,5	93,1	0,2
დასაქმება:								
მცირე ბიზნესი	89	121,2	100,5	181	107,3	100,5	102	85,4
საშუალო ბიზნესი	131,8	93,6	110,8	141,2	102,1	110	95,2	99,6

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

დასაქმება. ამ მაჩვენებლით კი, 2019 წელს ანუ პანდემიამდე მცირე და საშუალო ბიზნესს ერთად ეკავათ მთელი დასაქმების 65% [ბიზნესსექტორი საქართველოში, 2020], 2020 წელს კი დაიკავეს მხოლოდ 62,9% [ბიზნესსექტორი საქართველოში, 2021].

2020 წელს 2019 წელთან შედარებით, ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 52978 კაცით. აქედან საშუალო ბიზნესში იგი შემცირდა 49 კაცით, მცირე ბიზნესში კი 49446 კაცით. მცირე ბიზნესში პანდემიის გამო დასაქმებულთა რაოდენობა არ შემცირებულა მხოლოდ სამთომოპოვებით მრეწველობაში, ხელოვნებაში, გართობა და დასვენების სფეროში, ყველა დანარჩენ მცირე საწარმოებში ანტიპანდემიური შეზღუდვების გამო, დასაქმებულები გაუშვეს სამსახურიდან. ასეთმა ანტიპანდემიურმა ცვლილებებმა ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკასაც და თვით დასაქმებულ მოსახლეობასაც. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მცირე მეწარმეები (მიკრომეწარმეების ჩათვლით). როგორც ცნობილია, თავიანთი ბიზნესით ისინი ვერავითარ დანაზოგს ვერ აკეთებენ და მხოლოდ ოჯახებს არჩენენ. ამ საწარმოთა დახურვით ისინიც მიემატნენ საზოგადოების გაჭირვებული წევრების რიცხვს, რომელთა რაოდენობა ისედაც ცოტა არ იყო საქართველოში, და რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემწეობას იღებენ. ჩვენი აზრით, მცირე მეწარმეთა ამ ფენას მეტი სოციალური დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ, თანაც იმ სიდიდის და იმ ზომის, რომ მან მათ გაზარმაცებას არ შეუწყოს ხელი. დადგა დრო გავიაზროთ მაღალი რანგის ქართველ სპეციალისტთა აზრი, რომ საჭიროა საქართველოში ამოქმედდეს უმუშევართა დაზღვევის სისტემა [კაკულია, 2020]. ამის გარდა, ახლა, როგორც არასდროს, უნდა გააქტიურდნენ სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციები - ასოციაციები, ფონდები, კოოპერატივები - და ფოკუსირდნენ COVID-19 პანდემიის პირობებში მცხოვრებ მოსახლეობის პრობლემებზე [ბოჭოიძე ლ. & ჩინჩალაძე მ., 2020].

COVID-19 პანდემიის მიზეზით გამოწვეულმა შეზღუდვებმა უდაოდ დიდი ზარალი მოუტანა საქართველოს. მეცნიერების მ. კაკულიას და ნ. კაპანაძის გათვლებით ეს დანაკარგი 2020 წელს 4,240 მლრდ ლარს შეადგენდა [Kakulia & Kapanadze, 2021]. COVID-19 პანდემია კი დღესაც გრძელდება. „ჯანმოს“ გათვლებით, პანდემია 2022 წელს დამთავრდება. ეს ვარაუდია მხოლოდ და არც სახელმწიფო მთავრობებს და არც მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ეს ნამდვილად ასე მოხდება. მოსახლეობაც და სახელმწიფო მთავრობებიც მზად უნდა იყონ ყველანაირი სხვა სცენარისთვის. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ

ქვეყნის მთავრობებს როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობის, ისე სოციალური დაცვის უზრუნველყოფის საქმეში [Archvadze, 2021].

ზოგიერთმა ქართველმა მეცნიერმა პარადიგმების გადაფასების, ახალი თამაშის წესების გარკვევის, ახალ რეალობაზე მორგების [ჭარაია, 2020], და მეტიც, ეკონომიკური პოლიტიკის ხელახალი გააზრების აუცილებლობის საკითხიც კი დააყენა [ბენაშვილი, 2020]. მათი ეს შეხედულებები ეხმაურება პროფესორ ვლ. პაპავას შეხედულებას, რომელიც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისშივე აღვნიშნეთ. ახალ რეალობაზე მორგების და შეცვლილ გარემოსთან მცირე ბიზნესის სწრაფი ადაპტირების ერთ-ერთ საშუალებად მეცნიერები ასახელებენ ISO-9001 სტანდარტსაც. ამ სტანდარტის დანერგვისას, კომპანიის მენეჯმენტი ვალდებულებას იღებს შეიმუშაოს და მოახდინოს იმ უნარ-ჩვევების ანალიზი, თუ როგორ უნდა მოერგოს თანამშრომელი ახალ სიტუაციას, როგორ იმუშაოს დისტანციურად ეფექტიანად და უსაფრთხოდ, როგორ იქონიოს კომუნიკაცია თანამშრომლებთან და ა. შ. [საჩალელი ლ. & საჩალელი ნ., 2020]. მეცნიერები ამბობენ იმასაც, რომ ამ სტანდარტების დანერგვა მრავალ სირთულეებთან ასოცირდება. ამის მიუხედავად, ეს სიახლე მხარდაჭერას და იმის გარკვევას საჭიროებს, გამოდგება თუ არა ISO სტანდარტის მოდელი პანდემიის პირობებში ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად და ბიზნესის უწყვეტობის სანდო მექანიზმად. ამას სპეციალური გამოკვლევა სჭირდება.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენი კვლევის შეჯამებით იმ დასკვნას ვაკეთებთ, რომ „COVID-19“-ით გამოწვეულმა პანდემიამ დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ბიზნესზე. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით შემცირდა პროდუქციის გამოშვებაც, ბრუნვაც და დასაქმებაც.

პანდემიამ გამოიწვია ატიპიური კრიზისიც. ჩვენ მხარს ვუჭერთ მაღალი რანგის ქართველ მეცნიერებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საქართველოს მეცნიერებმა დაიწყონ ატიპიური კრიზისის შესწავლა;
- დაინერგოს საქართველოში უმუშევართა დაზღვევა;
- მთავრობის მმართველი პარტიის ეკონომიკურმა გუნდმა მოახდინოს შექმნილ სიტუაციასთან ეკონომიკური პოლიტიკის მორგება;
- მცირე ბიზნესში მოხდეს ISO-9001 სტანდარტის იმპლემენტაცია.

REFERENCES:

1. Papava V. (2020). Citation: On the Atypical Economic Crisis under the COVID-19 Pandemic, Economics and Business Journal, 4, 9-16.

2. Kakulia M. & Capanadze N. (2020). Citation: Impact of Anti-pandemic Restrictions on Economic Growth: Visible and Invisible Loss. Economics and Business Journal, 2, 17-39.

3. Mekvabishvili E. (2021). Citation: Coronomic Crisis Challenges for the and Georgia. Economics and Business Journal, 1, 27-33.

4. Kurdgelia n. (2021). Citation: Impact of the COVID-19 pandemic on the functioning of small and medium-sized businesses in Georgia. The magazine „Economist“ , #2, 148-155. (In Georgian)

5. Tokmazishvili M. (2017). Citation: Supporting the Development of Small and Medium Enterprises (Development of Value Growth), Tbilisi, National Parliamentary Library of Georgia. (In Georgian)

6. Business Sector in Georgia (2020). Citation: Statistical Publication, National Statistics Office of Georgia. 110. (In Georgian)

7. Business Sector in Georgia (2021). Citation: Statistical Publication, National Statistics Office of Georgia. 110. (In Georgian)

8. Kakulia M., (2020). Citation: Lessons from the Economic Crisis for Georgia, The magazine “Economics and Business”, 2, 44-55. (In Georgian)

9. Bochoidze L., Chinchaladze M., (2020). Citation: New tasks for the social economy in the wake of the COVID-19 pandemic crisis. The magazine ”Business-Engineering”, 3-4, 93-95. (In Georgian)

10. Archvadze J. (2021). Citation: Transformation of State Function in the Post-Pandemic Period, The magazine “Economics and Business”, 1, 34-43.

11. Charaia V. (2020). Citation: Coronomics - Danger or Opportunity, The magazine “Economics and Business”, 2, 68-72. (In Georgian)

12. Benashvili G. (2020). Coronomiks - The Necessity of Re-Understanding Economic Policy, The magazine “Economics and Business”, 2, 72-81. (In Georgian)

13. Sachaleli L., Sachaleli N. (2020). Citation: The role of ISO standards in business development in the pandemic period, The magazine ”Business-Engineering”, 3-4, 187-190. (In Georgian)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

WORLD ECONOMIC SANCTIONS, REALITY, REAL CONSEQUENCES

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 15, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.02

Tabatadze Lasha
PhD, Assistant-Professor,
Ilia State University,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-5059-7536
E-mail: lasha.tabatadze@iliauni.edu.ge

ABSTRACT

Economic sanctions are seen as a weapon capable of having a devastating impact on a country. A sanction is a fine imposed by one country on another in order to prevent its aggressive actions or violation of international law. Sanctions are often aimed at damaging the country's economy and the finances of individual citizens. The article examines the role and significance of world economic sanctions, their impact on the world economic order, on the example of the leading countries of the world - (USA, UK, EU, Japan, Australia), analyzes the impact of sanctions on economic growth. Important conclusions and recommendations, economic consequences of sanctions and much more are presented.

Keywords: *World economic sanctions, economic sanctions.*

მსოფლიო ეკონომიკური სანქციები, რეალობა, რეალური შედეგები

ლაშა ტაბატაძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ას.პროფესორი,
ელ.ფოსტა: lasha.tabatadze@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი

ეკონომიკურ სანქციები განიხილება, როგორც იარაღი, რომელსაც შეიძლება დამანგრეველი ეფექტი ჰქონდეს ქვეყნისათვის. სანქცია არის ჯარიმა, რომელსაც ერთი ქვეყანა მეორეს უწესებს, იმისთვის რომ მას შეაწყვეტინოს აგრესიული ქმედებები ან საერთაშორისო სამართლის დარღვევა. სანქციები ხშირად ქვეყნის ეკონომიკაზე, ინდივიდუალური მოქალაქეების ფინანსებზე ზიანის მიყენებას ისახავს მიზნად. სტატიაში განხილულია, მსოფლიო ეკონომიკური სანქციების როლი და მნიშვნელობა, მათი ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგ ზე, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მაგალითზე-(აშშ, ბრიტანეთი, ევროკავშირი, იაპონია, ავსტრალია,), გაანალიზებულია სანქციების ზეგავლენა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე. წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები, სანქციების ზეგავლენის ეკონომიკური შედეგები და სხვა.

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო ეკონომიკური სანქციები, ეკონომიკური სანქციები.*

შესავალი

საერთაშორისო პოლიტიკაში ეკონომიკური სანქციები ყველაზე მნიშვნელოვან და ხშირად გამოყენებად ინსტრუმენტს წარმოადგენს. მათი როლი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კიდევ უფრო გაიზარდა. ეს განსაკუთრებით ეხება XX საუკუნის ბოლო 30 წელიწადს, როდესაც 1971-2000 წლებში დაფიქსირდა ეკონომიკური სანქციების გამოყენების 120 ეპიზოდი, რამაც 1911-2000 წლებში გამოყენებული ამგვარი სანქციების თითქმის 50% შეადგინა. [1] სანქციები შესაძლოა ასევე მოიცავდეს მოგზაურობაზე შეზღუდვებსა და იარაღით ვაჭრობაზე ემბარგოს დაწესებას. სანქციები არის ერთ-ერთი ის უკიდურესი ზომა, რომელიც ქვეყნებს შეუძლიათ ომის მდგომარეობის დაწყებამდე მიიღონ. ეკონომიკური სანქციები შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყნის ყველა მოქალაქისა და ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიმართ (კომპანიები, ფირმები, ბანკები, სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციები და ა.შ.). ისინი ასევე შეიძლება ატარებდნენ სექტორულ ხასიათს, მაგალითად სანქციები - სამხედრო წარმოებაზე, ნავთობის მოპოვებაზე და საბანკო სექტორზე. რიგ შემთხვევებში სანქციებს შეიძლება ჰყავდეს კონკრეტული ადრესატები (ამ შემთხვევაში დგება სპეციალური შავი სიები). ერთ შემთხვევაში, ეს არის მოქმედებები სანქციადადებული ქვეყნის მოქალაქეებისა და ეკონომიკური სუბიექტების მიმართ. მეორე მხრივ, მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს არასანქციადადებული, არამედ სხვა ქვეყნის იმ მოქალაქეების, კომპანიების, ბანკების მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან სანქციების განხორციელებას და სხვა.

ძირითადი ტექსტი

დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა ეკონომიკურ სანქციებს და იგი თანამედროვე, მეტად ეფექტურ იარაღად აქცია. სანქციები შეიძლება შეეხოს (ექსპორტი და იმპორტი) სატრანსპორტო კომუნიკაციებს, სამუშაო ძალის გადაადგილებას, საქონლისა და ფინანსურ ნაკადებს. განსაკუთრებით დამანგრეველი ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა სანქციებმა, როგორიცაა საბანკო ოპერაციების დაბლოკვა კომუნიკაციური სისტემა SWIFT-ის (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) გამოყენებით. იმის მიუხედავად, რომ ის წარმოადგენს კერძო ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციას (მისი დამფუძნებლები არიან სხვადასხვა ქვეყნის ბანკები), რომელიც აკონტროლებს ინფორმაციის გაცვლის უმსხვილეს ბანკთაშორის სისტემას, მასზე ძლიერი გავლენა აქვს აშშ-ს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. მაგალითად, 2012 წელს (ეს სისტემა ფორმალურად ბელგიის იურისდიქციაში იმყოფება) ორგანიზაცია იძულებული გახდა დაებლოკა ირანის მიერ განხორციელებული ყველა საბანკო ოპერაცია. [3] მიმდინარე წლის 10 მარტს, აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა კანონპროექტი რუსეთიდან ენერგეტიკული იმპორტის აკრძალვისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის წევრობის შესაჩერებლად ზომების მიღების შესახებ. თუმცა. თუ, როდის განიხილება კანონპროექტი სენატში, უცნობია. მნიშვნელოვანია ვაშინგტონის გადაწყვეტიულება, რომლითაც ის აწესებს აკრძალვას რუსეთიდან გაზისა და ნავთობის ყველა იმპორტზე. ამავე დროს, უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი სანქციების შედეგები თავად შეერთებულ შტატებსაც დააზარალებს და შესაბამისად მთელ მსოფლიოზე მოახდენს ზეგავლენას, მაგ: ბენზინის ფასები, რომელმაც ისტორიულად მაღალ დონეს მიაღწია, გააგრძელებს ზრდას. ამერიკის საავტომობილო ასოციაციის განცხადებით: „ბენზინის ფასი შეერთებულ შტატებში ზედიზედ მესამე დღეა ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს, საშუალოდ ქვეყანაში ერთი გალონი, რომელიც შეესაბამება AI-92 ბენზინს რუსეთის ფედერაციაში - ახლა 4,31 დოლარზე მეტი ღირს, ეს არის ყველაზე მაღალი ღირებულება ოდესმე დაფიქსირებული". ამავდროულად, აშშ-ში შეინიშნება სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა თებერვლის თვეში, მიმდინარე ინფლაციამ 40 წლის განმავლობაში დადგენილ მაქსიმუმს გადააჭარბა. ამრიგად, ქვეყანაში სამომხმარებლო ფასები თებერვალში წლიური მაჩვენებლით 7,9%-ით გაიზარდა, მას შემდეგ რაც ერთი თვით ადრე 7,5%-ით გაიზარდა. ბოლო 40 წლის განმავლობაში აშშ-ში რეკორდული ინფლაციის მაჩვენებლები რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შესაძლებელია უკავშირდებოდეს.[2] შეერთებულმა შტატებმა აუკრძალა მის ტერიტორიაზე შესვლა რუსეთის 50-ზე მეტ მსხვილ მეწარმეს, ასევე მათ ნათესავებსა და ახლო წრეებს. ჩაიკეტა საჰაერო სივრცეც. აღნიშნულ პოლიტიკას შეუერთდნენ ევროპის წამყვანი ქვეყნებიც: გერმანია, იტალია, შვედეთი, ისლანდია, ნიდერლანდები, დანია, ავსტრია, ირლანდია, ნორვეგია, კანადა, ესპანეტი, ბალტიის ზღვის რეგიონისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. მსოფლიო ეკონომიკური სანქციების ფონზე აქტუალური

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ხდება შეკითხვა: რა ზეგავლენას ახდენს რუსული ნავთობი ამერიკის ეკონომიკაზე? უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ნავთობის უმეტესი ნაწილი მიდის ევროპასა და აზიაში. მაგრამ მთავარი არის ის გარემოება, რომ მსოფლიო სასაქონლო სამყარო ძლიერ ურთიერთდაკავშირებულია და ნავთობის ფასი გლობალური ბაზრის მეშვეობით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ფასებზე. მარტივი ენით რომ ვთქვათ, ის, რაც ხდება ბაზრის ერთ მხარეს, გავლენას ახდენს მეორე მხარეზეც. რეალურ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ რუსეთი ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელია მსოფლიოში. მაგალითად, დეკემბერში რუსეთმა გლობალურ ბაზრებზე გაგზავნა თითქმის 8 მილიონი ბარელი ნავთობი და სხვა ნავთობპროდუქტები, მათ შორის 5 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობი, რომელიც გამოიყენება ბენზინის დასამზადებლად, სხვა პროდუქტებთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ რუსული ნავთობის ძალიან მცირე ნაწილი მიდის შეერთებულ შტატებში - მხოლოდ 90,000 ბარელი ნედლი ნავთობი, 2021 წელს ევროპამ მიიღო რუსეთის ნავთობის ექსპორტის 60%, ხოლო ჩინეთმა - 20%.[4] მაშასადამე, ნავთობი იყიდება და იგზავნება მთელ მსოფლიოში საქონლის გლობალური ბაზრის მეშვეობით, შესაბამისად დაბალი მიწოდება გავლენას ახდენს გლობალურ ფასებზე, რაც არ უნდა მოხდეს, ნებისმიერ დროს. მაგალითად, თუ ევროპა ყიდულობს ნაკლებ რუსულ ნავთობს, მას მოუწევს მისი შეცვლა სხვა ნავთობით - შესაძლოა საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ძლიერი ორგანიზაციიდან. ოპეკის ნავთობზე მოთხოვნის ეს ზრდა გაზრდის ნედლი ნავთობის ფასებს. აღნიშნული გარემოებების ფონზე ჩნდება შეკითხვა, რატომ არ ზრდიან მიწოდებას ნავთობის მომპოვებელი ამერიკული კომპანიები, რათა დაბალანსდეს სანქციებით განპირობებული უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები? რთული სათქმელია, შესაძლებელია ამის ერთ-ერთი მიზეზი იყოს, Covid-19 და მისი დამანგრეველი ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე. ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიები ჯერ კიდევ ვერ გამოსულან იმ მძიმე მდგომარეობიდან, რაც პანდემიის დროს ნავთობზე ფასების ვარდნას მოჰყვა.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და ეკონომიკური სანქციები

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბოლო პერიოდში დაწესებული სანქციები რუსულ ფინანსურ ინსტიტუტებს, რუსულ სუვერენულ ვალსა და ელიტებს შეეხოთ. აშშ-ის მიერ ბანკებისთვის დაწესებული სანქციები ძირითადად რუსეთის მხრიდან მათი სამხედრო დანაყოფების დაფინანსების შესაძლებლობებზე ზიანის მიყენებას ემსახურება. დაწესდა სანქციები რუსული ელიტის წარმომადგენელებზეც. ამ სანქციების მიხედვით, ბანკები და ელიტის წარმომადგენლები აშშ-ის საბანკო სისტემიდან მოიხსნებიან, ამერიკელებთან ვაჭრობა აეკრძალებათ და მათი აქტივები გაიყინება. ამასთან, აშშ-ის სანქციები რუსეთის სუვერენულ ვალსაც შეეხება, რაც ბაიდენის თქმით, იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა და ბიზნესი იზოლირდება დასავლური დაფინანსებისგან. ის ვეღარ მოიზიდავს ფულს დასავლეთიდან და ვეღარ ივაჭრებს თავისი ახალი ვალით აშშ-ის ან ევროპის სავაჭრო ბაზრებზე. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს რუსეთის სხვა დიდ ბანკებისთვის სანქციების დაწესება და მათი გლობალური საფინანსო სისტემიდან გათიშვაც შეუძლია. აშშ-ის სანქციების არსენალში ასევე განიხილება ექსპორტის კონტროლიც, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ზომა და დარტყმა რუსეთის ეკონომიკაზე.

ევროკავშირი

ევროკავშირის დაწესებულ სანქციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გერმანიის მხრიდან გაზსადენი ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის შეჩერებაა. ჩრდილოეთის ნაკადი-2, $11 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტია, რომლის ნახევარსაც რუსული სახელმწიფო კომპანია, გაზპრომი ფლობს. აღსანიშნავია, რომ გაზსადენის მშენებლობა დასრულებულია, თუმცა ამ დრომდე გერმანიის ხელისუფლებისგან რეგულირების სერტიფიკატს ელოდება. Nord Stream-2 (ჩრდილოეთის ნაკადი-2) 1 200-კილომეტრიანი გაზსადენია, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე გადის და რუსეთიდან გერმანიაში ბუნებრივი აირის მიწოდებას ისახავს მიზნად. გაზსადენით გერმანიას რუსეთიდან ყოველწლიურად 55 მილიარდი კუბური მეტრის ბუნებრივი აირი უნდა მიეღო. მისი მშენებლობა 2021 წლის სექტემბერში დასრულდა და ოქტომბერში მილების გაზით შევსებაც დაიწყო. ჩრდილოეთი ნაკადი 2-ს წელიწადში 55 მილიარდი კუბური მეტრის გაზის მიწოდება შეეძლო. საუბარია 15 მილიარდის ღირებულების ბუნებრივ აირზე, რაც გერმანიის ყოველწლიური მოხმარების 50%-ს შეადგენს.[5] გაზპრომის კომპანია ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის ნახევარს ფლობს. გაზსადენის მეორე ნახევარს კი დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, საფრანგეთისა და გერმანიის რამ-

დენიმე კომპანია იყოფს. ახალი გაზსადენი, ფორმალურად, ევროპის მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის გადასახადის შემცირებას ისახავდა მიზნად. ჩრდილოეთის ნაკადი 2 უკრაინასა და ბელარუსში არსებული გაზსადენის ალტერნატიულ პროექტად განიხილებოდა. გაზპრომის თქმით, ჩრდილოეთის ნაკადი 2 უკრაინის მოძველებული გაზსადენის ალტერნატივა იქნებოდა და ევროპას გაზს ტრანზაქციული ხარჯების თავიდან არიდებით უფრო დაბალ ფასად შესთავაზებდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკრაინისთვის, როგორც ტრანზიტული რეგიონისთვის გადასახადის გადახდა აღარ მოუწევდა. ევროკავშირი და აშშ ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის რეალიზაციას ეწინააღმდეგებიან, ვინაიდან ევროპის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება გაიზრდება. ევროპა შიშობს, რომ ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის განხორციელების შემთხვევაში რუსეთი გაზს გეოპოლიტიკურ იარაღად გამოიყენებს, ვინაიდან ევროპა მოხმარებული გაზის უდიდეს ნაწილს იმპორტით იღებს, იმპორტირებული გაზის უდიდესი ნაწილი კი რუსეთიდან იქნება. გარდა ჩამოთვლილი სანქციებისა, ევროკავშირს ასევე შეუძლია კიდევ ერთი, მძლავრი ზომა მიიღოს რუსეთის წინააღმდეგ - გათიშოს ის მსოფლიოს საბანკო საფინანსო სატელეკომუნიკაციო საზოგადოებიდან (SWIFT), რომელსაც ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ. რუსეთის ამ საზოგადოებიდან ამოშლა წევრ ფინანსურ ინსტიტუტებს გაურთულებს რუსეთში ფულადი ტრანზაქციების განხორციელებას. ამ გადაწყვეტილების ამოქმედებას მოჰყვება მოულოდნელი შოკი რუსული კომპანიებისა და უცხოელი მომხმარებლებისთვის - განსაკუთრებით მათთვის, ვინც რუსეთისგან ნავთობსა და გაზს ამერიკულ დოლარებში ყიდულობს. აღსანიშნავია, რომ ეს ზომა ორგანიზაციამ 2012 წელს ირანის წინააღმდეგ გამოიყენა, მას შემდეგ რაც ევროკავშირმა მას ბირთვული იარაღის გამო სანქციები დაუწესა.

დიდი ბრიტანეთი

დიდმა ბრიტანეთმა 5 რუსულ ბანკსა და 3 რუს მილიონერს სანქციები დაუწესა. თემთა პალატაში დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა რუსეთის მიმართ ახალი სანქციები წარადგინა. სანქციები დაუწესდება 5 რუსულ ბანკს - როსია, IS ბანკი, გენერალური ბანკი, პრომსვიაზბანკი და შავი ზღვის ბანკი. Bloomberg-ის ინფორმაციით, მიმდინარე წელს სუპერმდიდარი სანქცინირებულთა ქონება $32 მილიარდით შემცირდა. Bloomberg-ის მილიარდერების ინდექსის მიხედვით, სანქინირებული პირები მიმდინარე წელს ქონების თითქმის მესამედს დაკარგავენ. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლიზ ტრასმა განაცხადა, რომ ბრიტანეთი მზადაა, დამატებითი ზომები მიიღოს, ტრასის თქმით, ისინი ბრიტანეთის ბაზარზე რუსეთის ხელისუფლებასა და კომპანიებს ფინანსურ მოქმედებებზე შეზღუდვებს დაუწესებენ, შეზღუდავენ ექსპორტს და რუსულ ბანკებს გლობალური ეკონომიკიდან კიდევ უფრო გამოთიშავენ.[3]

სხვა ქვეყნები

რუსეთს სანქციები ასევე დაუწესა ავსტრალიამ, იაპონიამ და კანადამ. სანქციების მიხედვით იაპონია შეაჩერებს ვიზების გაცემას და გაუყინავს აქტივებს, ასევე აკრძალავს რუსული ობლიგაციების გამოცემასა და ბრუნვას იაპონიში, ავსტრალიურ ბანკებთან ტრანზაქციები აეკრძალა 5 რუსულ ბანკს, ესენია: რუსეთის სახელმწიფო განვითარების ბანკი, სამხედრო ბანკი Промсвязьбанк, ВЭБ, IS ბანკი, გენერალური ბანკი და შავი ზღვის ბანკი. მოსკოვის ბაზარზე აქციების ფასი ორშაბათს 10%-ით, სამშაბათს კი 1.5%-ით დაეცა, რამაც წელს რუსეთს 20%-იანი დანაკარგი უკვე მოუტანა. რუსული ნავთობის კომპანია Rosneft-ის აქციების ფასი სამშაბათს 7.5%-ით დაეცა. ჯამში მხოლოდ ამ კვირაში, რუსულ აქციების ფასი 25 მილიარდი დოლარის ეკვივალენტით შემცირდა. მოსალოდნელია, რომ დაძაბულობის ფონზე რუსული აქციების ბაზარზე ფასები კიდევ უფრო დაიკლებს. Capital Economics-ის ანალიტიკოსების ინფორმაციით ყველაზე ხშირად გამოყენებული სანქციების დაწესებით რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი შესაძლოა 1%-ით შემცირდეს, თუმცა უფრო აგრესიული ზომების მიღების შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა რუსეთის დაბლოკვა SWIFT-დან, მოსალოდნელია, რომ რუსეთის ეკონომიკური წარმოება 5%-ით შემცირდება.

დასკვნა

რა გავლენას იქონიებს სანქციები მსოფლიოს ქვეყნებზე? დღეს როდესაც მსოფლიო არჩევანს აკეთებს ღია ეკონომიკაზე, ბუნებრივია ნებისმიერი სანქცია - შეზღუდვა ავტომატურად ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს მსოფლიოს დანარჩენს ქვეყნებზეც.

• ევროკავშირის მწარმოებელთა საკვების ემბარგომ უზარმაზარი შესაძლებლობები გაუჩინა რუს ფერმერებს;

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

• ბევრ სეგმენტში, ბაზრის ნიშები გახდა ვაკანტური, ან თუნდაც გაცილებით ნაკლებად გაჯერებულია, თუმცა რუსეთიდან სოფლის მეურნეობის მწარმოებლები ჯერ კიდევ არ არიან მზად წარმოების მოცულობის მკვეთრი ზრდისთვის და ამ შემთხვევაში შესაძლებელია ორი სცენარი: ნიშების შევსება იმ ქვეყნების მომწოდებლების ხარჯზე, რომლებიც ემბარგოს ქვეშ არ მოექცნენ, ან, რომელიც ნაკლებად სასურველია ეკონომიკისთვის RF, საქონლის მატერიალური დეფიციტის გაჩენა. შედეგად, კი ისევ ფასების ზრდა;

• ეკონომიკური ზიანის მიყენება, რომელიმე სავაჭრო პარტნიორისათვის, ღია ეკონომიკის პირობებში, აზარალებს ეკონომიკურ გარიგებაში მყოფ ყველა წევრს;

• არსებული ეკონოიკური ტენდენციების გათვალისწინებით, მსოფლიო ეკონომიკური სანქციეები რუსეთის ეკონომიკის მინიმუმ 5-10%-ით ვარდნას, ხოლო ექსპორტის 30-50%-ით შემცირებას გამოიწვევს, ასევე დეპოზიტებისა და სხვა სავალუტო სახსრების მნიშვნელოვან გადინებას და გაცვლითი კურსის მნიშვნელოვან გაუფასურებას შეუწყობს ხელს.

REFERENCES:

1.https://www.worldbank.org, Report - 2021, Last checked 14 March, 2022;
2.https://www.ebrd.com, Report - 2021, Last checked 14 March, 2022;
3.https://www.wto.org, Report - 2021, Last checked 14 March, 2022;
4.https://www.europarl.europa.eu, Report - 2021, Last checked 14 March, 2022;
5.https://eeas.europa.eu, Report - 2021, Last checked 14 March, 2022;
6. https://www.nytimes.com, Articles and Report, 2021, Last checked 14 March, 2022.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

SOME TOPICAL ISSUES OF RISK MANAGEMENT IN GEORGIA IN THE TOURISM INDUSTRY

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 14, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.03

David Vekua
Associate Professor of Guram Tavartkiladze
Tbilisi Teaching University,
Doctor of Economics,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-3933-7746
E - mail: David.vekua@yahoo.com

Archil Tsertsvadze
Professor of Georgian
Technical University,
Doctor of Economics,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-4588-640X
E - mail: atsertsvadze@yahoo.com

ABSTRACT

The essay discusses some current issues of risk management in the Georgian tourism industry. There are proposals which presented to improve the risk management process in this very important sector of the Georgian economy, will help to improve the safe environment and increase investment opportunities.

The paper analyzes the immanent nature of risks in the sector, internal and external risk factors. The main causes of financial risks are studied, namely: lack of working capital and credit, incorrect investment policy, inflation, increased financial liabilities, declining profitability, seasonality of tourism facilities, unqualified staff, the risk of selecting tour operators and others.

There are the statistical indicators of the type of travel insurance of Georgian insurance companies for the last three years which are analyzed, namely: number of policies issued, insurance premiums attracted, reinsurance premiums, reimbursed losses and the share of travel insurance in the structure of the insurance market.

Risk insurance is considered as an effective risk management tool in the Georgian tourism industry.

There is proposed some suggestions for minimizing losses and reducing or neutralizing the probability of risk, namely: diversification of investments, cost limitation, efficient turnover of working capital, attraction of venture capital, etc.

***Keywords**: Tourism, Risk management, Insurance, Insurance premium, Loss minimization, Venture capital, Insurance market.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რისკების მართვის ზოგიერთი აქტუალური საკითხი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში

დავით ვეკუა,
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ელ.ფოსტა: David.vekua@yahoo.com

არჩილ ცერცვაძე,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი,
ელ.ფოსტა: atsertsvadze@yahoo.com

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული რისკების მართვის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. წარმოდგენილია წინადადებები, რომელიც სრულყოფს საქართველოს ეკონომიკის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში რისკების მართვის პროცესს, ხელს შეუწყობს უსაფრთხო გარემოს გაუმჯობესებას და საინვესტიციო შესაძლებლობების ამაღლებას.

ნაშრომში გაანალიზებულია დარგში არსებული რისკების იმანენტური ბუნება, რისკების შიდა და გარე ფაქტორები. შესწავლილია ფინანსური რისკების წარმოშობის ძირითადი მიზეზები, კერძოდ: საბრუნავი და საკრედიტო საშუალებების უკმარისობა, არასწორი საინვესტიციო პოლიტიკა, ინფლაცია, გაზრდილი ფინანსური ვალდებულებები, მომგებიანობის შემცირება, ტურისტული ობიექტების საქმიანობის სეზონურობა, პერსონალის არაკვალიფიციურობა, ტუროპერატორების შერჩევის რისკი და სხვა.

გაანალიზირებულია საქართველოს სადაზღვევო კომპანიების სამოგზაურო დაზღვევის სახეობის ბოლო სამი წლის სტატისტიკური მაჩვენებლები, კერძოდ: გაფორმებული პოლისების რაოდენობა, მოზიდული სადაზღვევო პრემიები, ანაზღაურებული ზარალები და სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში სამოგზაურო დაზღვევის წილი.

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში რისკების მართვის ეფექტურ ინსტრუმენტად განხილულია რისკების დაზღვევა.

შემოთავაზებულია, ზარალების მინიმიზაციის და რისკის დადგომის ალბათობის შემცირების ან ნეიტრალიზაციის ზოგიერთი წინადადება, კერძოდ: ინვესტიციების დივერსიფიკაცია, ხარჯების ლიმიტირება, საბრუნავი საშუალებების ეფექტური წრებრუნვა, ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა და სხვა.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, რისკების მენეჯმენტი, დაზღვევა, სადაზღვევო პრემია, ზარალების მინიმიზაცია, ვენჩურული კაპიტალი, სადაზღვევო ბაზარი.*

შესავალი

XXI - ე საუკუნის დასაწყისიდან, დღემდე ტურიზმი მსოფლიოში ერთ - ერთი ყველაზე ინტენსიურად და სწრაფად განვითარებადი ბიზნესი გახდა. ეს მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, რომ მსოფლიოში უმეტესწილად ხანგრძლივი პერიოდით დაისადგურა მშვიდობამ, გლობალიზაციის შედეგად, ქვეყნებს შორის გაღრმავდა კონტაქტები, ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფის შედეგად გაიზარდა ტურისტული მომსახურების დონე. ტურიზმის სფეროში თანამედროვე მარკეტინგული მეთოდების წარმატებით განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ფინანსური სტაბილურობა.

თუმცა დღეს მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმების ფონზე ცვლილებები ტურიზმის ინდუსტრიასაც სჭირდება, ვინაიდან ახალმა გამოწვევებმა (კორონავირუსის ეპიდემიამ, ომმა უკრაინაში და სხვა) გამოკვეთა ტურიზმის ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი უაღრესად სენსიტიური რისკები, რომელთა მინიმიზაციას და ნეიტრალიზაციას ახალი მიდგომები და ადაპტირებული მენეჯმენტი ჭირდება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამაარსებლის და დირექტორის, კლაუს შვაბის აზრით: „დღეს მეწარმეობის არსებული აღქმა უნდა შეიცვალოს, თანამედროვე მომხმარებლებს არა მხოლოდ მეტი საქონლის და მომსახურების ნაკლებ ფასში მიღება სურთ, არამედ ელიან ბიზნესის მხრიდან მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას. გადატვირთვამ ხმის უფლება ყველას უნდა მისცეს, ვინც დღეს უკანა რიგებშია. დღეს არსებული სისტემის საყრდენების ნაწილი უნდა შეიცვალოს, ნაწილი - შესწორდეს. სწორედ ესაა საჭირო საყოველთაო პროგრესისთვის.“ [9]

ტურიზმის ინდუსტრიაში რისკების მართვა არის სამეურნეო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტებისათვის, ტურისტული საწარმოებისათვის, სატრანსტორტო საშუალებებისათვის და ტურისტული ინფრასტ-

რუქტურის სხვა ობიექტებისათვის უსაფრთხო საქმიანობისა და მოგზაურობისათვის საჭირო გარემოს.

რისკები ტურიზმში განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე სამყაროში პოლიტიკური და ბუნებრივი რისკების სპექტრი მნიშვნელოვნად იზრდება, ხოლო ტურისტულ კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ ტურისტულ მომსახურებას არ აქვთ ქმედითი ბერკეტები მათი მინიმიზაციისა და ნეიტრალიზაციისათვის.

ძირითადი ნაწილი

ტურისტულ ინდუსტრიაში რისკები მრავალფეროვანი და სპეციფიურია. რისკებს ექვევდებარება, როგორც ტურისტული სერვისის მომხმარებლები (ტურისტები), ასევე ტურისტული სერვისის მიმწოდებლები (ტურისტული კომპანიები). თუ ტურისტებისთვის რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს გადაადგილებას, კვებას, ჯამრთელობას, ქონებრივ ურთიერთობებს და სხვა, ტურისტული კომპანიებისათვის რისკები ძირითადად ფინანსური ხასიათისაა.

ტურიზმში რისკები, მათი იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება დაჯგუფდეს შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. შიდა ფაქტორები ძირითადად უკავშირდება მენეჯმენტში დაშვებულ შეცდომებს, გათვლების უზუსტობებს და გადაჭარბებულ მოლოდინებს, ხოლო საგარეო ფაქტორები ძირითადად ფორს - მაჟორული ხასიათისაა და უკავშირდება ბუნებრივ ან ექსტრემალურ სიტუაციებს.

პოლიტიკური რისკების მართვა ტურიზმში ხანგრძლივი და გამჭირვალე პროცესია. ვინაიდან ისინი სპონტანურად არ წარმოიქმნებიან და გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მათი პროგნოზირება. ასე მაგალითად პოლიტიკური რისკები შედარებით დაბალია ევროკავშირის ქვეყნებში ვინაიდან აქ სპონტანური გადაწყვეტილებები იშვიათად მიიღება. [5]

მსოფლიოს ეკონომიკისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, რომელიც უკვე 25 წელია მსოფლიოს 185 ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენას სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით აფასებს, საქართველოს მშპ - ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია 9,3 პროცენტი იყო. ამავე ორგანიზაციის პროგნოზის მიხედვით მოსალოდნელია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2028 წლისთვის 10,5 პროცენტამდე გაიზარდოს. იმავე ანგარიშის მიხედვით 145 ქვეყანაში მშპ - ში ტურიზმის წილის მიხედვით საქართველო 91 - ე ადგილს იკავებს. რაც შეეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, თურქეთში ტურიზმისა და მოგზაურობის მთლიანი კონტრიბუცია ქვეყნის ეკონომიკაში 98 მილიარდ დოლარს აღემატება და ამ მაჩვენებლით თურქეთი მსოფლიოში მე - 14 - ე ადგილს იკავებს. აზერბაიჯანი 5,6 მილიარდი დოლარით 81 - ე ადგილზეა, სომხეთი 1,7 მილიარდი დოლარით 126 - ზე, ხოლო უკრაინა 5,5 მილიარდი დოლარით 83 - ზე. [7]

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ბოლო წლების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ტურისტული სერვისების განვითარება და სრულყოფა წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას. ამავე დროს უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ რისკები ტურიზმში ხასიათდება დიდი განფენილობით.

ისევე, როგორც ზოგადად ბიზნესში, ასევე საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაშიც რისკების მართვის ერთ - ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ფინანსურ - სამეურნეო საქმიანობის სფერო. ფინანსური რისკების წარმოშობის ძირითადი მიზეზებია: საბრუნავი და საკრედიტო საშუალებების უკმარისობა, არასწორი საინვესტიციო პოლიტიკა, ინფლაცია, გაზრდილი ფინანსური ვალდებულებები და მომგებიანობის შემცირება. ფინანსური ხასიათის რისკებს ასევე შეიძლება მივაკუთნოთ ტურისტული ობიექტების საქმიანობის სეზონურობა, ტუროპერატორების შერჩევის რისკი და სხვა.

რისკები ტურიზმში გაცილებით მეტია ვიდრე სამეწარმეო საქმიანობის სხვა სფეროებში. ეს განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე სამყაროში პოლიტიკური და ბუნებრივი რისკების გეოგრაფია მნიშვნელოვნად გაზრდილია, ხოლო ტურისტული კომპანიები მომსახურების განხორციელების პროცესში მოკლებული არიან მათი მინიმიზაციის და ნეიტრალიზაციის ქმედით ბერკეტებს.

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია უაღრესად მოწყვლადია იმ შიდა და გარე რისკებთან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, პოლიტიკური არასტაბილურობის, ეპიდემიოლოგიური, ეკოლოგიური თუ სხვა ფორს - მაჟორული გარემოებების გამო. აღნიშნული რისკების რეალიზაციის შედეგად შეიძლება დაზარალდენ არა მარტო ტურისტული ობიექტები, არამედ მოქალაქეები, დამსვენებლები, ტურისტები და ექსკურსანტები.

აგრო ტურიზმს შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა როგორც მოსახლეობისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის. აგრო ტურიზმის ერთ - ერთი სახეობაა ღვინის ტურიზმი, რომელიც გულისხმობს ვენახების მონახულებას, რთველ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ში მონაწილეობას, ღვინის დეგუსტაციასა და მის შეძენას. ჩვენს ქვეყანაში უკვე არიან მეწარმეები ვინც ტურისტებს ამ მიზნით სთავაზობენ სასტუმრო სერვისს და აგროტურისტულ მომსახურებას.

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში რისკების მენეჯმენტის ამაღლების მიზნით, აუცილებელია ეფექტურად გამოვიყენოთ რისკების მართვის ისეთი ინსტრუმენტი როგორაცაა რისკების დაზღვევა. რისკების დაზღვევა მოგვცემს საშუალებას, საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში შევამციროთ რისკის დადგომის შედეგად დამდგარი ფინანსური ზარალების მოცულობა. ამავე დროს მნიშვნელოვანია რისკის დადგომის ალბათობის შემცირებაც, რაც შეიძლება განხორციელდეს რისკის მინიმიზაციის და ნეიტრალიზაციის გზით. მაგალითად: ინვესტიციების დივერსიფიკაცია ანუ მათი განთავსება არა ერთ, არამედ რამდენიმე ტურისტულ საწარმოში, ასევე ძალზედ ეფექტური ღონისძიებაა ხარჯების ლიმიტირება, რაც დაიცავს ტურისტულ ობიექტს გადახარჯვებიდან და მისცემს საშუალებას იქონიოს საჭირო რაოდენობის საბრუნავი საშუალებები.

საქართველოში ტურისტული დაზღვევით ძირითადად იფარება რისკები, რომელიც გამოწვეულია მოგზაურობის დროს მომხდარი უბედური შემთხვევით ან ჯანმრთელობის მდგომარეობის უეცარი გაუარესებით, წინასწარ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში. ძირითად დაფარვასთან ერთად სამოგზაურო დაზღვევა ითვალისწინებს დაზღვეულის რეპატრიაციას მისი გარდაცვალების შემთხვევაში, თავდგმურის მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას, ვადამდე ადრე დაბრუნებას, ბარგის დაკარგვას, რეისის გადადებასთან დაკავშირებული სასტუმროს ხარჯების ანაზღაურებას, დაჯავშნილი ავიაბილეთის გამოყენებაზე უარის თქმას ან დაგემილი მოგზაურობის ჩაშლას მნიშვნელოვანი მიზეზით, ტურისტული სააგენტოს ან ტურისტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული ფინანსური ზიანის ანაზღაურებას. [11]

სამოგზაურო დაზღვევის ანდერაიტინგის პროცესი არის მარტივი და პროდუქტის გაყიდვა უმეტესად ხდება ტურისტული სააგენტოების მიერ. დაზღვევა მოქმედებს მოგზაურობის პერიოდში.

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში რისკების დაზღვევისათვის მნიშვნელოვანია გადაზღვევის მექანიზმის გამოყენება, როდესაც პირველადი მზღვეველი იღებს რისკებს და მის ნაწილს ან მთლიანად (თავისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით) გადასცემს სხვა მზღვეველებს (გადამზღვეველებს) შეთანხმებული პირობებით. რაც მთელ მსოფლიოში წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის პორტფელების მართვის ტრადიციულ და გავრცელებულ მექანიზმს.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის მონაცემებით სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში 2019 წლის განმავლობაში გაფორმებული იყო 583,6 ათასი პოლისი, მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 8,5 მილიონი ლარი, ანაზღაურებულმა ზარალმა 1,1 მილიონი ლარი, სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში სამოგზაურო დაზღვეევას ეკავა 1,36 პროცენტი. 2020 წელს გაფორმებული პოლისების რაოდენობამ შეადგინა 238,3 ათასი, მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 3,9 მილიონი ლარი, ანაზღაურებულმა ზარალმა 603,6 ათასი ლარი, სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში სამოგზაურო დაზღვევის წილი იყო 0,59 პროცენტი. 2021 წლის 9 თვის მონაცემებით გაფორმებული პოლისების რაოდენობამ შეადგინა 212,8 ათასი, მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ 4,2 მილიონი ლარი, ანაზღაურებულმა ზარალმა 209,2 ათასი ლარი, სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში სამოგზაურო დაზღვევას ეკავა 0,70 პროცენტი. [13]

ზემოაღნიშნული სტატისტიკური მაჩვანებლებიდან ჩანს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მიერ სამოგზაურო დაზღვევის სახეობაში გაფორმებული პოლისების რაოდენობა, მოზიდული პრემიები, ანაზღაურებული ზარალები და სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში სამოგზაურო დაზღვევის ხვედრითი წილი შემცირდა, რაც კოვიდ პანდემიის შეზღუდვებით იყო გამოწვეული.

აგრო ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აგროდაზღვევის განვითარებაც. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს სადაზღვევო კომპანიების მიერ 2019 წელს მოზიდულია 9,6 მილიონი ლარი, 2020 წელს 13,4 მილიონი ლარი, 2021 წელს 15,5 მილიონი ლარი. ანაზღარებული ზარალები კი შეადგენს 2019 წელს 8,8 მილიონ ლარს, 2020 წელს 11,7 მილიონ ლარს, 2021 წელს 11,6 მილიონ ლარს. [14]

დასკვნა

ტურისტული რისკების ეფექტური მენეჯმენტის მიზნით აუცილებელია ჩატარდეს რისკების იდენტიფიცირების პროცედურები. სიდენტიფიციკაციო პროცედურების შინაარსი უნდა გამომდინარეობდეს სტატისტიკური და ექსპერტული მონაცემების ანალიზიდან. ამავე დროს ყველა ნეგატიური მოვლენა რომელიც შეიძლება არსებობდეს ან წარმოიქმნას ტურიზმის ინდუსტრიაში არ შეიძ-

ლება მივაკუთნოთ რისკებს, ვინაიდან რისკების კლასიფიკაციას აქვს თავისი შინაარსი, რაც პირველ რიგში მისი შემთხვევეთობიდან გამომდინარე დადგომის ალბათობით ხასიათდება და ფასდება.

ფინანსური რისკების წარმატებით მართვის მიზნით, საჭიროა ფინანსურ მენეჯმენტში დასაქმებული პერსონალი ფლობდეს ფინანსურ რისკების მართვაში სათანოდო ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს. ფინანსური რისკების მართვის სფეროში დაგროვილი გამოცდილება შექმნის შესაძლებლობას ტურიზმის ბიზნესში დროულად მოხდეს წარმოქმნილი ფინანსური რისკების მინიმიზაცია, ნეიტრალიზაცია და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

ტურისტული დაზღვევის, როგორც ზარალების მინიმიზაციის ინსრტუმენტის გამოყენება უნდა მოხდეს როგორც საზღვარგარეთ ისე ქვეყნის შიგნით მოგზაურობისას, რადგან შიდა ტურიზმი ტურისტული პოტენციალის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია და ხელს უწყობს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდას.

ტურისტულ დაზღვევაში რისკის მინიმიზაციის, სადაზღვევო ოპერაციების რენტაბელურობისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს გადაზღვევის მექანიზმი. რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის რეიტინგისთვის და ტურისტული რესურსების მოსაზიდად.

აგრო ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აგროდაზღვევის განვითარებაც. ამ მიზნით საჭიროა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის სრულყოფა სადაზღვევო პრემიის რისკის ადექვატურად განსაზღვრის მიზნით, ფერმერთა ფინანსური ზარალის სრულფასოვნად ანაზღაურებისათვის, თუკი ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი.

ტურისტული დაზღვევის ურთიერთობის სუბიექტებს შორის წარმოშობილი დავების/უთანხმოების შემთხვევაში საჭიროა გამოყენებულ იქნეს მედიაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სადაო საკითხების არასასამართლო გზით ურთიერთშეთანხმებით/მორიგებით დროულად დასრულებას. მედიაციის მექანიზმის გამოყენება ხელს შეუწყობს სადაზღვევო მომსახურებისადმი მომხმარებლის მხრიდან ადექვატური მოთხოვნებისა და მოლოდინის, აგრეთვე მომხმარებელზე ორიენტირებული და გამჭვირვალე მომსახურების ჩამოყალიბებას.

მაღალი რისკების გამო ტურიზმის ინდუსტრია ვენჩურული ინვესტიციებისთვის ხშირად შემაფერხებელი ბარიერი ხდება. ის ნაკლებად განიხილება ვენჩერული კაპიტალის ბაზრის მონაწილედ. თუმცა დღეს ბევრ ტურისტულ საწარმოში შეიძლება ინოვაციური იდეების რეალიზაცია და ამ გზით ტურისტულ ბაზარზე წარმატების მოპოვება. ის საწარმოები სადაც არის კრეატიული გარემო და ინოვაციური მიდგომები შეიძლება გახდეს ვენჩურული დაფინანსების ობიექტი.

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება ტურიზმში არის ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. სრულყოფილი გარემო უზრუნველყოფს საქართველოში ამბიციური ამოცანის წარმატებით რეალიზაციას, რაც გულისხმობს საქართველოს რეგიონალურ საინვესტიციო ჰაბად გადაქცევას.

REFERENCES:

1. Aladashvili M., Tamarashvili T. Safety in Tourism, Tb. 2020;
2. Benidze N., Shonia N., Bitsadze J. Risks and Insurance, Tb. 2010;
3. Lazviashvili N. Risk Management, Tbilisi, 2010;
4. Risk and Crisis Management in Tourism Sector: Recovery from Crisis in the OIC Member Countries - COMCEC COORDINATION OFFICE 2017;
5. Risk management in tourism, https://novainfo.ru/article/1148;
6. Rodoula H. Strategic Marketing in Tourism Services business & Economics, 2012;
7. Share of tourism in the economies of Georgia and the world, https://forbes.ge/turizmis-tsili-saqarthvelo;
8. Shatirishvili J., Kakashvili N. Insurance case, Tb. 2012;
9. Schwab K., Zahidi S. (2018) 10 Things You - and Your Government - Should Know about Competitiveness in the Fourth Industrial Revolution, [Online] 16 October;
10. Tourism and tourism economy, Textbook / Ed. Chudnovsky A.D. – M.: Ed. EKMOS;
11. Tsertsvadze A., Khantadze G., Vekua D. Insurance, Tb. 2016;
12. www.geostat.ge;
13. www.Insurance.gov.ge;
14. www.Insurance.org.ge.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

EDUCATION IN AN ERA OF CHANGE

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 01, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.04

Neli Sesadze
Georgian National University SEU
Associate Professor,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-4304-1633
e-mail: n.sesadze@seu.edu.ge

Nineli Tevdorasfvili
Georgian National University SEU
Associate Professor,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-1540-254X
e-mail: n.tevdorashvili@seu.edu.ge

Lia Pitiurishvii
Georgian National University SEU
Assistant Professor,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-1540-254X
e-mail: l.pitiurishvili@seu.edu.ge

ABSTRACT

Education and intelligence are core values in the 21st century. Unlike the 19th century (the age of steam) and the 20th century (the age of electricity and atomic energy), the 21st century is the age of knowledge.

The world around us today is rapidly changing - this applies to almost everything - technologies (digitalization, automation, robotization), society (network society), globalization (economic, technological, cultural), ecology. The speed of change is a distinctive trend of our time, which should be followed by social institutions, including education, as the basis for the dissemination of new technologies and knowledge.

Technology changes everything - prices change, business changes. E-government is being formed. Today, all smart governments, cities, villages, cars, pilots and autopilots are being built. Do you have the status of "smart" education?

Keywords: *Digital Economy, Education, Transdisciplinary Approach to Education.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

განათლება ცვლილებების ეპოქაში

ნელი სესაძე
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტის - სეუ,
ასოცირებული პროფესორი, ელ.
ფოსტა:
n.sesadze@seu.edu.ge

ნინელი თევდორაშვილი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტის - სეუ,
ასოცირებული პროფესორი, ელ.
ფოსტა:
n.tevdorashvili@seu.edu.ge

ლია პიტიურიშვილი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტის - სეუ,
ასისტენტ პროფესორი,
ელ ფოსტა:
l.pitiurishvili@seu.edu.ge

აბსტრაქტი

განათლება და ინტელექტი 21 საუკუნეში წარმოადგენს მთავარ ფასეულობას. განსხვავებით 19 (ორთქლის საუკუნე) და 20 საუკუნისაგან (ელექტროობის და ატომური ენერგიის საუკუნე) 21 საუკუნე ცოდნის საუკუნეა. განათლება და პროფესიული ცოდნა განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს.

დღეისათვის ჩვენს ირგვლივ არსებული სამყარო სწრაფად იცვლება-ეს ეხება თითქმის ყველაფერს-ტექნოლოგიებს (გაციფრულება, ავტომატიზაცია, რობოტიზაცია), სოციუმს (ქსელური საზოგადოება), გლობალიზაცია (ეკონომიური, ტექნოლოგიური, კულტურული), ეკოლოგია. ცვლილებების სისწრაფე არის თანამედროვეობის განმასხვავებელი ტრენდი, რომელსაც ფეხი უნდა აუწყოს სოციალურმა ინსტიტუტებმა და მათ შორის განათლებამ, როგორც ახალი ტექნოლოგიების და ცოდნის გავრცელების საფუძველმა.

დღეს ტექნოლოგიები მართავენ ყველაფერს-დაწყებული ფასეულობებიდან დამთავრებული ბიზნესითა და მთავრობითაც კი. მათი მეშვეობით ჩვენს ირგვლივ ყველაფერი ხდება „ჭკვიანი"- მთავრობები, ქალაქები, სოფლები, სახლები, ავტომობილები. მიიღებს თუ არა ასევე „ჭკვიანი"-ს სტატუსს განათლებაც?

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ეკონომიკა, განათლება, ტრანსდისციპლინარული მიდგომა განათლებაში.*

შესავალი

განათლება უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას. საგანმანათლებლო სტრუქტურებმა უნდა მოამზადონ მოსწავლეები მომავალი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ცვლილებებისთვის, სამუშაო ადგილებისთვის, რომლებიც ჯერ არ არის შექმნილი, ტექნოლოგიებისთვის, რომლებიც ჯერ არ არის გამოგონილი, სოციალური გამოწვევებისთვის, რომლებიც ჯერ არ არის განხორციელებული. განათლებას შეუძლია მოსწავლეებს მისცეს მოქმედების თავისუფლება, კომპეტენცია და მიზანი, რათა მათ გააჩნდეთ ცვლილებებთან გამკლავების უნარი. მოზარდები, რომლებიც სასწავლებელში ამჟამად შევიდნენ, 2030 წელს ზრდასრულები გახდებიან. ასე რომ დღეს განათლების ცვლილება გარდაუვალია.

განვითარებულ ქვეყნებში მასობრივი სახელმწიფო განათლება გამოჩნდა მხოლოდ 19 საუკუნეში. განათლება შეესაბამებოდა სამრეწველო რევოლუციის მოთხოვნებს და ეყრდნობოდა მასობრივი წარმოების პრინციპებს. არსებული მოდელის გამოყენება ეფექტური იყო 19 საუკუნეში და რიგ მნიშვნელოვან ამოცანების გადაწყვეტას უწყობდა ხელს 20 საუკუნეში. მან წარმატებით მოამზადა ადამიანები ინდუსტრიული ეპოქისათვის დამახასიათებელი რუტინული ამოცანების შესასრულებლად. 21 საუკუნის შეცვლილი ცხოვრების პირობებისათვის ეს სისტემები გამოუსადეგარი გახდა. [6]

ახალი, რთული სამყაროს პირობებში სულ უფრო მცირეა ფიქსირებული პროფესიები. სამუშაო გარემო მუდმივად ცვალებადია, განათლება შეეჯახა ისეთ სიტუაციას, როდესაც რიგ სფეროებში უნარები ძველდება სწავლების ნორმატიული ვადის გასვლამდე. დღეს მოთხოვნადი პროფესიები აღწევენ რა თავისი განვითარების პიკს, ქრებიან. არ არის იმის გარანტია, რომ განსაზღვრული უნარები ან სამუშაო ადგილები მოთხოვნადი იქნება უახლოეს მომავალშიც კი. მაგალითისათვის გამოდგება იაპონიის კომპანიების გამოცდილება, რომლებიც თავს იწონებდნენ თანამშრომელთა დაქირავებით მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს პრაქტიკა შენარჩუნებულ იქნა გასული საუკუნის 80-იან წლებამდე და ჩაითვალა იაპონიის ეკონომიკური სასაწაულის „საიდუმლო ინგრედიენტად". დღეს იაპონიის ბიზნესის ფედერაციამ აღიარა, რომ სიცოცხლის მანძილზე შრომითი მოწყობის მოდელმა 'დაკარგა თავისი სიცოცხლისუნარიანობა". ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოითხოვს ინდუსტრიული (19-20 საუკუნე) საგანმანათლებლო მოდელის გადახედვას.

რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს ადამიანი მომავალში- უამრავი მოსაზრება არსებობს. ეკ-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD) თვლის, რომ 2030 წლისათვის თანამედროვე სტუდენტებმა უნდა შეიძინონ შემდეგი კომპეტენციები: მათ უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებელი საქმიანობის უნარები, სხვადასხვა ადამიანთა ჯგუფებთან ურთიერთობის უნარები, ასევე ტექნოლოგიების- მათ შორის ენობრივი სისტემების სწრაფად ათვისების უნარები. ეს ძალიან კარგად არის ასახული დღეისათვის საგანმანათლებლო პროგრამებში. [10]

სხვა გამოკვლევები ყურადღებას ამახვილებს ისეთ საბაზო უნარ-ჩვევებზე, როგორიცაა ყურადღების კონცენტრაცია და მართვა, ემოციური განათლება, ციფრული განათლება, შემოქმედებითობა, კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება, ეკოლოგიური აზროვნება, კროსკულტურული უნარები, დამოუკიდებლად სწავლის უნარები და სხვა. [11] მიუხედავად იმისა, რომ ამ უნარების შემოწმება, თვალყურის მიდევნება, შეფასება რთულია, ამ უნარების ფორმირებით ადამიანს შეეძლება ცვლილებების შედეგებისადმი გამკლავება.

აღნიშნული უნარები თანამედროვე მმართველობით თეორიაში მოიხსენიება როგორც რბილი და მკაცრი უნარები (hard skills и soft skills). [8]

hard skills - ქვეშ მოიაზრება ტექნიკასთან, ტექნოლოგიასთან მუშაობის, კონკრეტული სამუშაოს შესრულების უნარი, რომლის შედეგიც შეიძლება შემოწმდეს და გაიზომოს. soft skills მაგალითია-დროის მართვა, ადამიანებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი, რომელთა დემონსტრირება თვალყურის დევნება, შემოწმება რთულია.

დღეისათვის არსებული საგანმანათლებლო პროგრამები უმეტესად ორიენტირებულია მკაცრი უნარების შეძენაზე, თუმცა აქცენტი კეთდება ჯგუფური მუშაობის უნარების, კომუნიკაციის უნარის, გადაწყვეტილების მიღების, ლიდერის თვისებების განვითარებაზე.

დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს საჯარო დებატები იმის შესახებ, თუ რომელი უნარები უნდა შევიდეს XXI საუკუნის ძირითად კომპეტენციებში ამ მიმართულებით შთამბეჭდავი მუშაობა გასწია ორგანიზაციებმა, როგორიცაა World Economic Forum, Center for Curriculum Redesign, Partnership for 21st Century Skills და სხვა.

2020-იან წლებში საჭირო ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიული და პიროვნული უნარები არის მოქნილობა და მზაობა შესწავლისადმი, პერიოდული გადამზადებისადმი. განათლების სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება უმაღლეს საგანათლებლო სისტემაში მკაცრი და რბილი უნარების კომბინაციის ინტეგრირება წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია მოსწავლეებში განვითარდეს გაუთვალისწინებელ სირთულეებთან ადაპტაციისა და მათთან გამკლავების უნარი; ასევე წასახალისებელია ინოვაციური ქმედებები და გაბედულება, რათა მათ შეძლონ იპოვონ ახალი გადაწყვეტილებები დღევანდელი პრობლემების აღქმასთან დაკავშირებით. შემოქმედებითი, კრეატიული კომპეტენციები ასევე ხდება პრიორიტეტული, რაც გულისხმობს ახალი ღირებულებების შექმნის, სამყაროს გარდაქმნის უნარს, სადაც კეთილდღეობა და მდგრადი განვითარება ყველასთვის იქნება ხელმისაწვდომი.

სამუშაო ადგილების გაციფრულებასა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკურ და ციფრულ უნარებს:

- ციფრული უნარები- ხელოვნური ინტელექტისა და დიდი მონაცემთა ტექნოლოგიების გამოყენების უნარები, ასევე ახალი ტექნოლოგიები (მაგალითად, ბლოკჩეინი);
- კიბერუსაფრთხოება;
- პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და რობოტოტექნიკის მართვა/ IIoT
- მომსახურების ნეოსახელოსნო(მათ შორის 3D წარმოება).
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების საბაზო უნარები: მათემატიკა, ლოგიკა, მსჯელობა.

დღევანდელი განათლების პრობლემა გახლავთ საგანმანათლებლო პროცესისასდმი საგნობრივი მიდგომა. ამ მიდგომით სწავლის დასრულების შემდეგ ვღებულობთ კონკრეტული დარგის სპეციალისტს. ფაქტიურად მინიმუმამდე დადის იმ პრობლემათა გადაწყვეტის ალბათობა, რაც დისციპლინათა მიჯნაზე იმყოფება.

პრობლემას ვერ წყვეტს დისციპლინათაშორისი მიდგომაც. ერთი მეცნიერული სფეროს კვლევის მეთოდებით სხვა სფეროს პრობლემების კვლევა. დისციპლინააშორისო მიდგომის შედეგად წარმოიშვა დარგთაშორისი დისციპლინები (ბიოქიმია, ბიომექანიკა, ბიოენერგეტიკა, ეკონოფიზიკა). ამ შემთხვევაში დისციპლინათაშორისი მიდგომა იმ პრობლემებს ეძღვნება, რომელთა გადაწყვეტისას რომელიმე დისციპლინა კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ სიძნელეებს განიცდის. იგივე შეიძლება ითქვას მულტიდისციპლინარულ მიდგომის შესახებ, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს ეკოლოგია, რომელიც წარმოიშვა მულტიდისციპ-

ლინარული კვლევების საფუძველზე.

„21 საუკუნის უმაღლესი განათლების შესახებ მსოფლიო დეკლარაცია: მიდგომები და პრაქტიკული ხერხები“ [2] ტრანსდისციპლინარული მიდგომას ანიჭებს უპირატესობას. იგი მოვლენის განხილვისას არ იფარგლება ერთი მეცნიერული დისციპლინით. მაგალითად, პედაგოგიკა ტრანსდიციპლინარულია, რადგან იგი მოიცავს ფილოსოფიის, რელიგიის, მეცნიერების, ხელოვნების, ხალხური სიბრძნის ნიშნებს.

ზოგიერთ ქვეყანაში უკვე მიმდინარეობს XXI საუკუნის სრულფასოვან განათლებაზე ორიენტირებული რეფორმები, ამ აზრით პირველები არიან ევროპაში ფინეთის მთავრობა, აზიაში კი-- სინგაპური. [8]

ტრანსდისციპლინარული მიდგომის მაგალითია სწავლება ფინურ სკოლაში -მეორე მსოფლიო ომის მოვლენა განიხილება ისტორიული, გეოგრაფიული, მათემატიკური თვალთახედვით. ხოლო, როდესაც ხდება რესტორნის მუშაობის საფუძვლების კურსის შესწავლა მოსწავლეები ეცნობიან მიკრომაკროეკონომიკის პრობლემებს, პრაქტიკულად იყენებენ უცხოურ ენას, ასევე სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებს და სხვა.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში უნდა იყოს რეალური პროექტი, რომლის მხარდამჭერი იქნება ტრადიციული დისციპლინები, რომლებიც რეალური პროექტის რეალიზაციას შეუწყობენ ხელს. ასეთი საქმიანობა ჩამოუყალიბებს სტუდენტს შესაბამის ემოციურ ინტელექტს, შეუწყობს რა ხელს ადამიანური სამომხმარებლო პრობლემების გათვითცნობიერებას.

კიდევ მნიშვნელოვანია ისიც, რომ დიდი ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად. ამიტომ რაც უფრო მეტად გამოვიყენებთ ჯგუფური მუშაობის მეთოდებს, მით უფრო გაადვილდება სირთულეების და განუსაზღვრელობების წარმოსახვის პროცესი.

მნიშვნელოვანია თვით პედაგოგის უნარებიც. მასწავლებელი მზად უნდა იყოს ნებისმიერი სიახლისათვის. იგი უნდა თანამშრომლობდეს მოსწავლესთან „უფროსი, მაგრამ თანასწორის“ პოზიციიდან.

დღევანდელი უნივერსიტეტების ამოცანაა-არამხოლოდ შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის არსებულ და წარმავალ სტრუქტურას, შესაბამისად, გამოუმუშაოს სტუდენტს პრაქტიკული უნარები და ცოდნა, რომელიც სჭირდება უნივერსიტეტის მომხმარებლებს, დაინტერესებულ პირებს, დამსაქმებლებს, უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს იმუშაოს წინსწრებით, ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზრის ჩამოყალიბებას ტექნოლოგიების და საზოგადოებრივი პროცესების განვითარების ტრენდების გათვალისწინებით (ჯონ. ბ ქობი,მარკუს პიტერ ფორდი და სხვ.). ეს არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის საგანმნათლებლო პროგრამები არ უნდა პასუხობდეს ეკონომიკის, შრომის ბაზრის მიმდინარე მოვლენებს. მნიშვნელოვანია ის, რომ იგი არ იყოს კონცენტრირებული მხოლოდ არსებულ ტენდენციებზე.

განათლების მნიშვნელობიდან გამომდინარე გაიზარდა მოთხოვნები დარგზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯების მიმართ. „განათლება-2030“ მოქმედების ჩარჩო პროგრამაში მოცემულია განათლებაზე დანახარჯების მოცულობის ორი საკონტროლო მაჩვენებელი-არანაკლებ მშპს 4-6%-ის და სახელმწიფო ხარჯების 14,2%-ისა. [1]

ამ მხრივ არ არის სახარბიელო მდგომარეობა საქართველოში. ამას ადასტურებს განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები, რომლებიც მშპ-ის 2.8%-ს შეადგენს. ამ მონაცემით საქართველო ქვეყნების ასეულშიც კი ვერ შედის განათლებაზე გამოყოფილი ხარჯების / მშპ-ის შეფარდების მიხედვით.

მიუხედავად ამისა 2021 წელი წარმატებითაც აღინიშნა. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მდგრადი განვითარების 2021 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების კუთხით შეფასებული 165 ქვეყნის მსოფლიო რეიტინგში საქართველომ მდგომარეობა ორი ადგილით გაიუმჯობესა და 56-ე პოზიცია დაიკავა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ანგარიშის მიხედვით ჩვენი ქვეყანა 58-ე, ხოლო 2017 წელს – 66-ე პოზიციას იკავებდა. [4]

საქართველოს წარმატება განაპირობა მიღწეულმა პროგრესმა ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანი – „ხარისხიანი განათლება“, აგრეთვე, მართლმსაჯულების ინდექსი, კორპორაციული გადასახადების სიმსუბუქე, პრესის თავისუფლება და სხვა. კვლევის შეფასებით, საქართველო „ხარისხიანი განათლების“ მაჩვენებლით მსოფლიოს 165 ქვეყნის რეიტინგში ოცდაათ და ევროპის 10 საუკეთესო ქვეყანას შორის მოხვდა, სადაც მდგრადი განვითარების მიზანი მიღწეულია.

საქართველოში გატარებული სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, რჩება გამოწვევები:

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

- განათლების სერვისების ხარისხთან,
- ხელმისაწვდომობასთან,
- განთლების და შრომის ბაზრის კავშირთან,
- მეცნიერების განვითარებასთან.

2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა, შესაბამისობაში იქნება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან და ამოცანებთან.

დასკვნა

ძალიან რთულია წარმოვიდგინოთ როგორი იქნება უმაღლესი განათლება თავისი თავისებურებებით იმ დროისათვის, როდესაც ადამიანების გონება დაეუფლება მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებს, მაგრამ მთავარი როგორც ამბობს ალბერტ აინშტაინი ინტელექტის ჭეშმარიტი ნიშანი წარმოსახვაა: „ცოდნაზე მიშვნელოვანი წარმოსახვის უნარია. ცოდნა შეზღუდულია. წარმოსახვა კი უსაზღვრო“...

REFERENCES:

1. The future of education and skills Education 2030 OECD 2018 https://www.oecd.org/education/2030/E2030%20Position%20Paper%20(05.04.2018).pdf

2. World Declaration on Higher Education for the Twenty-first Century: Vision and Action 9 October 1998https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000141952

3. Ministry of Science and Education of Georgia https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=12291

4. Sustainable Development Report 2021The Decade of Action for the Sustainable Development Goals https://dashboards.sdgindex.org/profiles

5. Future Skills for 2020 New Hope Report GEF & WorldSkills Russia https://futureskills2020s.com/ru

6. Ken Robinson and Lou Aronica Creative Schools: The Grassroots Revolution That's Transforming Education.. New York: Viking Press, 2015. 292 pagesJournal of Educational Research and Innovation https://digscholarship.unco.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=1020&context=jeri

7. Education for a Complex Society Educational Ecosystems for Social Transformation. Report Global Education Futures 2018 https://drive.google.com/file/d/0B9ZvF6mQ5FMbSTFKVmhodU5rNTNiTXpUZ2QwZktiR0pzSmJR/view?resourcekey=0-d3FGUmpdKpcCi8CgLVHqXQ

8. Future skills What you need to know and be able to do in a new complex world https://worldskills.ru/assets/docs/media/WSdoklad_12_okt_rus.pdf?

9. Pavel Luksha. "Educational innovations or why we need to change education"https://www.vneshtorg.biz/index.php?option=com_k2&view=item&id=187

10. https://unece.org/DAM/env/esd/strategytext/strategyinGeorgian.pdf

11. https://www.vneshtorg.biz/index.php?option=com_k2&view=item&id=1875

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE FACTORS CAUSING THE ECONOMIC AND FINANCIAL CRISIS IN GEORGIA AND THE COVID-19 RESULTS

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 17, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.05

Paata Kunchulia
Doctor of Business Administration,
Associate Professor - David Agmashenebeli
University of Georgia
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-5111-7995
E-mail: pkunchulia@gmail.com

ABSTRACT

The paper contains analysis of the currency crisis in Georgia and the factors causing it, the one, which in the last decade has shaped out into the financial crisis creating a huge economic problem. We focused on the increasing inflation far behind the target figure defined according to the economic situation in place. The target figure of the inflation should reflect the price fluctuation index most optimal for the development of the national economy at the time. The sole task of the monetary policy of the National Bank of Georgia is maintaining inflation at the target level. In 2009, NBG shifted to a new mode monetary policy of targeting the inflation, which means defining the desired mid-term inflation index.

NBG determined the 2010-2012 annual target inflation index at 6%, which would then decrease periodically and made up 4.7% on average. However, the reality proved to be different. From 2018 up until now, the target inflation index has gone down to 3%. In 2021, the inflation was above the target figure and the annual inflation rate hit 13.9%. A short-term interest rate is the key tool, where targeting inflation is concerned. If the forecast inflation rate is below the target index, the monetary policy becomes more liberal and conversely, if it is above the target, the monetary policy becomes more stringent.

The negative devaluation effect will keep until the dollarization is high. It was to mitigate it that on 1 January 2017, the Government introduced the de-dollarization policy. The Government and NBG banned issuance of up to 100.000 GEL loans in a foreign currency, which subsequently increased up to 200.000 GEL. Dollarization is the situation where payments for imported products are predominantly made in USD and its share in the credit and financial liabilities is fairly large. [1]

According to the NBG statistics, compared to the previous month, in August 2021, the dollarization index on deposits went up by approx. 0.6% points and made up 60.01% but slightly decreased on credits to 52.27%. The share of the USD in the foreign currency credits was 83.83% while that of euro made up 14.75%. [2]

In the paper we also reviewed and analyzed the direct foreign investments in Georgia. As said above, there are several reasons behind the devaluation of the GEL exchange rate, with one of them being a smaller amount of the direct foreign investments, which brings about deteriorated balance of payments. The balance of payments reflects the resident/non-resident transactions and, consequently, the currency exchange rate.

Finally, the paper contains a brief review of the hospitality and tourism market in Georgia hard hit by the corona pandemic not only here but across the world. The COVID-related restrictions resulted in the halt of operations of companies and eventually their liquidation, which gravely affected the countries like Georgia.

Key words: *economic and financial crisis, currency crisis, target inflation index, de-dollarization policy, COVID-19 results.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისის გამომწვევი ფაქტორები და COVID-19-ის შედეგები

პაატა კუნჭულია
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა: pkunchulia@gmail.com

აბსტრაქტი

სტატიის ფარგლებში გაანალიზებულია ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებული სავალუტო კრიზისი და მისი გამომწვევის ფაქტორები, რომელიც ფინანსურ კრიზისშიც გადაიზარდა და მთავარ ეკონომიკურ პრობლემად იქცა. მთავარი ყურადღება გამახვილდა ინფლაციაზე, რომლის დონე ზრდას განაგრძობდა და მკვეთრად ჩამორჩებოდა მიზნობრივ მაჩვენებელს. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება ეკონომიკის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებთ. იგი უნდა ასახავდეს ფასების ცვლილების ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ოპტიმალური იქნება ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთადერთი ვალდებულებაა ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნება. 2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკი გადავიდა მონეტარული პოლიტიკის ახალ რეჟიმზე - ინფლაციის თარგეთირებაზე, რომლის დროს საშუალოვადიანი პერიოდისთვის ცხადდება ინფლაციის დონის სასურველი მიზნობრივი მაჩვენებელი.

2010-2012 წლებისთვის საქართველოს ეროვნულმა ბანკა განსაზღვრა წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6%-ის ოდენობით, შემდეგ ეს მაჩვენებელი პერიოდულად მცირდებოდა და საშუალოდ 4.7%-ს შეადგენდა. თუმცა რეალობა გაცდა დაგეგმილ მიზნებს. 2018 წლიდან დღემდე ინფლაციის მიზნობრივი მჩვენებელი 3%-მდე შემცირდა. 2021 წლის განმავლობაში, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა ნარჩუნდება, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9%-ს მიაღწია. ინფლაციის თარგეთირების დროს მონეტარული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს მოკლევადიანი საპროცენტო განაკეთი წარმოადგენს. თუ ინფლაციის პროგნოზი მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი იქნება, მონეტარული პოლიტიკა შერბილდება. თუ პირიქთ, ინფლაციის პროგნოზი მიზნობრივ მაჩვენებელს გადააჭარბებს პოლიტიკა გამკაცრდება.

გაუფასურების ნეგატიური ეფექტი გაგრძელდება იქამდე, სანამ ქვეყანაში დოლარიზაციის მაჩვენებელი მაღალია, რისი შემცირებისთვისაც მთავრობამ 2017 წლის პირველი იანვრიდან დედოლარიზაციის პოლიტიკა დაიწყო. მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა „დედოლარიზაციის" პოლიტიკის ფარგლებში 100 000 ლარამდე სესხის უცხოურ ვალუტაში გაცემა აკრძალა, შემდგომში კი აკრძალვა 200 000 ლარამდე სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემასაც შეეხო. დოლარიზაცია ის არის, როდესაც სხვადასხვა იმპორტირებულ პროდუქტების შეძენისას, სასესხო და საფინანსო ვალდებულებებში დოლარის ხვედრითი წილი დიდია. [1]

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე დაახლოებით 0.6%-ული პუნქტით 60.01%-მდე გაიზარდა, ხოლო სესხებზე ოდნავ შემცირდა და 52.27% შეადგინა. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 83.83%, ევროს წილმა 14.75% შეადგინა.[7]

ასევე, მიმოვიხილეთ და გავაანალიზეთ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. როგორც ზემოთ ვახსენეთ, არსებობს ლარის კურსის გაუფასურების რამდენიმე მიზეზი. ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება, რაც იწვევს საგადამხდელო ბალანსის გაუარესებას. საგადამხდელო ბალანსი ასახავს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებულ ოპერაციებს, შესაბამისად ფულის კურსს ყოველთვის ასახავს საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა.

და ბოლოს, სტატიაში ასახულია რესტორნების, სასტუმროებისა და ტურიზმის ბაზრის მოკლე მიმოხილვა, რომელიც იყო კორონავირუსის რთული გამოწვევა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ

მთელი მსოფლიოსთვის. კორონავირუსმა და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია კომპანიების საქმიანობის შეჩერება და შესაბამისად, მათი ლიკვიდაცია, რამაც მძიმე ეკონომიკური შედეგები მოუტანა ისეთ ქვეყნებს, როგორიც საქართველოა.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი, სავალუტო კრიზისი, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, დედოლარიზაციის პოლიტიკა, COVID-19-ის შედეგები.*

შესავალი

საქართველოში მთავარი ეკონომიკური მოვლენა არის ლარის კურსის გაუფასურება, რომელიც გამოიხატა ფასების ზრდაში. სავალუტო კრიზისი მწვავე ეკონომიკურ კრიზისშიც გადაიზარდა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ლარის კურსის დევალვაცია 2013 წლიდან იწყება და მას შემდეგ მძიმე შედეგები არსებობს, რომელიც 2021 წელსაც გაგრძელდა.

ლარის კურსის გაუფასურების საწყის ეტაპზე მთავრობა ეროვნული ბანკისაგან ითხოვდა მონეტარული ბერკეტების გამოყენებას და სავალუტო ბაზარზე ჩარევას. 2014-2015 წლებში ეროვნული ბანკი ლარის კურსთან მიმართებაში სტატისტის როლში გამოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკი, თავის მხრივ, ყურადღებას ამახვილებდა ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის შემცირებულ მაჩვენებლებზე, რაზედაც პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებდა, თვითონ კი უარს ამბობდა სავალუტო რეზერვების ხარჯვაზე და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაზე. [4. გვ.32-33]

საქართველოში არსებული ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები

2015 წლის ბოლოს ლარის კურსის დევალვაციამ ქვეყნის ეკონომიკას მძიმე შედეგები მოუტანა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც შემოსავალი ლარში ჰქონდა, ხოლო ბანკებიდან სესხები დოლარში. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა და რომლის ეკონომიკაც დამოკიდებულია იმპორტზე, თავის მხრივ, გამოიწვია ფასების ზრდა პროდუქტებზე. 2015 წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა, ინფლაციის დონე ზრდას განაგრძობდა და წლის ბოლოსთვის 5.8%-ს მიაღწია.[2]

2016 წლის დასაწყისში ინფლაციის დონემ შეადგინა 5.6%, ხოლო აგვისტოში გაგრძელდა კლების ტენდენცია და ის გახდა 0.9%, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ერთ წელიწადში სამომხმარებლო ფასები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა. ერთი შეხედვით ეს პოზიტიური მაჩვენებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკაში არც თუ ისე კარგად გვაქვს საქმე. შეიძლება ითქვას, რომ ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი იწვევს მოსახლეობის მოთხოვნის შემცირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსხლეობას არ აქვს ფული თავიანთი პირველადი მოთხოვნილებების სრულად დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, როდესაც მცირდება ერთობლივი მოთხოვნა ზარალობს ბიზნესი, ვინაიდან ბიზნესი იღებს თავისი მომსახურებისა და საქონლის რეალიზებას სრული მოცულობით. [6, გვ.9,10,11,12]

2016 წლის დეკემბერში ინფლაციის დონე წინა თვესთან შედარებით 1.%-ს შეადგენდა. ამ პერიოდის მდგომარეობით ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 1.5%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.47%-ული პუნქტით აისახება. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის (9.2%), რძის, ყველისა და კვერცხის (2.9%), ხორცისა და ხორცის პროდუქტების (2%) ქვეჯგუფებზე;

ტრანსპორტის ჯგუფებზე ფასები გაიზარდა 2.3%-ით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0.27%-ული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება დაფიქსირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (8.5%) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3%).

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ გჯუფებზე:

მოცემულ პერიოდში ფასების 13.1%-იანი ზრდა დაფიქსირდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფზე, რაც 0.80%-ული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე;

ფასები მკვეთრად გაიზარდა თამბაქოს ნაწარმის ქვეჯგუფებზე (23.2%). ასევე, ფასების მატება დაფიქსირდა ალკოჰოლური სასმელების ქვეჯგუფებზე (4.6%).

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გაიზარდა 1.6%-ით და ჯგუფმა 0.51%-ული პუნქტი შეიტანა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ქვეჯგუფებზე: შაქარი, ჯემი, თაფლი, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი (16.3%);

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.2%-ით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0.26%-ული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3.7%). [8]

ანუ, აქციზების ზრდიდან გამომდინარე, მიმდინარე თვეში ინფლაციური მოლოდინი უფრო მაღალია.

ექსპერტთა ვარაუდიც ის იყო, რომ 2016 წლის ბოლოს არსებული ტენდენცია კიდევ უფრო გაუარესდებოდა და ვალუტის კურსი მიაღწევდა პიკურ მაჩვენებელს. შესაბამისად, წლის ბოლოსთვის ლარის კურსმა თავის ისტორიაში მიაღწია ყველაზე მაღალ მაჩვენებლს დოლართან მიმართებაში და შეადგენდა 2.80 პუნქტობრივი მაჩვენებელი და შესაბამისად საქართველოს ყველა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ვალუტაც გაუფასურდა.

ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ექსპორტის კლების მთავარი მიზეზი ადგილობრივი საექსპორტო საქონლის გაძვირებაა იმპორტიორის ბაზარზე, მაგალითად: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2016 წლის ნოემბერში, საქართველოს საქონლის ექსპორტმა 218.7 მლნ დოლარი, ხოლო იმპორტმა 649.6 მლნ დოლარი შეადგინა. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კი 431 მლნ დოლარია, რაც 2015 წლის ნოემბრის უარყოფით ბალანსზე 9%-ით (37 მლნ დოლარით) მეტია.

იანვარ-ნოემბრის ჯამური მაჩვენებელს მიხედვით ექსპორტი 5%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი 29%-ით არის გაზრდილი.

რაც შეეხება, ფულადი გზავნილების კლების მიზეზს რუსეთში, უკრაინასა და მსგავს ქვეყნებში მყოფი ჩვენი თანამემამულეების ამერიკულ დოლარებში დენომინირებული შემოსავლების კლებაა. მთავარ შიდა ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ დროულად ვერ მოახდინეს საგარეო შოკების იდენტიფიცირება, ანალიზი და ადეკვატური რეაგირება.

„Commersant.ge-ს“ მონაცემებით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალი 15.2 მლრდ ლარს შეადგენს, რაც 2016 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 46%-ია. 2015 წლის აღნიშნული მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 42% იყო, ხოლო 2012 წლის ბოლოს - 32.5%.

2016 წლის ბოლოს საგარეო სახელმწიფო ვალმა 12 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო 2015 წლის აღნიშნული მაჩვენებელი 10.3 მლრდ ლარი იყო.

2016 წელს სახელმწიფო საგარეო ვალი 201 მლნ დოლარით გაიზარდა, თუმცა ლარის გაუფასურების გამო, ლარებში გამოხატული საგარეო ვალი 1.6 მილიარდით გაიზარდა.

საშინაო ვალი კი 2016 წელს 355 მლნ ლარით გაიზარდა და 3.2 მლრდ ლარი შეადგინა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების ქმედება სესხების აღებასთან დაკავშირებით განპირობებულია მისი ფინანსური მდგომარეობით. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო დიდია სახელმწიფო სესხების მოცულობა, მით უფრო ცუდი მდგომარეობაა ქვეყნის ბიუჯეტში და ასევე, რაც უფრო მაღალია სახელმწიფო ვალის წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მით უფრო ღრმაა ფინანსური კრიზისი.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2016 წლის მე-3 კვარტლში, საქართველოში 463 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, რაც 4 პროცენტით (20 მლნ დოლარით) ნაკლებია 2015 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებზე (გრაფიკი 1).

ასე რომ, საქართველოს ეკონომიკა შემცირებული უცხოური ვალუტის ფონზე, გაუფასურებული ლარის კურსის წინაშე დგას. მთავრობის არასწორი პოლიტიკის (ბიუჯეტის დეფიციტურ ხარჯვა) და თავის დროზე, ეროვნული ბანკის არასწორმა პოლიტიკამ, ლარის კურსის სტაბილურობისთვის მონეტარული ბერკეტების გამოუყენებლობამ, 2016 წლის ბოლოსთვის ქვეყანა უამრავი ეკონომიკური და ფინანსური პრობლემის წინაშე დააყენა.

ინფლაციის შემცირება რეალური გახდება იმ შემთხვევაში თუ შევინარჩუნებთ ლარის კურსის სტაბილურობას ერთ დონეზე. ბუნებრივია ფასების ცვლილება იქონიებს გადამწყეტ როლს. 2021 წლის ოქტომბერში, წინა წელთან შედარებით საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 12.8%-ით გაიზარდა. საქსტატის ანგარიშის მიხედვით ინფლაციის მაჩვენებელზე დიდი გავლენა მოახდინა როგორც სურსათის ფასების 18%-იანმა ზრდამ, ისე საწვავის გაძვირებამაც. საქართველოს ეოვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი ოქტომბერში ისევ 10%-ზე დატოვა.[3]

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარტულ პოლიტიკას მიმართავს ფასების სტაბილურობის



გრაფიკი N1. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

უზრუნველსაყოფად, რომელიც ხელ უწყობს ლარის მსყიდველუნარიანობას და ქმნის ისეთ მაკროეკონომიკურ გარემოს, რომლის წინაპირობაა უზრუნველყოს გრძელვადიანი ეკონომიკური გარემო. 2021 წლის 8 დეკემბერის გადაწყეტილებით, ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს, 0.5 პროვენტული პუნქტით, 10.5%-მდე გაზრდის. აღნიშნული გამოიწვია პანდემიის არაორდინალურმა მდგომარეობამ, რაც საქართველოს ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ეს არის მთავრობის მთავარი ორიენტირი, რომელიც ეკონომიკაზე დადებით გავლენას ეტაპობრივად ერთი წლის განმავლობაში ახდენს.[9]

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დადგენისას მხედველობაში მიიღება ქვეყნის ზრდის ტემპი და თუ როგორ ვითარდება პროდუქტიულობა ვაჭრობად და არავაჭრობად სექტორებში. 1990-იანი წლების დასაწყისში რიგი ქვეყნები გადავიდა მონეტარული პოლიტიკის ახალ რეჟიმზე - ინფლაციის თარგეთირებაზე, რომლის მიზანიც იყო ინფლაციის დონის შემცირება. ზოგადად, განვითარებადი ქვეყნები ხასიათდებიან პროდუქტიულობის უფრო მაღალი ზრდის ტემპით, ვიდრე ეს ხდება განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ვაჭრობადი საქონლის სექტორში.[5]

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება ეკონომიკის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. იგი უნდა ასახავდეს ფასების ცვლილების ისეთ მაჩვენებელს, რომელიც ოპტიმალური იქნება ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე.

როგორც მოგეხსენებათ სხვა დანარჩენ ვალუტებთან ერთად თურქული ლირის კურსი არის მნიშნელოვანი ცვლადი საქართველოსთვის. ამის თაობაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება „ბიზნეს-პარტიორი - ეკონომიკას“-ს გვერდზე, სადაც ის აღნიშნავს, თუ რატომ აღარ რეაგირებს ლარი თურქული ლირის გაუფასურებაზე.

“მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში წინა წელთან შედარებით:

1. აღდგა შემოსავალი ტურიზმიდან;
2. გაიზარდა ექსპორტი;
3. გამკაცრდა მონეტარული პოლიტიკა; რაც ასევე ზრდის ლარის აქტივობის მიმზიდველობას.[10]

„საქსტატის“ ოფიციალური მონაცემებით წლიური ინფლაციის დონემ 2021 წლის მდგომარეობით 13.9 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება *საბაზო ინფლაციას*, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის დეკემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო *თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის* მაჩვენებელი 6.0 პროცენტით განისაზღვრა.[11. გვ.2] ცხრილი N1 გვიჩვენებს 2012 წლიდან 2021 წლის მდგომარეობით სამომხმარებლო ფასების ინდექსს.

2021 წლის მდგომარეობით „სურსათის და უალკოჰოლო სასმელების“ პროცენტული მაჩვენებელი, 2020 წლის აღნიშნულ მაჩვენებელთან შედარებით 0.89%-ით გაიზარდა, რომლის მეტი წილი სუსრსათზე მოდის და შეადგინა 32.16%.

რაც შეეხება, „ალკოჰოლურ სასმელებს და თამბაქოს“ 2018 წლის მდგომარეობით ყველაზე მაღალი იყო 6.72%. ხოლო 2020 და 2021 წლებში

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი N1 სამომხმარებლო კალათი წონები

	სამომხმარებლო კალათის წონები, %	წელი									
	ჯგუფის/ქვეჯგუფის დასახელება	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
	სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%
1	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	30.32%	30.69%	30.25%	30.74%	31.10%	30.09%	30.29%	30.76%	31.27%	32.16%
2	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5.50%	5.36%	5.08%	5.19%	6.02%	6.39%	6.72%	6.61%	6.39%	6.39%
3	ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	2.65%	2.58%	2.87%	2.86%	3.13%	3.35%	3.56%	3.72%	3.92%	3.78%
4	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.23%	8.78%	8.38%	8.48%	8.24%	8.38%	8.49%	8.77%	9.04%	9.03%
5	ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.07%	4.80%	6.21%	6.43%	6.40%	6.56%	6.35%	6.45%	5.94%	5.31%
6	ჯანმრთელობის დაცვა	7.54%	9.04%	10.09%	9.46%	9.81%	8.42%	8.61%	8.02%	7.84%	7.76%
7	ტრანსპორტი	12.76%	12.74%	11.82%	11.80%	12.10%	13.12%	12.60%	12.14%	12.06%	12.99%
8	კავშირგაბმულობა	5.60%	4.09%	3.61%	3.61%	3.24%	3.69%	3.90%	3.58%	3.81%	3.63%
9	დასვენება, გართობა და კულტურა	6.82%	6.73%	6.56%	7.11%	6.15%	6.36%	5.77%	5.65%	3.82%	3.67%
10	განათლება	6.07%	4.87%	5.42%	5.03%	4.98%	4.70%	4.61%	5.00%	5.00%	4.55%
11	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	4.40%	5.23%	4.96%	4.80%	4.01%	4.06%	4.04%	4.03%	5.40%	5.42%
12	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.04%	5.09%	4.74%	4.50%	4.80%	4.88%	5.07%	5.28%	5.50%	5.31%

წყარო: სამომხმარებლო ფასების ჰარმონიული ინდექსი - სამომხმარებლო კალათის წონები - საქართველოს სტატისკისის ეროვნული ცენტრი.

აღნიშნული მაჩვენებელი იდენტური იყო 6.39%. 2020 წელს პროცენტული წილის შემცირება გამოწვეულია „თამბაქოს ნაწარმის" პროცენტული წილის შემცირებით და 2021 წელს კი პროცენტული წილის შემცირება გამოიწვია ალკოჰოლური სასმელების" დაბალმა დონემ.

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 0.8 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.27 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: თევზეული (2.3 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (2.0 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (1.9 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (1.8 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (0.9 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-0.7 პროცენტი);

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ჯგუფში ფასები მომატებულია 0.9 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაში აისახა 0.06 პროცენტული პუნქტით. ფასები გაიზარდა საზოგადოებრივი კვების (1.2 პროცენტი) ქვეჯგუფზე;

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 1.4 პროცენტიანი კლება, რაც თვის ინფლაციაზე -0.05 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა როგორც ფეხსაცმლის (-2.4 პროცენტი), ისე ტანსაცმლის (-0.7 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.[11. გვ.3]

„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის" მონაცემების მიხედვით, საქართველოში ინფლაციის დონემ 2022 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით 1.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9 პროცენტი.

2022 წლის იანვარში, საბაზო ინფლაციის, აღნიშნულმა მაჩვენებელმა, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი ასევე 5.6 პროცენტით განისაზღვრა.[12. გვ.2]

რესტორნების, სასტუმროებისა და ტურიზმის ბაზრის მოკლე მიმოხილვა

კორონავირუსი რთული გამოწვევაა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისთვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებლების და სახელმწიფოების გადაწყვეტილებებზე. ადამიანები ცდილობენ თავი აარიდონ მოგზაურობას, ვაჭრობას, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მოთხოვნის კლებას. ხოლო, კომპანიების გადაწყვეტილებები შეაჩერონ

საწარმოო პროცესი, აფერხებს მიწოდებას, რომელიც შესაძლოა იქცეს მნიშვნელოვან პრობლემად როგორც მსოფლიო, ისე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის, რომელიც უკვე გარკვეულწილად ასახულია და მას შემდეგ მძიმე შედეგები არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა აქტიურ ქმედებებს მიმართავს ეკონომიკის შესუსტების საწინააღმდეგოდ, ქვეყანაში განვითარებული მოვლენები უარყოფითად აისახება ფინანსურ ბაზარზე.

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 5.08 მლნ ლარს მიღწია, რაც 2011 წლის მონაცემებთან შედარებით 177%-ით მეტია.[13] COVID-19-ის შედეგად გამოწვეული მოგზაურობის შიში და ჩაკეტილი საზღვრები ყველაზე ნეგატიურ გავლენას სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე იქონიებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია როგორც სასტუმროების, ისე რესტორნების ბიზნესთან.

რაც შეეხება უკანასკნელი წლის სტატისტიკას: ევროკავშირიდან და ირანიდან შემოსული ვიზიტორები მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენენ ქართულ ტურიზმში. 2019 წელს შემოსულ ვიზიტორთა სრული რაოდენობის 6.28%-ს შეადგენდნენ ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორები. ევროკავშირიდან შემოსულ ვიზიტორთა ნაკადი 2018 წელთან შედარებით დაახლოებით 26%-ით მეტი იყო. ირანელი ვიზიტორების წილი შედარებით მცირე იყო, თუმცა საერთო ვიზიტრების 1.52%-ს შეადგენდა. 2019 წელს ირანელი ვიზიტორების რიცხვმა მნიშვნელოვანი კლება განიცადა 2018 წელთან შედარებით და 51.2%-ით შემცირდა, რაც სასაზღვრო კონტროლის გამკაცრებითა და ირანის ეკონომიკური სტაგნაციით იყო განპირობებული. მას შემდეგ, რაც სამოგზაურო შეზღუდვები უკვე პრაქტიკულად ყველა ქვეყანაზეა გავრცელებული, მათ შორის მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთზეც, ცხადია გავლენა ტურიზმის სფეროზე კიდევ უფრო გაიზარდა. სამოგზაურო შეზღუდვები და ჩაკეტილი საზღვრები საქართველოს ტურისტულ სექტორს დააზარალებს და, სავარაუდოდ, შეანელებს ბაზრის დივერსიფიკაციის პროცესს.

ტურისტების შემცირება, ასევე აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ. ამ ბიზნესებზე ზეგავლენას მოახდენს არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანციების დაცვას ისახავს მიზნად. ეკონომიკური გავლენის მასშტაბის შესაფასებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ მაგალითად ტურიზმის სფეროში, 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში 44 000 ადამიანია დასაქმებული; ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროში ჩართულია 187,6 ათასი ადამიანი და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2017 წლის გარდა, როცა მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა) სტაბილური კლებით ხასიათდება. მაგალითად, 2018 და 2019 წლებში დაახლოებით 1/3-ით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა 2014 წელთან შედარებით. ცხადია, მსოფლიოში შექმნილი ვითარება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე აისახება (იხ. გრაფიკი 2).



გრაფიკი N2. **წყარო:** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საქსტატის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით (2019 წელი) საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. ევროკავშირიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვისტეციების 47.2%-ს უტოლდებოდა. ამერიკიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 7.8%-ია, ხოლო ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციები - 3.2%. 2019 წლის მონაცემებით 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის არიან აშშ, ჩინეთი და იაპონია. არსებულ ქვეყნებში ვირუსული აფეთქების ეკონომიკური ეფექტი შეიძლება პირდაპირ გავრცელდეს საქართველოზეც. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. ახლა ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია.

მეტი თვალსაჩინოებისთვის და სურათის უკეთ დასანახად, წარმოგიდგენთ რესტორნების, სასტუმროებისა და ტურიზმის სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც გაანალიზებულია ოთხწლიან პერიოდზე (2017-2020)

ცხრილი N2-ში მოცემული ინფორმაცია გვიჩვენებს რესტორნების, სატუმროებისა და ტურიზმის მიმართულებით ფინანსურ მონაცემებს, რომელიც ასახავს 2017-2018-2019 და 2020 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობას და საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯის განაწილებას, ხარჯის კატეგორიების და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

პირველი მონაცემების საფუძველზე განხილულია *რესტორნების ბიზნესი*, სადაც ნათლად ჩანს, რომ 2017 წელთან შედარებით, 2018 წლის მდგომარეობით ბრუნვის მოცულობა გაზრდილია 6.40%-ით და შეადგინა 892,400 მლნ ლარი, რაც შეეხება 2019 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 7.20%-ით და გაუტოლდა 956,700 მლნ ლარს. ხოლო 2020 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით აღნიშნული მონაცემები შემცირებულია 33%-ით, რომელიც უკავშირდება პანდემიის პერიოდს და შეადგინა 640,600 მლნ ლარი.

შემდეგი ფინანსური მაჩვენებელი ასახავს *სასტუმროების ბიზნესს*, სადაც 2018 წლის მდგომარეობით ბრუნვის მოცულობა, 2017 წელთან შედარებით გაზდილია 27%-ით და შეადგინა 919,200 მლნ ლარი. 2019 წლის ბრუნვის მოცულობა გაზრდილია 23%-ით და და გაუტოლდა 1,132,400 მლრდ ლარს. ასევე, 2020 წლის მესამე კვარტლის მონაცემები 68.79%-ით შემცირდა და შეადგინა 353,400 მლნ ლარი.

მესამე და ასევე მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელიც უკავშირდება *ტურიზმის ბიზნესს*, ამ მიმართულებით საქართველოს რეზიდენტი და

ცხრილი N2 რესტორნების, სასტუმროების და ტურიზმის სტატისტიკური მონაცემები

რესტორნების, სასტუმროებისა და ტურიზმის წლიური ბრუნვის სტატისტიკური მონაცემები (მლნ ლარი)				
კატეგორიები	**2017**	**2018**	**2019**	**09.2020**
რესტორნები	838,700	892,400	956,700	640,600
სასტუმროები	723,600	919,200	1,132,400	353,400
ტურიზმი (ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორები)	616,100	804,600	862,800	563,700

შენიშვნა: 2020 წლის მონაცემები მოცემულია მესამე კვარტლის მდგომარეობით

შედგენილია ავტორის კვლევის საფუძვლზე (ცხრილი N2 რესტორნების, სასტუმროების და ტურიზმის სტატისტიკური მონაცემები)



გრაფიკი N3.

შედგენილია ავტორის კვლევის საფუძვლზე (გრაფიკი N3 რესტორნების, სასტუმროების და ტურიზმის წლიური ბრუნვის სტატისტიკური მონაცემები)

არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯი შემდეგნაირად განაწილდა: 2018 წლის მდგომარეობით „ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯების ბრუნვა“ 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 31%-ით და შეადგინა 804.600 მლნ ლარი, ხოლო 2019 წლის მონაცემებით აღნიშნული მონაცემები გაიზარდა 7%-ით და შეადგინა 862,800 მლნ ლარი. რაც შეეხება 2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით მონაცემებს „ტურიზმის ფინანსური მაჩვენებლები შემცირდა 34.66%-ით და ჯამში შეადგინა 563,700 მლნ ლარი.

უნდა აღინიშნოს რომ როგორც რესტორნების, ისე სატუმროებისა და ტურიზმის ბიზნესის ბრუნვის მოცულობის ტენდენცია მზარდია ბოლო სამი წლის მონაცემებით, თუ არ ჩავთვლით 2020 წლის მძიმე პერიოდს და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.მოცემული გრაფიკი N3-ში მოცემული ინფორმაცია უკეთ ასახავს გაანალიზებული ცხრილი N2-ის ფინანსური მაჩვენებლების სტატისტიკურ მონაცემებს.

მოგეხსენებათ, 2020 წელი მძიმე პერიოდი აღმოჩნდა ბიზნესისთვის, კერძოდ მძიმე ტვირთად დააწვა როგორც ტურიზმის, ისე სატუმორების და შესაბამისად რესტორნების საქმიანობას.

აღნიშნული ფაქტი უკავშირდება როგორც ეკონომიკურ, ისე მსოფლიო ფინანსურ კრიზსს, რომელიც გამოიწვია პანდემიასთან ბრძოლის შედეგად და მის წინააღმდეგ განხორციელებულმა შეზღუდვებმა.

გრაფიკი N4-ში მოცემული ინფორმაცია ასახავს სასტუმროებისა და რესტორნების 2020 წლის სრული და 2021 წლის, სამი კვარტლის გაერთიანებულ ფინანსურ მონაცემებს. რთული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად მისასალმებელია რომ მათი ბრუნვა 2021 წლის პირველი კვარტლიდან ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას მეორე და მესამე კვარტალშიც.

დასკვნები და წინადადებები

(არსებული ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გადაჭრის გზები სამეცნიერო კუთხით)

ეკონომიკაში ყველაზე მეტად მუშაობს დროის ფაქტორი. ეკონომიკური და ფინანსური სისტემის მდგრადობა გულისხმობს, რომ ორივე ერთად უნდა ინარჩუნებდეს ეფექტიანობას ნებისმიერი კრიზის პირობებში.

• საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთადერთი ვალდებულებაა ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნება, რომელსაც მან თავი ვერ გაართვა, რადგან ვალუტის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



გრაფიკი N4 სასტუმროებისა და რესტორნების 2020 წლის სრული და 2021 წლის პირველი სამი კვარტლის ბრუნვა მილიონ ლარებში

შენიშვნა: 2021 წლის ფინანსური მონაცემები მოცემულია სამი კვარტლის მდგომარეობით

გაუფასურების გამო საქართველოს ეკონომიკა უკვე ინფლაციის პრობლემის წიმაშე დგას.

• ლარის კურსის გაუფასურებაზე ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ექსპორტ-იმპორრტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გზავნილები უცხოეთიდან, ტურისტების შემოდინება.

• ლარის კურსის გაუფასურება გამოიწვევს ნდობის დაკარგვას უცხოელი ინვესტორების მიმართ, რადგან საქართველოს არასაფინანსო კომპანიებს გააჩნიათ ძალიან დიდი უცხოური ვალდებულებები, უცხოურ ვალუტაში და მათი ვალდებულებები და აქტივები ერთმანეთისაგან დაცილებულია. ამიტომ, მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს არსებული ინვესტიციების შესანარჩუნებლად და ახალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების უზრუნველსაყოფად.

• მთავრობამ უნდა შეცვალოს ეკონომიკური პოლიტიკა და ასევე, უნდა მოახდინოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კორექტირება, რადგან ტარიფების მატებას განაპირობებს სწორედ ის პოლიტიკა, რასაც საქართველოს მთავრობა ატარებს.

• ფასიანი ქაღალდების ბაზარი არის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი რგოლი, რომლის განვითარებაზე უნდა იფიქროს საქართველოს მთავრობამ. ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიც საქართველოა, განიცდიან საკუთარი სახსრების სიმცირეს. საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავებაა. გარდა ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ განუვითარებელია მეორადი ბაზარი, რაც ამცირებს ფინანსური ინდუსტრიის როგორც ფიზიკურ საზღვრებს, ასევე ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების, განსაკუთრებთ დერივატივების გავრცელებას და გამოყენებას. მეორადი ფასიანი ქაღალდების ბაზარი, არის ბაზარი, სადაც ინვესტორები, საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები და შუამავლები იმ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობენ, რომლებიც ემიტენტის მიერ უკვე გაყიდულია პირველად ბაზარზე. ინვესტორებს კი წარმოადგენენ: ფიზიკური, იურიდიული პირები და სახელმწიფო. ხოლო, შუამავლებს ბროკერები, დილერები, საკრედიტო ინსტიტუტები. საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია ჯერ იმ მასშტაბებს არ აღწევს, რომ მისი მეშვეობით საბიუჯეტო პროცესები იმართებოდეს. ამ სეგმენტის განვითარებას ხელს უშლის მეორადი ბაზრის უქონლობა, უიმისოდ კი პრაქტიკულად შეუძლებელია სახაზინო ვალდებულებების, როგორც ლიკვიდური ფინანსური ინსტრუმენტის დამკვიდრება და ამით მისთვის მომხიბვლელობის მინიჭება.

REFERENCES:

1. Gvenetadze K. „Dollarization in Georgia“ 18.06.2020 - https://forbes.ge/dolarizatsia-saqarthvelosh/ (Last checked - 23.03.2022)

2. Geradze R. „Inflation Rate in October” - https://cutt.ly/BFZsMg4 (Last checked - 23.03.2022)

3. Nadaraia O. „Inflation will Dwindle in Spring if GEL Is Stable” 06.11.2021 -https://bm.ge/ka/article/laris-kursis-stabilurobis-shemtxvevashi-gazafxulidan-inflacia-shemcirdeba---nadaraia/94835/ (Last checked - 23.03.2022)

4. Kokiauri L. „Looking for the Ways to Stop the GEL Devaluation in Georgia” “Globalization and Business” N4 / 2017, pp. 32–33, international scientific journal - https://www.eugb.ge/uploads/content/N4/4-06.pdf (Last checked - 23.03.2022)

5. Philip Arestis, Malcolm Sawyer „New Consensus Macroeconomics and Inflation Targeting: Keynesian Critique“ Introduction - Economia e Sociedade, Campinas, v. 17, Número especial, p. 629-653, dez. 2008. – https://www.scielo.br/j/ecos/a/HMv8RJyfH5Tk6QqRgHMgMQM/?format=pdf&lang=en (Last checked - 23.03.2022)

6. Jongrim Ha, Ayhan Kose, and Franziska Ohnsorge „Inflation in Emerging and Developing Economies Evoluation, Drivers, and Policies“ pg. 9,10,11,12 - file:///C:/Users/user/Downloads/9781464813757%20(1).pdf (Last checked - 23.03.2022)

7. National Bank of Georgia „The De-dollarization Policy has Become More Stringent-A New Stage Larization” 27.09.2021 - https://business-partner.ge/finansebi/dedolarizatsiis-politika-kidev-ufro-gamkatsrdeba-larizatsiis-akhali-etapi (Last checked - 23.03.2022)

8. „The Inflation Expectations and Trends in Georgia” 16.01.2017 - https://www.radiotavisupleba.ge/a/ekonomika/28236252.html (Last checked - 23.03.2022)

9. „What is the Monetary policy rate“ 21.01.2022 https://forbes.ge/ra-aris-monetaruli-politikis-ganakvethi/ (Last checked - 23.03.2022)

10. „Why does not GEL React to Devaluation of the Turkish Lira Any More? NBG Explains“ https://business-partner.ge/ekonomika/ratom-aghar-reagirebs-lari-turkuli-liris-gaufasurebaze-seb-is-ganmarteba?fbclid=IwAR3ZqBnvY2IWoHbeoRDRUMGAnAvML7Qm3AhmyIIc4JqrYx62YTgUmLcfG9E (Last checked - 23.03.2022)

11. „The National Statistics Service of Georgia” Inflation in Georgia 2021, pp. 2-3 - https://www.geostat.ge/media/42539/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98---%E1%83%93%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-2021.pdf (Last checked - 23.03.2022)

12. „The National Statistics Service of Georgia” Inflation in Georgia 2022, p. 2 - https://www.geostat.ge/media/42968/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98---%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-2022.pdf (Last checked - 23.03.2022)

13. Political Researches - Tourism Sector in Georgia - THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM pg. 6- https://www.pmcg-i.com/publications_file/eeff5fa053e6e522f.pdf (Last checked - 23.03.2022)

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

TRANSPARENCY AND EFFICIENCY OF PUBLIC FINANCIAL MANAGEMENT

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 11, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.06



Mariam Ghirsiashvili
Doctor of Business Administration
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-6879-022X
Email: Mariam.ghirsiashvili@gmail.com

Zurab Aznaurashvili
Doctor of Public Administration
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-1362-0463
E-mail: zaznaurashvili@yahoo.com

RESUME

State authorities use public finances in the processes of implementation of the governance and make decisions on the use of public finances. The transparency and cost-effectiveness of the process play an important role in this process.

The efficiency of public finance management determines the irreversible process of state development. Under the good governance, state decisions and financial transactions are available to all stakeholders. This principle ensures the involvement of citizens in the process of public financial management and increase the efficiency of public financial management.

Keywords: *Public Finance, Transparency, Efficiency.*

საჯარო ფინანსების მართვის გამჭირვალობა და ეფექტიანობა

მარიამ ღირსიაშვილი
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
ელ.ფოსტა: Mariam.ghirsiashvili@gmail.com

ზურაბ აზნაურაშვილი
საჯარო მმართველობის დოქტორი
ელ.ფოსტა zaznaurashvili@yahoo.com

აბსტრაქტი

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მმართველობითი პროცესების განხორციელების დროს იყენებენ საჯარო ფინანსებს და იღებენ გადაწყვეტილებას სახელმწიფო ფინანსების გამოყენების შესახებ. ამ პროცესში მნშვნელოვანი როლი ეკისრება პროცესის გამჭვირვალობასა და ხარჯვის ეფექტიანობას.

საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობა განაპირობებს სახელმწიფოს განვითარების შეუქცევად პროცესს. კარგი მართველობის პირობებში სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განხორციელებული ფინანსური ოპერაციები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარესთვის. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართულობას საჯარო ფინანსების მართვის პროცესში და საჯარო ფინანსების განკარგვის ეფექტიანობის გაზრდას.

საკვანძო სიტყვები: *საჯარო ფინანსები, გამჭვირვალობა, ეფექტიანობა.*

საჯარო ფინანსები არის სახელმწიფო ფულადი რესურსების განაწილებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ცენტრალურ ბიუჯეტს, ასევე ადგილობრივი და სპეციალური ფონდების რესურსების ხარჯვის საკითხებსაც და მათ ზემოქმედებას ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებზე.[1] საჯარო ფინანსები ეკონომიკის ნაწილია და გულისხმობს მთავრობის მიერ გადასახადების დაწესება/ამოღებისა და ხარჯვის პროცესს.[2]

საჯარო ფინანსების არსი სოციალურ-ეკონომიკურ განმანაწილებლობით ფუნქციებში ვლინდება, რომელიც გულისხმობს ეროვნული შემოსავლების განაწილებას შესაბამისი მიმართულებით და კონკრეტული მიზნობრივი დანიშნულებით. მსგავსი ტიპის განაწილების პროცესის მიზანი კი საბოლოო ჯამში საწარმოო ძალებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაა.[3]

საჯარო ფინანსების ფუნქცია განმანაწილებლობითის გარდა საკონტროლოც არის, რომელიც უშუალო კავშირშია განაწილების პროცესთან და მის შემოწმებას გულისხმობს. კონტროლის პროცესი მიმდინარეობს საჯარო ფინანსების მოქმედების ყველა ეტაპზე და მისი ამოცანაა საფინანსო კანონმდებლობის დაცვისა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.[4]

როგორც აღვნიშნეთ, საჯარო ფინანსები გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხარჯებსა და შემოსავლებს, სადაც ფინანსების დიდი ნაწილი ყალიბდება სახელმწიფო გადასახადების ხარჯზე. გადასახადების დაგეგმვას, მობილიზაციასა და მის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებულ პროცესებს საჯარო ფინანსების მართვა ეწოდება.

საჯარო ფინანსების მართვა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ შემოსავლების მიღებისა და ფინანსური ოპერაციების აღრიცხვის სისტემებს, ასევე საჯარო პროექტების დაფინანსებისა და საბიუჯეტო სახსრების განკარგვის პროცესს. ყველაფერთან ერთად საჯარო ფინანსების მართვა მოიცავს საკონტროლო ფუნქციასაც, რაც გამოიხატება მართვის ხსენებული პროცესების კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმებში, როგორც შიდა აუდიტის ფორმით, ასევე გარე აუდიტისა და მონიტორინგის საშუალებებით.

ევროკავშირის მხრიდან საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროგრამის მიღება სექტორული ბიუჯეტის მხარდაჭერის აუცილებელი პირობაა, სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოეყენებინა ბიუჯეტის მხარდამჭერი მექანიზმები სხვადასხვა სექტორში. საქართველოსთვის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია წარმოადგენს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის დაკისრებულ ეფექტური მართვისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების ერთგვარ საზომს.[5]

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის (PFMRS) მთავარ მიზანს წარმოადგენს ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება. თუ ქვეყანაში საჯარო ფინანსების მართვის სისტემები გაუმჯობესდება, აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდება, რაც უზრუნველყოფს:

- ფისკალურ დისციპლინას;
- მუშაობის ეფექტურობას;
- საქართველოს საჯარო რესურსების ეფექტურ განაწილებას.

საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება ქვეყნაზე დადებითად აისახა, რაც ასევე გავლენას ახდენს მომსახურების სხვადასხვა სფეროზე და ყველა იმ ადამიანზე ვინც ამ სერვისით სარგებლობს. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია არის გაგრძელება იმ ცვლილებების, რომელიც ეხება საბიუჯეტო პროცესის რეფორმებს, როგორიცაა "სტრატეგიული დაგეგმვა და ბიუჯეტის მომზადება", "ბიუჯეტის შესრულება", "ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება" და "აუდიტი და ზედამხედველობა". საჯარო ფინანსების მართვის სისტემა თავის თავში მოიცავს ბიუჯეტის მომზადების პროცესს, ასევე მის შესრულებას და რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად არსებობს სამოქმედო გეგმები, რომლებიც მოიცავს ისეთ სტრატეგებს როგორიცაა გარე აუდიტი, შესყიდვები, და საპარლამენტო ზედამხედველობა. სამოქმედო გეგმაში მოცემულია ისეთი სტატეგიული მიმართულებები, როგორიცაა ბიუჯეტის მომზადება, მისი შესრულება, სახელმწიფო ინვესტიციები, ბუღალტრული აღრიცვა და ანგარიშგება, შიდა კონტროლი და შიდა აუდიტი. ყურადღება ასევე გამახვილებულია მუნიციპალურ დონეზე ფინანსების მართვის სფეროებზე.

გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო ფინანსების მართვის სისტემა მოიცავს ბიუჯეტის მომზადებას-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

თან, მის შესრულებასთან და საბიუჯეტო რესურსების განაწილებაზე ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიას აქვს საჯარო ფინანსების მართვაზე პასუხისმგებელი ყველა ორგანოს გაერთიანების უდიდესი პერსპექტივა. შესაბამისად, არსებობს დეტალური სამოქმედო გეგმები, რომლებიც ეფუძნება ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა გარე აუდიტის სტრატეგია, შესყიდვების სტრატეგია და საპარლამენტო ზედამხედველობის სტრატეგია, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებლობაში შემავალ სტრატეგიულ მიმართულებებს: ბიუჯეტის მომზადება, სახელმწიფო ინვესტიციები, ბიუჯეტის შესრულება, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშვალდებულება, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი და შიდა აუდიტი, ასევე გადასახადები და შემოსავლები.

საქართველოში დეცენტრალიზაციის ხარისხის გათვალისწინებით, ყურადღება ასევე მახვილდება მუნიციპალიტეტების ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ სფეროებზე. ბიუჯეტის შესრულების (ანგარიშგების და ბუღალტრული აღრიცხვის) და შესყიდვების მიმართულებით არსებული სისტემები ძირითადად საერთოა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, თუმცა არსებობს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ბიუჯეტის ფორმულირება და ზედამხედველობა, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ადგილობრივი ხელისუფლების კონტექსტში.

აღნიშნული რეფორმა არის ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილი, სწორედ ამიტომ კონსულტაციებში ჩართულნი არინ ისეთი საერთაშორისო პარტნიორები, როგორებიც არიან ევროკავშირი, GIZ, მსოფლიო ბანკი და სხვა.

როგორც უკვე აღინიშნა PFMRS-ის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია საჯარო ფინანსების მართვის სისტემების გაუმჯობესებით, რაც უზრუნველყოფს ფისკალურ დისციპლინას, მუშაობის ეფექტურობას და საქართველოს საჯარო რესურსების ეფექტურ განაწილებას. საჯარო სერვისების მიწოდებისთვის საბიუჯეტო რესურსების მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება დადებითად აისახება მომსახურების ყველა სფეროზე და ამ მომსახურებებით მოსარგებლე მოქალაქეებზე.

საჯარო ფინანსების მართვა არის კომპლექსური საკითხი, რომელიც მრავალ ეტაპს მოიცავს. ამ პროცესების გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია მისი საზოგადოებრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, რაც იძლევა საზოგადოებრივი საკითხების შესახებ განხორციელებული პროცესების საჯაროობის საშუალებას.

ქვეყნის განვითარებისთვის მნიშნელოვანია მმართველობითი გადაწყვეტილებების გამჭვირვალედ მიღება, რაც ამცირებს ფარული შეთანხმებებისა და გარიგებების ალბათობას. დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გამჭვირვალობა იძლევა საშუალებას მაქსიმალურად შემცირდეს უკანონო გარიგების რისკები.

კანონდარღვევების ძირითად გამოვლინებებთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარი მექანიზმი გამჭვირვალე მმართველობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესია. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სახელმწიფო შესყიდვები, რომელიც საჯარო ფინანსების განკარგვის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა.

სახელმწიფო შესყიდვების დროს მიიღება საჯარო ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლის შედეგადაც ხორციელდება რესურსების ხარჯვა და სახელმწიფო პროექტების შესრულების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, რომელიც მოქალაქეების მხრიდან საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მონიტორინგსაც უზრუნველყოფს.

გამჭვირვალობის პრინციპების გამოყენების საფუძველზე ხარჯვასთან დაკავშირებული საკითხები უფრო მეტად მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული ხდება და ძირითადად ხმარდება დაინტერესებული მხარეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს კონკურენციის ზრდას, რაც ეკონომიურობისა და ეფექტიანობის მიზნების მიღწევას უწყობს ხელს.

საჯარო ფინანსების მართვის პროცესში უმნიშვნელოვანესია ეფექტიანობის პრინციპების დაცვა. ეფექტიანობა არის მდგომარეობა, როდესაც ხარჯის შედეგთან შეფარდებით ხდება დადებითი ბალანსის მიღება.[6] ეკონომიკური ეფექტიანობის თეორია იცნობს ორ პრინციპს პარეტო ეფექტიანობისა და გაუმჯობესების პრინციპებს. პარეტო ეფექტიანობა არის როდესაც ეფექტის მიღწევა ხდება ერთი მხარის მიერ მეორესთვის ზიანის მიყენების გზით, ხოლო გაუმჯობესება არის პროგრესის მიღწევა სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე.[7]

ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპების საჯარო ფინანსების მართვაში გააზრების შედეგად შეგვიძლია დავინახოთ იგივე მდგომარეობა, როდესაც საბიუჯეტო რესურსების განკარგვის შესახებ მმართველობითი გადაწყვეტილების დროს უმეტეს შემთხვევებში ხდება ერთი საკითხისთვის განკუთვნილი თანხების მეორეში გადატანა, რის შედეგადაც პირველ პრობლემას ადგება ზიანი. მართვის ეფექტიანობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საბიუჯეტო რესურსების გამოყენება მოხდეს პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად, რაც გულისხმობს თანხების მხოლოდ ისეთ საჭიროებებზე გადანაწილებას, რომელსაც პირველ რიგში ესაჭიროება იგი.

საჯარო ფინანსების მართვის სფეროში შესაძლებელია გაუმჯობესების პრინციპიც იქნეს გამოყენებული, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში თუ კონკრეტული სფეროდან შიდა რესურსების გამოყენებით მოხდება თანხების მოძიება და იმავე სფეროში დახარჯვა, მაგალითად სოფლის მეურნეობაში მოქმედი სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც იყენებენ როგორც საბიუჯეტო რესურსებს, ასევე საკუთარ შემოსავლებს, კომპანიების საქმიანობების გაუმჯობესების მიზნით.

საბიუჯეტო რესურსების განკარგვის დროს ეფექტიანობის შეფასება რთული საკითხია, თუმცა შესაძლებელია დეტალური ანალიზისა და სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენების საშუალებით. ეფექტიანობის დასადგენად ტარდება აუდიტი, რომლის მიზანიც არის იმის დადგენა თუ რამდენად იქნა მიღებული გაწეული ხარჯის შესაბამისი სარგებელი.[8]

ეფექტიანობის შესაფასებლად გამოიყენება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი კრიტერიუმების ანალიზის მეთოდები, როგორებიც არის ეკონომიურობა (Economy), პროდუქტიულობა (Efficiency) და ეფექტიანობა (Effectiveness). აუდიტის ჩატარება მოიცავს საქმიანობის შეფასებას სწორედ აღნიშნული კრიტერიუმების შეფასების კუთხით. საჯარო ფინანსების ეფექტიანობის შეფასების პროცესი მოიცავს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სრულ ციკლს მისი დაგეგმვიდან სარგებლის მიღებამდე.[9]

ჩვენი აზრით, სავალდებულოა, რომ პირველ რიგში დაგეგმვა და პრიორიტეტების განსაზღვრა განხორციელდეს სწორად, რომ ხარჯვა და სარგებლის მიღება იყოს რეალური საჭიროებისა და მიზნების შესაბამისი. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ პროცესის თითოეული ეტაპი განხორციელდეს კეთლსინდისიერად და სახელმწიფო მიზნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად.

სწორედ მსგავსი საკითხების უზრუნველყოფისა და შესაბამისი რეფორმების განხორციელების მიზნით იქმნება სახელმწიფო სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები. საქართველოს შემთხვევაში ყველაზე ახალი, როგორც უკვე აღინიშნა, არის 2018-2021 წლების შესახებ მომზადებული „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია“.[10]

მრავალი მიზეზის გამო საჯარო სექტორი რეფორმირებს თავის სააღრიცხვო სისტემაში. პირველი მიზანია უზრუნველყოს საჯარო ფინანსების სამართლიანი წარმოდგენა, რაც უკავშირდება სამთავრობო ოპერაციების სრული ხარჯების შეფასებას. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტილი ასოცირდება გაუმჯობესებულ გამჭვირვალობასთან და ანგარიშვალდებულებასთან, რესურსების სტრატეგიულ მენეჯმენტთან და ხარჯების ცნობიერებასთან და მართვასთან.

ზოგადად, საჯარო მმართველობა უნდა იყოს მოდერნიზებული ბიუჯეტის შესრულების ეთიკის დანერგვით. ამასთან, ფინანსური კრიზისი და სახელმწიფო ვალის მაღალი დონე წარმოჩინდება სრული შესადარებელი ფინანსური ანგარიშგების წარდენისას.

საჯარო ფინანსების მართვის პრინციპების გამოყენება მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის, რადგანაც მისი ეფექტიანობა განაპირობებს სახელმწიფოს განვითარების შეუქცევად პროცესს. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართულობას მართვის პროცესში და ხელს უწყობს საჯარო ფინანსების განკარგვის ეფექტიანობის ზრდას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

REFERENCES:

1. Kakulia R., Djibouti A., Bakhtadze L. Public Finance, Tbilisi, 2010 p. 9
2. Rosen H. S., Public Finance, Princeton University, CEPS Working Paper No. 80, 2002, p. 1-2
3. Hyman D. N., Public Finance: A Contemporary Application of Theory and Policy, Cengage Learning, 10th Edition, 2011;
4. Kakulia R., Djibouti A., Bakhtadze L. Public Finance, Tbilisi, 2010 p. 13-16
5. "Public Financial Management Reform Strategy" https://www.mof.ge/images/File/strategia/2018/PFMRS-2018-2021-2606-final.pdf 2018-2021
6. Kenneth A.J., Economic Welfare and Allocation of Recourses for Invention, Princeton University Press, 1962, p. 609-610
7. Kakulia R., Djibouti A., Bakhtadze L. Public Finance, Tbilisi, 2010 p. 24-25
8. State Audit Office Performance Audit Methodology - http://sao.ge/files/kanon-mdebloba/PA%20Leaflet%20GEO.pdf
9. Heming R., Potter b. And Allen R .; The International Handbook of Public Financial Management, Palgrave Macmillan Publishing, 2013
10. "Public Financial Management Reform Strategy" https://www.mof.ge/images/File/strategia/2018/PFMRS-2018-2021-2606-final.pdf 2018-2021 - Last Login 17.01.2022
11. Matthias Mering, External and Parliamentary Financial Control, GIZ Public Financial Management Program in the South Caucasus, Bonn, Germany, 2014;
12. Backhaus J.G., Wagner R.E., Handbook of Public Finance, Kluwer Academic Publishers, Boston, USA, 2004
13. Public Financial Management Performance Measurement Framework, PEFA Secretariat, Washington DC, USA, 2011
14. Rose HS, Public Finance, Georgian Institute of Public Affairs, Tbilisi, 2006
15. Tsaava G. And Khantadze G., Public Finance, Dani Publishing House, Tbilisi, 2015

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE COVID-19 PANDEMIC AND THE CHALLENGES OF ORGANIZATIONAL CHANGE

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: February 19, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.07

Davit Gavardashvili
Doctoral Student of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-9375-2559
E-mail: Dato.gavardashvili1@gmail.com

ABSTRACT

Business is an important element of a country's economy. The level of business development gives us an idea of the country's economic well-being and other macroeconomic indicators. Businesses and their functioning are particularly affected by ongoing processes in the country or in the world. As the environment is constantly changing, timely and specific organizational changes play a special role in the activities of companies.

Covid pandemic has had a significant impact on the performance of companies. Restrictions imposed by the government have created some difficulties for the business sector. Lots of companies closed, some were able to and continued to operate. With all of this in mind, implementing organizational transformations has become critically important.

The article focuses on the effects of pandemics, the growing role of organizational change in the co-pandemic period, as well as the challenges of change and the approaches used to overcome them. At the same time, the article discusses the challenges facing the company JSC "healthy Water" during the organizational changes.

Keywords: *Covid-19, Organizational Change, Challenges of Change, Mechanisms for overcoming Resistance.*

COVID-19 პანდემია და ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევები

დავით გავარდაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
Dato.gavardashvili1@gmail.com

აბსტრაქტი

ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. მისი განვითარების დონე წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. ბიზნეს სუბიექტებზე და მათ ფუნქციონირებაზე განსაკუთრებულად მოქმედებს ქვეყანაში თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. ვინაიდან გარემო მუდმივად იცვლება, კომპანიათა საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება დროული და კონკრეტული ორგანიზაციული ცვლილებების გატარებას.

კოვიდ პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კომპანიათა საქმიანობაზე. მთავრობის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა გარკვეული სირთულეები შეუქმნა ბიზნეს სექტორს. უამრავი კომპანია დაიხურა, ზოგიერთმა კი შეძლო და გააგრძელა საქმიანობა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ორგანიზაციული

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

გარდაქმნების განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანი და აუცილებელი გახდა.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია პანდემიის ეფექტზე, ორგანიზაციული ცვლილებების როლის ზრდაზე კოვიდ-პანდემიურ პერიოდში, ასევე საუბარია ცვლილებების დანერგვის დროს არსებულ გამოწვევებზე და იმ მიდგომებზე, რომლებიც გამოიყენება წინააღმდეგობების დასაძლევად. ამავდროულად, სტატიაში განხილულია კომპანია სს „წყალი მარგებელის" წინაშე არსებული გამოწვევები ორგანიზაციული ცვლილებების დროს.

საკვანძო სიტყვები: *Covid 19, პანდემია, ორგანიზაციული ცვლილებები, ცვლილებათა გამოწვევები, წინააღმდეგობის დაძლევის მექანიზმები.*

შესავალი

გლობალიზაციის პირობებში კომპანიათა უმეტესობა აქტიურად მიმართავს ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებას. ეს განპირობებულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მუდმივი ცვალებადობით. კონკურენცია, ტექნოლოგიური განვითარება, მიკრო და მაკრო გარემოში არსებული ფაქტორების ცვლილება აიძულებს მათ, მიმართონ გარდაქმნებს.

კოვიდ პანდემიამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ბიზნეს გარემოს. კომპანიები მოულოდნელად ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. ერთი მხრივ, შეიცვალა მომხმარებელთა ქცევა და ,მეორე მხრივ, მთავრობის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა კომპანიებს სირთულეები შეუქმნა. ზოგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგა მათი ფუნქციონირების საკითხი. ამ ვითარებაში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ორგანიზაციული ცვლილებების გატარება. არათანმიმდევრულმა რეგულაციებმა, კომპანიების დაგვიანებულმა და არასწორმა ცვლილებებმაც თავისი ზეგავლენა იქონია და კომპანიების გარკვეულმა ნაწილმა შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა.

კოვიდ პანდემიის გავლენა საქართველოს ბიზნეს გარემოზე

კოვიდ პანდემიამ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. იგი შეეხო ყველა სექტორსა და მიმართულებას, ბიზნესის ყველა სფეროს. ამ მხრივ არც საქართველო იყო გამონაკლისი. ვირუსის გავრცელებისთანავე საქრთველოს მთავრობამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველომ ინვესტორთა საბჭოს მხარდაჭერით (PwC საქართველომ) ჩაატარა კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა Covid-19-ის ეფექტის შესწავლას საქართველოს ეკონომიკასა და ბიზნესზე. კვლევა ჩატარდა 2020 წლის 16-27 აპრილის შუალედში და ძირითადი მიზანი იყო ბიზნესის „პირველადი" რეაქციის დაფიქსირება პანდემიურ სიტუაციაზე, ასევე პანდემიის ზეგავლენის მასშტაბებისა და გამოწვევების შეფასება. სულ გამოიკითხა 1938 კომპანია, მათ შორის მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნეს სუბიექტები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მიგნებები. კერძოდ:

- გამოკითხული კომპანიების 65% მთავარ გამოწვევად ასახელებდა მოთხოვნის შემცირებას;
- მიკრო თვითდასაქმებული საწარმოების 59%-მა შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა;
- საშუალო ზომის კომპანიების 56%-მა და მსხვილი ბიზნეს სუბიექტების 61%-მა შეძლო და თანამშრომლები დისტანციურ რეჟიმზე გადაიყვანა;
- გამოკითხული კომპანიების 50%-ზე მეტმა შეამცირა თანამშრომელთა რაოდენობა;
- სექტორული ჭრილის მიხედვით საქმიანობა შეაჩერა სასტუმროებისა და კვების სფეროში მოღვაწე კომპანიების 66%-მა, ვაჭრობის სექტორის 57%-მა, მშენებლობის სექტორის 53%-მა და სხვა მომსახურების სფეროს წარმომადგენლების 50%-მა.

პანდემიამ პრობლემა შეუქმნა კომპანიებს ლიკვიდურობის მხრივ. კომპანიათა უმეტესობა დაფინანსების მოძიების გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. (უილიამსი, შერმანდინი, ჩოლოყაშვილი, & გოგატაძე, 2020)

აღნიშნული კვლევა მიუთითებს თუ რამდენად ძლიერი ზემოქმედება მოახდინა პანდემიამ ბიზნესზე. ამის გათვალისწინებით განსაკუთრებულად საყურადღებოა, რომ კომპანიებმა სწორი ორგანიზაციული ცვლილებები გაატარონ. ყოველი ცვლილება მიმართული უნდა იყოს კრიზისული სიტუაციის შემსუბუქებისა და განვითარებისაკენ. თუმცა ორგანიზაციული ცვლილებები თავის მხრივ გარკვეულ გამოწვევებთან ასოცირდება, რომელიც უნდა დაიძლიოს.

ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების დროს არსებული წინააღმდეგობები

ორგანიზაციული ცვლილებების წარმატებით განხორციელებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს.

იმისათვის რომ განხორციელებული ცვლილებები იყოს შედეგის მომტანი, მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ის წინააღმდეგობა, რომელიც თან ახლავს ცვლილებათა მართვის პროცესს.

ცვლილებათა პროექტების მართვა მარტივი არ არის. არსებობს მიზეზები, რომლებიც ცვლილებათა ინიციატივის ჩავარდნას იწვევენ. მაგალითად, ესენია:

- კომპანიის უუნარობა, დროულად აითვისოს ტექნოლოგიები;
- არასწორად განსაზღვრული მიზნები;
- არასწორად შერჩეული სფერო ;
- კომუნიკაციის ნაკლებობა;

მენეჯმენტის არაკომპეტენტურობა. (რობინსი & კოულტერი, 2019)

კოვიდ პანდემიის პერიოდში ზემოთ ხსენებული გამოწვევები კიდევ უფრო მეტად საჭიროებს ყურადღებას და პროცესების სწორად დაგეგმვას. მნიშვნელოვანია რომ მენეჯმენტს კარგად ესმოდეს ცვლილებათა გატარებისა და წინააღმდეგობათა დაძლევის სტრატეგიები. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ცვლილებების დროს არის თანამშრომელთა მხრიდან წინააღმდეგობის დაძლევა. ხელმძღვანელობამ ყოველი ცვლილების დროს უნდა განიხილოს ადამიანური მხარე ორგანიზაციულ კონტექსტში. როგორც წესი, თანამშრომლები ორგანიზაციულ გარდაქმნებს სხავდახვა მიზეზებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგებიან. ეს შეიძლება იყოს ტექნიკურ ან ადამიანურ ფაქტორებთან დაკავშირებული. კერძოდ:

- არაეფექტური კომუნიკაცია
- ორგანიზაციაში არსებული კონფლიქტები
- მენეჯმენტის ბუნდოვანი მიზნები
- შედეგების განსხვავებული აღქმა

იმის გათვალისწინებით რომ კოვიდ პანდემიამ სამუშაო ფორმატი სრულიად შეცვალა, გაჩნდა დასაქმებულთა კონტროლის, მოტივირებისა და მათთან კომუნიკაციის პრობლემა. შესაბამისად, აუცილებელია მენეჯმენტს მკაფიოდ ჰქონდეს ჩამოყალიბებული ის სტრატეგიები, რომელთა მეშვეობითაც შეძლებს ამ გამოწვევის დაძლევას.

ორგანიზაციულ ცვლილებათა წინააღმდეგობების დაძლევის გზები

ადამიანთა უმეტესობა ნეგატიურად უყურებს ცვლილებათა განხორციელების პროცესს. ისინი ეწინააღმდეგებიან ყოველივე ამას, ვინაიდან ეშინიათ არსებული წესის დანგრევის. წინააღმდეგობის დასაძლევად მენეჯმენტმა უნდა მიმართოს სამ საფეხურიან მეთოდს. კერძოდ:

- ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის აღქმა - ორგანიზაციის წევრებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ ცვლილებების საჭიროება;
- ახალი ხედვის ჩამოყალიბება - უმთავრესია ტრანსფორმირებული ორგანიზაციისათვის დადებითი იმიჯის შექმნა;

მოტივაცია ცვლილებების განხორციელებისათვის - მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა მოტივირება და წახალისება ცვლილებების განხორციელებისათვის. (დიხამინჯია, 2019)

წინააღმდეგობის დაძლევის ერთი უნივერსალური გზა არ არსებობს, თუმცა გამოიყოფა ის კომპონენტები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება პერსონალის მოტივირება, მათი მხარდაჭერის მოპოვება და ცვლილებების წარმატებით განხორციელება. ესენია:

- კომუნიკაცია - ღია კომუნიკაცია ერთ-ერთი საუკეთესოა წინააღმდეგობის დასაძლევად. იგი უნდა მოიცავდეს ინდივიდუალურ შეხვედრებსა და ჯგუფურ დისკუსიებს.
- მონაწილეობა - მენეჯერის მხრიდან დაგეგმვის პროცესშივე პოტენციური მოწინააღმდეგების ჩართვა გამოიწვევს წინააღმდეგობის შესუსტებასა და ცვლილებებზე ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლას.
- მოლაპარაკებები და შეთანხმებები - ცვლილებების დროს აუცილებელია კონსენსუსის მიღწევა და ოპონენტების სტიმულირება.
- მანიპულირება - ცვლილებების განხორციელება ზოგჯერ თანამშრომელთა მანიპულირების გზით მიიღწევა.

ფარული და აშკარა იძულება - ცვლილება შეიძლება იყოს იძულებითი ხასიათის. იძულება უმეტესად საჭირო ხდება კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც აუცილებელია დროული რეაგირება. (George & Jones, 2012, pp. 550-551)

წინააღმდეგობის დაძლევის დროს საუკეთესოა რამდენიმე მათგანის ერთობლივი გამოყენება. უპირველესად, აუცილებელია ეფექტური კომუნიკაცია. პანდემიამ ნათელი გახადა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კომუნიკაცია თანმშრომლებთან. ნებისმიერი გადაწყვეტილება, ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს ეფექტური კომუნიკაციის არსებობას. თანამშრომელთა დისტანციური მართვაც ერთგვარი სიახლეა ქართული კომპანიებისათვის, რომელიც ასევე მოითხოვს მენეჯერის მხრიდან კარგად დაგეგმილი ღონისძიებების გატარებას.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ორგანიზაციული ცვლილებების ანალიზი სს „წყალი მარგებელის“ მაგალითზე

კომპანია რომლის მიმართებითაც ჩავატარეთ კვლევა არის სს „წყალი მარგებელი“. აღნიშნული კომპანია წარმოების სფეროში ოპერირებს და ლიდერის პოზიცია უკავია. „წყალი მარგებელმა“ მრავალი ცვლილება გაატარა, მათ შორის პანდემიურ პერიოდში. კერძოდ:

1) თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი გადაყვანილ იქნა დისტანციურ რეჟიმზე;

2) შემუშავდა კომპანიაში მენეჯერთა მორიგეობის გრაფიკი. პროცესები დაიგეგმა იმგვარად, რომ არ ხდება ამა თუ იმ დეპარტამენტის კვეთა საწარმოში;

3) წარმოების პროცესში მყოფ თანამშრომლებს საწარმოში მოსვლისთანავე მოეთხოვებათ სპეციალური ტანსაცმლის ჩაცმა.

4) გაიზარდა ადმინისტრაციის ფუნქცია საწარმოში დაწესებული მოთხოვნების შესრულებასა და კონტროლზე.

ყოველი ცვლილება სხვადასხვა გამოწვევის ფონზე მიმდინარეობდა. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო თანამშრომელთა დამოკიდებულების შესწავლა. ამისათვის გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. განისაზღვრა კვლევის დიზაინი - დესკრიპტული. დამუშავდა სტრუქტურირებული ანკეტა. გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ მეთოდით. სულ გამოიკითხა 27 თანამშრომელი.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა შემდეგი ჰიპოთეზები.

H_1=ორგანიზაციული ცვლილებების წარუმატებლობა უმეტესად გამოწვეულია თანამშრომელთა მხრიდან არსებული წინააღმდეგობით.

H_2=ორგანიზაციული ცვლილებების წარმატებულად დანერგვისათვის უმთავრესად საჭიროა თანამშრომლებთან ეფექტური კომუნიკაცია და მათი ჩართულობა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი.



დიაგრამა 1

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა 44,4% დადებითად აფასებს ორგანიზაციულ ცვლილებებს და თვლის რომ პოზიტიური პროცესია. 40,7% კი ნეიტრალურად, ხოლო 14,8% უარყოფითად უყურებს ცვლილებებს.



დიაგრამა 2

ცვლილებების წარუმატებლობის მთავარ ფაქტორებად გამოიკვეთა თანამშრომელთა მხრიდან არსებული წინააღმდეგობა და მენეჯმენტის არასაკმარისი მხარდაჭერა.



დიაგრამა 3. თანამშრომელთა წინააღმდეგობის მთავარი ფაქტორებია ცვლილებების შინაარსის გაურკვევლობა (44,4%) და მენეჯმენტის ბუნდოვანი მიზნები (40,7%). ამავე დროს, როლებისა და პასუხისმგებლობების შესაძლო ცვლილება.



დიაგრამა 4. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ასევე შემდეგი. მენეჯერი ცვლილებების დაწყებამდე თანამშრომლებთან დისკუსიებს მართავს, თუმცა ცვლილებების პროცესში ნაწილობრივ აწვდის ინფორმაციას და ზოგ შემთხვევაში კითხვებს ღიად არ პასუხობს.



დიაგრამა 5. ჩართულობის თვალსაზრისით, გამოკითხულთა უმრავლესობა 40,7% აღნიშნავს რომ შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ პროცესში. 29,6% აცხადებს რომ ცვლილებებში მხოლოდ ზედა რგოლის მენეჯერები მონაწილეობენ.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)



დიაგრამა 6

გამოკითხვის შედეგად დასახელდა რამდენიმე ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ცვლილებების წარმატებულად განხორციელებისათვის. მათგან უმთავრესია ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლების ჩართულობა.

დასკვნა

შეჯამების სახით, აღვნიშნავთ რომ პანდემიამ კომპანიათა საქმიანობაზე ძლიერი ზეგავლენა იქონია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა ორგანიზაციული ცვლილებების გატარება. ორგანიზაციულ ცვლილებებს თან ახლავს გამოწვევები, რომელთაგან ყველაზე მეტად საყურადღებოა თანამშრომელთა მხრიდან არსებული წინააღმდეგობა.

ჩვენს მიერ შესწავლილი კომპანის მაგალითიდანაც დადასტურდა, რომ ცვლილებათა წარუმატებლობას უმთავრესად ეს უკანასკნელი განაპირობებს. მის დასაძლევად კი აუცილებელია თანამშრომლებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ჩართულობა. განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, ვინაიდან თანამშრომელთა დისტანციური მართვა და ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს მენეჯმენტი, მოითხოვს აქტიურ მხარდაჭერას თანამშრომელთა მხრიდან.

REFERENCES:

1. Dikhaminjia, I. (2019). Strategies for Implementing Change. Business & Law, 1 (4), 41-44.
2. Robins, S. P., & Coulter, M. (2019). Management (12th ed.). Tbilisi: TSU Publishing.
3. Williams, K., Shermandini, T., Cholokashvili, N., & Gogatadze, A. (2020). Georgian Business in the face of Covid-19 Pandemic. PwC-PricewaterhouseCoopers.
4. George, J. M., & Jones, G. R. (2012). Understanding and Managing Organizational Behavior (6th ed.). New Jersey: Pearson Education.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ON SOME MODERN DIRECTIONS FOR THE ECONOMICS RESEARCH

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: January 11, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.08

Gia Kvashilava
PhD Student in Economics at GTU,
Mathematician at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Academician of the Abkhazian National Academy of Sciences (Georgia),
Honourable Member of the Georgian Academy of Business Sciences,
Member of the European Mathematical Society,
Member of the Linguistic Society of Europe,
Member of the International Linguistics Association (USA),
Member of the Mediterranean Studies Association (USA)
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-8511-0203
E-mail: Gia.Kvashilava@tsu.ge
https://TSU-ge.Academia.edu/GiaKvashilava

ABSTRACT

The paper presents the various directions of the research of economics as the system to according special literature.

The author shall explain below the meaning of Static and Dynamic Economics, Comparative Economics, Mathematical Economics, Historical Economics, Economic Paleontology, and Prehistoric ('pre-literary history') Economics.

The topic involves the problem of the reconstruction of prehistoric economic systems. The prehistoric economics encompasses the period from the origins of human history to the advent of written records. Human prehistory is divided into three successive periods: the Stone Age, the Bronze Age, and the Iron Age.

Keywords: *Research of Economics, Economic System, Static and Dynamic Economics, Comparative Economics, Mathematical Economics, Historical Economics, Economic Paleontology, Prehistoric Economics.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკონომიკის კვლევის ზოგიერთი თანამედროვე მიმართულების შესახებ

გია კვაშილავა
სტუ-ს ეკონომიკის დოქტორანტი,
მათემატიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (საქართველო) აკადემიკოსი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი,
ევროპის მათემატიკური საზოგადოების წევრი,
ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი,
საერთაშორისო ლინგვისტიკური ასოციაციის (აშშ) წევრი,
მედიტერანული კვლევების ასოციაციის (აშშ) წევრი
E-mail: Gia.Kvashilava@tsu.ge
Gia.Kvashilava@tsu.ge

აბსტრაქტი

შრომაში წარმოდგენილია ეკონომიკის როგორც სისტემის კვლევის სხვადასხვა მიმართულება სპეციალური ლიტერატურის მიხედვით.

ავტორი ქვემოთ განსაზღვრავს სტატიკური და დინამიკური ეკონომიკის, შედარებითი ეკონომიკის, მათემატიკური ეკონომიკის, ისტორიული ეკონომიკის, ეკონომიკური პალეონტოლოგიისა და წინარეისტორიული (ისტორიამდელი ხანის) ეკონომიკის მნიშვნელობას.

თემაში დასმულია წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემების რეკონსტრუქციის (აღდგენის) პრობლემა. წინარეისტორიული ეკონომიკა მოიცავს ადამიანის წარმოშობის ისტორიიდან წერილობითი ძეგლებით დამოწმებულ ეპოქამდე.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის კვლევა, ეკონომიკური სისტემა, სტატიკური და დინამიკური ეკონომიკა, შედარებითი ეკონომიკა, მათემატიკური ეკონომიკა, ისტორიული ეკონომიკა, ეკონომიკური პალეონტოლოგია და წინარეისტორიული ეკონომიკა.*

შესავალი

მატერიალური ცხოვრების საერთო, კონკრეტულ-ისტორიული პირობების დროს გარკვეულ წარმოებით ურთიერთობაში მყოფი ადამიანთა ჯგუფის ანუ საზოგადოების ეკონომიკური განვითარება მუდმივად ცვალებადი პროცესია, რომელიც დღითი-დღე რთულდება და მოითხოვს მისი შესწავლისადმი მრავალმხრივ მიდგომას. ამიტომ, ამის შესაბამისად, ჩნდება ეკონომიკის კვლევის ახალი დარგები და მიმართულებები, რომლებიც აღწერენ მას სხვადასხვა კუთხით. ამ მხრივ ბოლო დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებში (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია და სხვა) შემუშავებული მეთოდების გამოყენება; მაგრამ მათი თავმოყრა და გამოყენება ეკონომიკის როგორც ობიექტური რეალობის კვლევისა და გაგებისთვის მისი მთლიანობასა და ისტორიული განვითარების პროცესში ჯერ კიდევ არაა დასრულებული და ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად დღემდე რჩება. ეს შრომა აღნიშნულ საკითხს ეხება.

ძირითადი ტექსტი

„ეკონომიკა როგორც ობიექტური რეალობის, ანუ იგივე მატერიალური სინამდვილის სფერო, – ესაა სწორედ ადამიანთა მიერ ბუნების საგნების მითვისება თავიანთ მოთხოვნილებათა შესაბამისად გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში და მათ მეშვეობით, ანუ ესაა ადამიანთა მიერ საარსებო საშუალებათა (იგივე მატერიალური დოვლათის) შექმნის (მოპოვების, დამზადების), ანუ საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ერთობლიობა“ (სიჭინავა 2011:35, 36).

ეკონომიკური სისტემა შესაძლებელია შესწავლილი იქნეს ანალიზისა და სინთეზის კვლევის

მეთოდებით, სტატიკური და დინამიკური მდგომარეობებით (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:172, 248–256). მას ელემენტებად ვშლით და ვარკვევთ მათ შორის არსებულ მიმართებებს. ეს ანალიზის ანუ დანაწევრების მეთოდია. სინთეზის მეთოდის დროს ხდება მოცემულ ელემენტთა კომბინირება, რომელთა მიხედვით აიგება ახალი სისტემა (სიჭინავა და სხვ. 2019:255).

უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკის შესწავლა აბსტრაქტული მოდელების აგების გზით, რომლის ინტერპრეტაციისას მივიღებთ განსახილველ ეკონომიკურ სისტემებს. ეკონომისტი აგებს თავის მოდელს პირობით სამყაროს მიმართ, რომელშიც რეალობა მეტ-ნაკლებად გამარტივებულია, და ახასიათებს რეალურ ეკონომიკურ სისტემას ამ მოდელთან შედარების გზით (სიჭინავა და სხვ. 2019:290–295).

ეკონომიკური სისტემების რაღაც ელემენტთა გამოყოფა და მათი გარკვეული წესით კომბინაცია, მოდელირება იძლევა ეკონომიკური სისტემის სტატიკურ აღწერას, ანუ ეკონომიკურ სისტემის შესწავლას დროის ერთ გარკვეულ მცირე პერიოდში, რომლის განმავლობაში ეკონომიკა განიხილება როგორც უცვლელი მდგომარეობა.

სტატიკურ სისტემათა დინამიკა[1] დროსთან მიმართებით იძლევა ეკონომიკური სისტემის ისტორიული განვითარების თანამიმდევრობას. ეკონომიკურ სისტემათა სტატიკური საფეხურების დროის მიხედვით თანმიმდევრობითი აღწერა დინამიკური ეკონომიკის (Dynamic Economics) ამოცანაა (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:34, 144, 172, 294). ამდენად, ეკონომიკის დინამიკური ანალიზი გულისხმობს ეკონომიკის ცალკეულ სტატიკურ სისტემათა თანამიმდევრული ტრანსფორმაციის აღწერას. მაშასადამე, მეთოდოლოგიურად ეკონომიკის როგორც სისტემის სტატიკური აღწერა, რომელიც არის ეკონომიკურ სისტემაში შემავალი ელემენტებისა და მათი ურთიერთმიმართებებისა, წინ უსწრებს ეკონომიკის დინამიკურ შესწავლას.

ეკონომიკური სისტემების ელემენტთა კანონზომიერი მიმართებანი დინამიკურ უნივერსალიებს ეკუთვნიან და გადმოიცემა შემდეგი ფორმულის სახით: $\forall E,\ E \in U \Rightarrow \exists x \in E$, რაც აღნიშნავს იმას, რომ „ნებისმიერი E-სთვის, თუ E არის ეკონომიკა (ე.ი., ერთი სტატიკური მდგომარეობა), მაშინ არსებობს ერთი მაინც x ელემენტი E-სი“. უნივერსალიათა კატეგორიას ეკუთვნის შემდეგი დებულება: „ნებისმიერი ეკონომიკა იცვლება“, მაგრამ აუცილებელი არაა ეკონომიკაში ყველაფერი იცვლებოდეს. პირიქით, როგორც წესი, ეკონომიკური სისტემის რომელიმე ერთი ნაწილი დროთა ვითარებაში იცვლება ზოგჯერ ევოლუციურად, ანდა ზოგჯერ რევოლუციურად, მაშინ როდესაც მისი მეორე ნაწილი უცვლელი რჩება.

ეკონომიკის განვითარება ისტორიული თანამიმდევრობით უწყვეტად მიმდინარეობს, ანუ უწყვეტი ტრანსფორმაცია ხდება დროში გარკვეულ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემისა, რომლის დანაწევრებას ეკონომისტი ახდენს და განიხილავს ეკონომიკის დისკრეტულ, ცალკეულ მდგომარეობებს საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებით. რაც უფრო მცირეა დროის ეს მონაკვეთი აღსაწერ მდგომარეობებს შორის, მით უფრო სრულია ეკონომიკური მოძღვრებების – ეკონომიკის ისტორიისა, ანდა ეკონომიკური აზრის ისტორიის გადმოცემა.

ამერიკელმა ეკონომისტმა, ჯონ კლარკმა (John Bates Clark, 1847–1938) პირველმა დაყო ეკონომიკა – როგორც სისტემა – „სტატიკურ“ და „დინამიკურ“ ანალიზებად (Clark 1908[1899]; Clark 1915[1907]). რუსი ეკონომისტის, ნიკოლაი კონდრატიევის (Николай Дмитриевич Кондратьев, 1892–1938), ინგლისელი ეკონომისტების, როი ჰაროდის (Henry Roy Forbes Harrod, 1900–1978) და ჯონ ჰიქსისა (John Richard Hicks, 1904–1989; ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, 1972) და სხვათა მიერ შემუშავებული იყო მეთოდები ეკონომიკის სტატიკური ანალიზისა, რომელიც გამოყენებულია ეკონომიკის დინამიკური შესწავლის დროს (Kondratieff 1925; Harrod 1939; Harrod 1948; Hicks 1946; Hicks 1965; Hicks 1985; შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:137, 172–173). ეკონომიკის როგორც მეცნიერული დარგის ჩამოყალიბება გულისხმობს სტატიკასა და დინამიკას შორის არსებული ლოგიკური წინააღმდეგობების გადალახვასა და სტატიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორიების გამთლიანებას.

დინამიკური ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ეკონომიკაში დროში მიმდინარე ცვლილებებისა და გარდაქმნების სისტემური აღწერა და შესწავლა მისი წინარეისტორიული განვითარების შესაბამისი მოდელების აღდგენის გზით.

მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ აღვადგინოთ ეკონომიკის წინარეისტორია, ანდა ეკონომიკური აზრის წინარეისტორია?

ამ კითხვაზე პასუხი გაცემა სწორედ დინამიკური ეკონომიკის ამოცანას შეადგენს. ეკონომიკის

1 **დინამიკა არის ერთი სტატიკური მდგომარეობიდან მეორე სტატიკურ მდგომარეობაში გადასვლა.**

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

წინარეისტორიისა, ანდა ეკონომიკური აზრის წინარეისტორიის აღდგენა შესაძლებელია დინამიკური ეკონომიკის კვლევის იმ განსაკუთრებული ხერხით, რომელსაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ეწოდება (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:142–145).

რა თქმა უნდა, დინამიკური ეკონომიკის შესწავლას სირთულეები თან ახლავს, რომელიც დაკავშირებულია დროის მიხედვით ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობის გარკვევასთან.

დინამიკური ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შედარებით-ისტორიული მეთოდისა და რეკონსტრუქციის (აღდგენის) საშუალებით დადგინდეს ეკონომიკურ ცვლილებათა შეფარდებითი ქრონოლოგია, რათა წარმოდგინდეს ეკონომიკის განვითარების საფეხურები წინარეისტორიული ხანიდან თანამედროვე ისტორიული (წერილობითი ძეგლებით დამოწმებული) ეპოქის ჩათვლით; მაგრამ ამ მიზნის განხორციელება და მიღწევა ძალიან რთული ამოცანა იქნება, თუ შედარებითი ანალიზის შედეგად ეკონომიკური განვითარების თითოეული საფეხურის აღწერისას გათვალისწინებული არ იქნება მასში არსებული ელემენტებს შორის არსებული კანონზომიერი მიმართებანი. ამდენად, ეკონომიკის სხვადასხვა საფეხურების ერთმანეთისგან გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური სისტემის დინამიკური ანალიზის დროს. დროის მიხედვით, ეკონომიკურ ტრანსფორმაციათა, ცვლილებათა თანმიმდევრობის შეფარდების დადგენა დინამიკური ანალიზის ძირითადი პრინციპია.

ეკონომიკური სისტემების ტრანსფორმაცია დროში ნათლად ჩანს კონკრეტული ეკონომიკის სხვადასხვა პერიოდის წერილობით ძეგლებში მოცემული ეკონომიკური მასალების შედარებისას.

ეკონომიკური სისტემა თანდათანობით იცვლება იმ კვალობაზე, როდესაც მასში – როგორც ელემენტთა არასრულ სისტემაში – მომხდარი ცვლილებები არ იწვევს ელემენტთა ურთიერთდამთხვევას; მაგრამ ეს ცვლილებები ეკონომიკაში გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული, ისინი არ მიმდინარეობს სრულიად თავისუფლად და ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე.

არაადვილია იმის თქმაც, თუ რა იწვევს ეკონომიკური სისტემის დროში მიმდინარე ცვლილებებს. ამგვარ ცვლილებათა ერთ-ერთი დასაშვები ფაქტორი შეიძლება იყოს ადამიანთა წარმოებით ურთიერთობათა განსხვავებულობანი. აგრეთვე დასაშვებია სხვა ფაქტორებიც, მაგ., ადამიანთა მიგრაციები, რომლებიც ეკონომიკური სისტემის ცვალებადობას ახდენს.

ეკონომიკის დინამიკური თვალსაზრისით შესწავლის შემდეგ ჩნდება ახალი ამოცანა ამგვარად წარმოდგენილი ეკონომიკური სისტემების ურთიერთშედარებისა. ეკონომიკის დარგს, რომელიც სწავლობს ეკონომიკური სისტემების ურთიერთშედარებას, ეწოდება შედარებითი ეკონომიკა (Comparative Economics) (Cameron 1961:231–239; Angresano 1996; Djankov et al. 2003; Dallago 2004). შედარებითი ეკონომიკა შეიძლება დაიყოს ორ მიმართულებად. ერთი მიმართულებაა ისტორიულ-შედარებითი ეკონომიკა (Comparative Historical Economics), რომელიც სპეციალური მეთოდების გამოყენებით ახდენს ეკონომიკური სისტემების ურთიერთშედარებას დროსთან მიმართებით (შდრ. Kindleberger 1978:2). მეორე მიმართულებაა ტიპოლოგიური ეკონომიკა (Typological Economics), ანუ ეკონომიკური ტიპოლოგია (Economic Typology) (Grapendaal et al. 1995:123), რომელიც გარკვეული ნიშნების საფუძველზე ახდენს ეკონომიკური მოვლენებისა და ფაქტების სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას. ეკონომიკური ტიპოლოგიის ძირითადი ამოცანაა ეკონომიკური სისტემებს შორის იზომორფიზმისა და ალომორფიზის დადგენა და უნივერსალიების გამოვლენა. ეკონომიკურ ტიპოლოგიას შეიძლება დავუკავშიროთ კონტრასტული ეკონომიკა (Contrasting Economics), ანუ შეპირისპირებითი ეკონომიკა, რომელიც შეისწავლის კონკრეტული ეკონომიკური სისტემას სხვა ეკონომიკურ სისტემასთან შეპირისპირებით და ამ გზით გამოაჩენს მათ შორის არსებულ განსხვავებებს (Turgeon 1963). უნივერსალია, რომელიც დამახასიათებელია ეკონომიკური სისტემებისთვის, შეიძლება იყოს აბსოლუტური ან სტატისტიკური, დედუქციური ან ინდუქციური (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:235–238, 260–270).

ეკონომიკურ სისტემათა ტიპოლოგიური აღწერა შეიძლება იყოს კვალიტატიური, ანუ თვისობრივი და კვანტიტატიური, ანუ რაოდენობრივი, რომლებიც იცვლებიან სისტემების ტრანსფორმაციისას (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:32, 74, 77, 115–117, 124).

ტიპოლოგიური კვლევისას ირკვევა, რომ ეკონომიკური სისტემები რაღაცა ერთიანი, ზოგადი უნივერსალური ეკონომიკური მოდელების განსაზღვრულ შემთხვევებს წარმოადგენენ. აგრეთვე გარკვეულ მონაცემებზე დამყარებით დგინდება ტიპოლოგიური კანონები, უნივერსალური მახასიათებლები, უზოგადესი კანონზომიერებები და პრინციპები, რომელთა მიხედვით ერთ განსახილველ ეკონომიკურ სისტემაში შესაძლებელი ხდება

რომელიმე ეკონომიკური მოვლენის არსებობის პროგნოზირება სხვა ეკონომიკური მოვლენის არსებობიდან გამომდინარე.

ამდენად, ყველა ეკონომიკურ სისტემას საფუძვლად უდევს გარკვეული უნივერსალური ზოგადი მოდელი, რომელიც სხვადასხვა სახით გამოჩნდება კონკრეტულ ეკონომიკურ სისტემაში.

ეკონომიკური განვითარების მოდელირება უკავშირდება მათემატიკური ეკონომიკის (Mathematical Economics) პრობლემატიკას (Takayama 1985; სიჭინავა და სხვ. 2019:228), რაც ეკონომიკური სისტემების კვლევის ორ მოსაზრებას აერთიანებს. ერთია სისტემის სტატისტიკური დამუშავება, რომელსაც ახდენს სტატისტიკური ეკონომიკა (Statistical Economics) (Mandelbrot 1963). მეორეა ეკონომიკური სისტემების შესაბამისი მათემატიკური მოდელების აგება, რომელსაც ახდენს ალგებრული ეკონომიკა (Algebraic Economics) (Schelling 1951). მათემატიკური ეკონომიკა ეკონომიკური ამოცანების ამოსახსნელად იყენებს მათემატიკურ მეთოდებს, ახდენს ეკონომიკური პროცესების ფორმალიზაციას და წარმოადგენს ეკონომიკურ სისტემებს მკაცრად ფორმალიზებული სისტემის სახით.

ეკონომიკის ადრინდელი საფეხურების აღდგენა, ეკონომიკური მოვლენების პროგნოზირება და ამნაირად ეკონომიკის ისტორიული განვითარების, ეკონომიკურ მოვლენათა და ურთიერთობათა რეკონსტრუქცია ხერხდება უძველესი არქეოლოგიური (წერილობითი და არაწერილობითი) ძეგლების შესწავლა-გაშიფრვით. ეკონომიკური სისტემის, როგორც სტატიკური და დინამიკური წყობისა, წინარეისტორიულ ხანაში გავლილი საფეხურების აღდგენა გვაძლევს გარკვეულ მოდელებს, რომლებიც ეკონომიკისა და მათემატიკის ჩასახვა-ჩამოყალიბებასა და განვითარებას უფრო ღრმად აღგვიწერს (კვაშილავა 2020). მხოლოდ ამგვარი კომპლექსური მიდგომა საშუალებას გვაძლევს რეკონსტრუირებული ეკონომიკიდან ისტორიულად დადასტურებული ეკონომიკის დედუქცირება ან, პირიქით, ინდუქცირება იძლევა იმ ფაქტობრივ მონაცემებს, რომელიც ეკონომიკამ და მათემატიკამ გაიარა თავიანთი ფორმირებისა და ისტორიული განვითარების პროცესში დაწყებული წინარეისტორიული ხანიდან თანამედროვე ისტორიული ეპოქის ჩათვლით (კვაშილავა 2020).

კიდევ ეკონომიკური განვითარების ადრეული საფეხურების აღდგენის პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ხდება რაიმე ნიშნით ახლო მყოფი ეკონომიკური სისტემების ერთმანეთთან შედარება და შეპირისპირება.

ეკონომიკური სისტემები ითვლება საერთო ეკონომიკური სისტემიდან ჩამოყალიბებულად, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის სისტემატური ერთგვარობა ხერხდება. ამ პრინციპმა ხელი შეუწყო ისტორიული ეკონომიკის (Historical Economics) სწრაფ განვითარებას (Bisin and Federico 2021; სიჭინავა და სხვ. 2019:137, 139, 160).

ეკონომიკურ სისტემათა საერთო ეკონომიკური სისტემიდან წარმომავლობა ლოგიკურად მიგვიყვანს წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემის რეკონსტრუქციამდე, რომელიც აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით მოხერხდება მრავალი ეკონომიკური სისტემის დაყვანა ამოსავალი ეკონომიკური სისტემის თეორიულად შესაძლებელ სხვადასხვა მოდელზე, რომელიც მიახლოებული იქნება ოდესღაც არსებული ეკონომიკურ სისტემასთან. ასეთ დროს სწორედ ეკონომიკური უნივერსალიები უნდა იქნეს გამოყენებული როგორც აღდგენილი მოდელების რეალურობის დადასტურების მტკიცე კრიტერიუმი. ამ თვალსაზრისით ის მოდელია ნამდვილთან უფრო მიახლოებული, რომელიც მეტად შეესაბამება სტატიკურ ტიპოლოგიურ მონაცემებს; მაგრამ აღდგენილი ეკონომიკური მოდელების მხოლოდ სტატიკურ ეკონომიკურ უნივერსალიებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ ვთქვათ, ეს რეკონსტრუქციები რეალობასთან მიახლოებულია. ასევე აუცილებელი პირობაა აღდგენილი ეკონომიკური მოდელების შესაბამისობა დინამიკურ ტიპოლოგიურ მონაცემებთან. ამდენად, აღდგენილი ეკონომიკური მოდელები მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნება რეალობასთან მიახლოებული, თუ ის დასტურდება სტატიკური და დინამიკური მონაცემების მიხედვით. სატიტიკური და დინამიკური ტიპოლოგიის გათვალისწინება ეკონომიკური მოდელების აღდგენის დროს აუცილებლად იწვევს კლასიკური ეკონომიკური სისტემის გადასინჯვას და ახლებურად გააზრებას.

თუკი ამოსავალი ეკონომიკური სისტემის აღდგენილი მოდელები იმდროინდელი რეალობას ასახავენ, მაშინ ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ტიპოლოგიურად მიღებად უნივერსალურ ეკონომიკურ კანონზომიერებს, რომლებიც დგინდება სხვადასხვა ეკონომიკური სისტემების ურთიერთშედარებისა და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე.

მოკლედ გავიმეოროთ ზემოთქმული. წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემების აღდგენა ხდება წერილობით და არაწერილობითი ძეგლებში

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დადასტურებული ეკონომიკური მოდელების ურთიერთშედარებისა და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე და ერთი ეკონომიკური მოდელიდან უწყვეტი ცვლა მეორე, უწინდელი ეკონომიკური მოდელისკენ, მესამე, უფრო ადეული ეკონომიკური მოდელისკენ და ა.შ. თითოეული მოდელის ტიპოლოგიური დადასტურების შედეგად. ეს ცვლა გრძელდება მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება ის ეკონომიკური მოდელი, რომლის მიხედვით შეიძლება დახასიათდეს წინარეისტორიული ეკონომიკა (Prehistoric Economics) (შდრ. Earle 1982).

აღდგენილი ეკონომიკური მოდელები, რომლებიც ასახავენ ოდესღაც არსებული წინარეისტორიულ ეკონომიკას, იძლევა მისი გავრცელების ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის დადგენასაც.

ეკონომიკის როგორც სისტემის ამგვარი ანალიზით ვლინდება, რომ ეკონომიკური ურთიერთობების კვლევა აუცილებელია მის დამმყარებელ ხალხთა კულტურასთან განუყოფლად, რომელიც მოიცავს საზოგადოების ქცევებს, კანონებს, ენებს, რელიგიებს, ინსტიტუტებსა და ღირებულებებს. ამ მიმართულებას ეკონომიკურ პალეონტოლოგიას (Economic Paleontology) უწოდებენ (Driver 1943).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემების აღდგენა გარკვეული მიახლოებით აღწერს შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობების დამმყარებელ ხალხთა სოციალურ ჯგუფებს, მეურნეობებს, მატერიალურ ყოფასა და კულტურას (შდრ. სიჭინავა 2014:48). ამგვარი აღდგენა, რომელიც ისტორიულ რეალობასთან მიახლოებულია, საშუალებას იძლევა, რომ წარსულისა და აწმყოს ეკონომიკური ურთიერთობები და კულტურები ტიპოლოგიურად ერთმანეთს შედარდეს. ამ აღდგენის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მითოსურ გადმოცემებსა და მითოლოგიურ გააზრებებს (სიჭანავა 1999; სიჭინავა 2011:37), რიტუალურ მოტივებსა და არქეოლოგიურ მასალებს, რომელთა მიხედვით ირკვევა სავარაუდო ეკონომიკის ტიპოლოგიური შესაძლებლობანი.

დასკვნა

ამრიგად, ეკონომიკა როგორც სისტემა მოიცავს განსხვავებულ მიმართულებებს და მოითხოვს მის დახასიათებას სხვადასხვა ასპექტით. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შესაბამისად გამოკვეთილია სათანადო მიმართულებები, რომლებიც ახდენენ ამ ასპექტების უფრო საფუძვლიანად დამუშავებას და ამით ხელს უწყობენ ეკონომიკის გააზრებასაც მის მთლიანობასა და განვითარების პროცესში. ამ მიმართულებების განმტკიცებამ ეკონომიკურ მეცნიერებაში კვლევათა სფერო მნიშვნელოვნად გააფართოვა და მოიცავა საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო დისციპლინების უახლოესი დარგები. ამიტომ ამ დარგებში შემუშავებული მეცნიერული მეთოდების თავმოყრა, შესწავლა და სათანადოდ გამოყენება აუცილებელია წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემების აღდგენისთვის.

REFERENCES

1. **Kvashilava 2020:** Kvashilava, G., Material Evidence of Economic Activity on Near East Monuments, *Business-Engineering*, №3, pp. 214–218 (in Georgian).
2. **Sichinava 2011:** Sichinava, M., Propaedeutics of Economics, *Economics and Business*, pp. 35–40 (in Georgian).
3. **Sichinava 2014:** Sichinava, M., Propaedeutics of Economics: The difficulties and principles of the creation of the course, *Economics and Business*, pp. 45–52 (in Georgian).
4. **Sichinava et al. 2019:** Sichinava, A., Veshapidze, S., Jolia, G., Sekhniashvili, D., Chikviladze, N., Kvaratskhelia, L., Kiria, V., Chikaidze, N., Menabde-Jobadze, E., Kurashvili, G., Kikvadze, T., Shengelia, R., Kaishauri, T., Abuashvili, T., Rostiashvili, T., *Economic Research Methods*, Faculty of Engineering Economic, Media Technology and Social Sciences, Department of Engineering Economics, Tbilisi (in Georgian).
5. **Angresano 1996:** Angresano, J., *Comparative Economics*, Prentice Hall.
6. **Bisin and Federico 2021:** Bisin, A., Federico G. (Ed.), *The Handbook of Historical Economics*, Academic Press.
7. **Cameron 1961:** Cameron, R. E., Comparative Economic Progress: A Review Article, *Comparative Studies in Society and History*, Journal, Cambridge University Press, Vol. 3, Issue 2, pp. 231–239.

8. **Clark 1908[1899]:** Clark, J. B., *The Distribution of Wealth: A Theory of Wages, Interest and Profits*, London: Macmillan & Co.

9. **Clark 1915[1907]:** Clark, J. B., *Essentials of Economic Theory: As Applied to Modern Problems of Industry and Public Policy*, New York: the Macmillan Company.

10. **Dallago 2004:** Dallago, B., Comparative Economic Systems and the New Comparative Economics, *European Journal of Comparative Economics*, Vol. 1, №1, pp. 59–86.

11. **Djankov et al. 2003:** Djankov, S., Glaeser, E., La Porta, R., Lopez-de-Silanes, F., and Shleifer, A., The New Comparative Economics, *Journal of Comparative Economics, Vol.* 31, №4, pp. 595–619.

12. **Driver 1943:** Driver, H, L., Economic Paleontology and Mineralogy – An Appraisal, *AAPG Bulletin*, Vol. 27, №7, pp. 938–947.

13. **Earle 1982:** Earle, K. T., Prehistoric Economics and the Archaeology of Exchange, *Contexts for Prehistoric Exchange*, pp. 1−12.

14. **Grapendaal et al. 1995:** Grapendaal, M., Leuw, Ed., Nelen, H., *A World of Opportunities: Lifestyle and Economic Behavior of Heroin Addicts in Amsterdam*, SUNY Press.

15. **Harrod 1939:** Harrod, R. F., An Essay in Dynamic Theory, *The Economic Journal*, Vol. 49, №193, pp. 14–33.

16. **Harrod 1948:** Harrod, R. F., *Towards a Dynamic Economics: Some Recent Developments of Economic Theory and Their Application to Policy*, London: Macmillan &. Co.

17. **Hicks 1946:** Hicks, J. R., *Value and Capital*, 2nd. Edition, Oxford: Clarendon Press.

18. **Hicks 1965:** Hicks, J., *Capital and Growth*, New York, Oxford: Oxford University Press.

19. **Hicks 1985:** Hicks, J. R., *Methods of Dynamic Economics*, Oxford: Clarendon Press.

20. **Kindleberger 1978:** Kindleberger, C. P., *Economic Response: Comparative Studies in Trade, Finance, and Growth*, Cambridge, MA: Harvard University Press.

21. **Kondratieff 1925:** Kondratieff, N. D., The Static and the Dynamic View of Economics, *the Quarterly Journal of Economics*, Vol. 39, Issue 4, Oxford University Press, pp. 575-583.

22. **Mandelbrot 1963:** Mandelbrot, B., New Methods in Statistical Economics, *Journal of Political Economy*, The University of Chicago Press, Vol. 71, №5, pp. 421–440.

23. **Schelling 1951:** Schelling, T. C., *National Income Behavior: An Introduction to Algebraic Analysis*, New York, Toronto, London: McGraw-Hill Book Co.

24. **Takayama 1985:** Takayama, A., *Mathematical Economics*, Cambridge University Press.

25. **Turgeon 1963:** Turgeon, L., *The Contrasting Economies: A Study of Modern Economic Systems*, Boston: Allyn & Bacon.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

"LAZARUS" BY NINO DARBAISELI

(Mysterious episode and Ekfras sample)

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: March 23, 2022
Published: April 04, 2022
Original scientific article
DOI: https://www.doi.org/10.52340/tne.2022.17.1.09

Khatuna Burchuladze
Sokhumi State University
PhD student in the Faculty of Humanities
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-0046-4430
E-mail: khatuna.burchuladze@mail.ru

ABSTRACT

This article discusses Nino Darbaiseli's poem "Lazarus" and interprets certain details. The study uses a hermeneutic method, analysis. The text is also discussed in terms of lexicography.

"Lazarus" is a postmodernist poem that fits perfectly with the form of Werliber. Postmodernist poetry is characterized by boundless freedom. There is no one and nothing limited here. The message comes by itself, flows like a swift fountain, and at last, it is drained, purified, and reaches the reader, without any hesitation.

It is noteworthy that the story conveyed in the poem is not only heard, but also the reader can see the episode. This even gives us an excuse to say that we perceive it as a specimen of Ekfrasis.

Keywords: *Lazarus, Poetry, Postmodernism, Werlibri, Octava, Anjambemann, Ekfrasis.*

ნინო დარბაისელის „ლაზარე"

(იდუმალებით მოცული ეპიზოდი და ეკფრასის ნიმუში)

ხათუნა ბურჭულაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მოცემული სტატიაში განხილულია ნინო დარბაისელის ლექსი „ლაზარე" და გაკეთებულია ცალკეული დეტალების ინტერპრეტაციაა. კვლევაში გამოყენებულია ჰერმენევტიკული მეთოდი, ანალიზი. ტექსტი განხილულია ლექსთმცოდნეობის კუთხითაც.

„ლაზარე" პოსტმოდერნისტული ლექსია, რომელიც სავსებით შეესაბამება ვერლიბრის ფორმას. პოსტმოდერნისტული პოეზია უსაზღვრო თავისუფლებით ხასიათდება. აქ შეზღუდული არავინ და არაფერია.

სათქმელი თავისთავად მოდის, მჩქეფარე წყაროსავით მოედინება და ბოლოს, იწრიტება, იწმინდება და მკითხველამდე, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, აღწევს.

აღსანიშნავია, რომ ლექსში გადმოცემული ამბავი არამარტო ისმინება, არამედ მკითხველს ეპიზოდის დანახვაც შეუძლია. ეს კი გვაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ იგი ეკფრასისის ნიმუშად აღვიქვათ.

საკვანძო სიტყვები: *ლაზარე, პოეზია, პოსტმოდერნიზმი, ვერლიბრი, ოქტავა, ანჟამბემანი, ეკფრასისი.*

შესავალი

ჩვენს თვალსაზრისსა და შთაბეჭდილებას, ჩვეულებისამებრ, ერთი სიტყვით გამოვხატავთ ხოლმე იმაზე, რამაც პირდაპირ გულსა და გონებაში გაიარა: ზოგმა უკვალოდ, ზოგმა კი „აქ“, ჩვენს გულში, ყოფნის ნიშნად რაღაც დაგვიტოვა.

ჩვენს წარმოდგენაში წიგნები, ტექსტები, პროზაული თუ პოეტური, მომეწონა, არ მომეწონა - ამ პრიმიტიული ნიშნით ლაგდება ხოლმე და სხვათა შორის, ბიბლიოთეკის თაროზეც ასეთი თანმიმდევრობით ჩამწკრივდებიან ავტორები.

პოსტმოდერნისტული პოეზია უსაზღვრო თავისუფლებით ხასიათდება. აქ შეზღუდული არავინ და არაფერია. შინაგანად მოზღვავებული ენერგია, შესაძლოა, ზვავის მოვარდნას ჰგავდეს, რომელიც სულში ვერ ეტევა და ბობოქრობს. სათქმელი თავისთავად მოდის, მჩქეფარე წყაროსავით მოედინება და ბოლოს, იწრიტება, იწმინდება და მკითხველამდე, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, აღწევს.

ძირითადი ტექსტი

ნინო დარბაისელის შემოქმედებას დიდი ხანია თვალყურს ვადევნებთ და სიამოვნებას გვანიჭებს მისი განსაკუთრებული სტილით დაწერილი ლექსები. პირველი შთაბეჭდილება „მათე-პამპულამ“ გამოიწვია ჩვენში, საიდანაც უხვად იფრქვევა მოკვდავისათვის გასაგები ემოცია. სიტყვის მომჭირნეობითა და ფრაზის სისადავით გამორჩეული პოეტის ხელწერა ბევრ საფიქრალს გვიჩენს. რამდენიმე ხნის წინ კი „ლაზარემაც“ დაიდო ჩვენს გულში ბინა და დღემდე გვაწვალებს, ბუნებრივია, კარგი გაგებით.

ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა სახარების მნიშვნელოვანი ნაწილი და, ამავე დროს, ქრისტეს სასწაულებიდან ერთ-ერთი იდუმალებითა და სიდიადით მოცული პასაჟია. ამ თემაზე რამდენიმე ტექსტი წამიკითხავს, მაგალითად, იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, დავით წერედიანის „ლაზარე“, კატო ჯავახიშვილის „ჰიმალაი“, თუმცა ახლა მხოლოდ ხსენებული ავტორის ლექსით შემოვიფარგლები. უბრალოდ დავძენ, რომ ლაზარეს სახის ტრანსფორმაციის რამდენიმე მხატვრული სახე არსებობს და ზოგიერთ ტექსტში, მაგალითად, დავით გურამიშვილის „დავითიანში“, ფრაგმენტულადაც კი გაიელვებს ლაზარეს სახელი:

„გამაგონე ხმა საყვირთა, ამოიღე ხმა მჭახეო,
ვით ლაზარეს დამარხულსა აღდექ -
თავსა დამძახეო!“

ყველამ კარგად ვიცით, როგორ აღადგინა იესომ ლაზარე. ისიც ცნობილია, რომ მან ამ სასწაულის შემდეგ 30 წელი იცხოვრა, თუმცა როგორი იყო საიქიოგამოვლილი ადამიანის მიწაზე არსებობა, ამაზე სახარება დუმს.

ჩვენს წარმოდგენაში მრავალი აზრი, ვერსია ისახება, როგორ გააგრძელებდა ცხოვრებას საიქიოდან მობრუნებული ლაზარე, თუნდაც იესოს ჯვარზე გაკვრის შემდეგ, ან იქნებ სულაც მოიძულა არსებობა უფლის ამბის შემყურემ?! ამასთან დაკავშირებით ბევრი შეიძლება ვიდავოთ, ვიკამათოთ, ჰიპითეზები წამოვაყენოთ. ნინო დარბაისელის ლექსი კი თითქოს პასუხს სცემს ამ კითხვების ნაწილს, რომლებმაც გაიელვეს ჩვენს გონებაში ეპიზოდთან დაკავშირებით.

პოეტი ტექსტს ლაზარეს სიტყვებით იწყებს:

„მართა მართალია,
დამთავრდა მარიამ,
ჯვარს აცვეს იესო,
განიბნენ სხვანი
და ვიდრე განიხვნენ
კარნი ზეცათანი,
მიაწყდა ქვეყანას
გოდების ღვარი“

(ნ. დარბაისელი, 2004)

სიტყვა „დამთავრდა“ ტრაგიზმის გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. ლექსის დროითი არეალი იმდენად მცირეა, რომ თავისუფლად შეგვიძლია ვიფიქროთ, ეს წითელი პარასკევია, როცა უფლის უახლოესი ადამიანი იწყებს ფიქრს საკუთარი სიცოცხლის მნიშვნელობაზე.

მკითხველს ექმნება წარმოდგენა, თუ როგორი შეიძლება იყოს საიქიოდან მობრუნებული, გაცოცხლებული კაცი, რომელიც „ცოცხალს არ გავდა“. ვფიქრობ, ამ სიტყვებში აშკარად იკვეთება უფლისადმი მორჩილება. სიცოცხლეც და მკვდრე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

თით აღდგენაც ერთ სიტყვაშია გაერთიანებული: „მორჩილად ვიცოცხლე, მორჩილად აღვსდექი“.

ლაზარეს ღაღადისი ,,მჯეროდა, მძინარე მკვდრეთით აღვსდგებოდი“ ადამიანებს რწმენას უნერგავს და ეხმარება, დაუბრუნდნენ პირველსაწყისს.

პოეტმა აქამდე ის სცენა წარმოგვიდგინა, როდესაც დებთან ერთად ხალხი დამწუხრებულია, გლოვაა და თვით იესოც ტირის: „ტიროდა იესოც“. ამ ფრაზაში ქრისტეს ორბუნებოვნება უნდა ვიგულისხმოთ. (ლ. ბრეგვაძე, 2004) ოთხი დღის შემდეგ, იესოს სიტყვები „გამოვედ, გამოვედ“ აცოცხლებს ლაზარეს. საიქიოს ბნელში მყოფი უნდა გავიდეს სინათლეში - ცოცხალთა სამყაროში, სააქაოში, მზისქვეშეთში.

ლაზარეს აღდგინების მიუხედავად , ხალხმა, საზოგადოებამ მაინც ვერ ირწმუნა იესოს ღვთაებრიობა:

„კვლავ კართან მომდგარი
ვერ გიცნო ვერავინ,
მგზავრი თუ ეგონე,
შორისკენ მსწრაფი.
„გამოვედ, გამოვედ!“-
შენი ხმა მომესმის
რაბი რა ბინდია,
მოვდივარ, რაბი!“

ლაზარეს მკვდერეთით აღდგენის დროს იესოს ყველა მიეგება, ახლა კი ის შეუცნობელია, რადგან უარყვეს როგორც ღმერთი. უფლის ხილვა მხოლოდ ლაზარესთვისაა შესაძლებელი. იგი ესწრაფვის, წავიდეს ცოდვილი მიწიდან და მესიასთან ჰპოვოს სასუფეველი, მარადიულობა განუწესოს თავის სულს.

ნაწარმოებში გვხვდება ისეთი ადგილი, რომელიც ზეადამიანურ, ზეამაღლებულ გრძნობებს აღძრავს ჩვენში, რომლისთვისაც კონკრეტული სახელი ვერ დაგვირქმევია:

„ამბობდით,
რომ აღმდგარს
დამჩემდა დუმილი,
რომ რაღაც მთავარი
დებსაც დავუმალე,
ვიყავი ცოცხალი
და ცოცხალს არ ვგავდი,
მდუმარე, მდუმარე...“

იდუმალებითაა მოცული ლექსის შემდეგი ნაწილიც:

„მარად მოფუსფუსე
და დაუზარელი,
დამზრალი მორჩივით
ჩქამობდნენ დები,
მორჩილად აღვსდექი,
მეორედ ცოცხალი
მეორედ ვკვდები.“

მკითხველი სრულიად თავისუფალია გადაწყვეტილებაში, იფიქროს ისე, როგორც მას სურს. აქ პოეტი არ გვზღუდავს, არც გვძაბავს, პირიქით, უკიდეგანო სივრცეს გვთავაზობს აღქმისთვის, განსჯისთვის.

ლექსი დახვეწილი და რიტმულია. ამავე დროს ბგერების გამეორება სმენით ეფექტს აძლიერებს. ტექსტში გადმოცემული ამბავი მხოლოდ კი არ ისმინება, არამედ მისი დანახვაც შესაძლებელია. აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ ტექსტის განსაკუთრებული სახეობა - ეკფრასისი, რომლის მიზანია, მსმენელის თვალს გამოკვეთილად დაანახვოს ის, რასაც მთხრობელი აღწერს. ლიტონი აღწერისაგან განსხვავებით, ესაა მიზანმიმართული ცდა, მსმენელი აქციოს მაყურებლად. მოცემული ლექსიც აცოცხლებს ჩვენ თვალწინ იმ სცენას, რომელსაც ლაზარეს აღდგინება ჰქვია:

„განბანილს ზეთით და
შესუდრულს ტილოთი,
მესმოდა, მარიამ,
როგორ დამტიროდით,
მაგრამ გარინდული
სასწაულს ველოდი,
ტიროდა იესოც,
გლოვობდა არე,
მჯეროდა, მძინარე
მკვდრეთით აღვსდგებოდი,
რაბი მიხმობდა:
„გამოვედ გარეთ!“

ამ სიტყვებიდან გამომდინარე, მკითხველი გრძნობს და, ამავე დროს, ხედავს ამ სცენას. მართალია, შავ-თეთრ ფონზე კადრებად იშლება ეპიზოდი, მაგრამ ავტორი თანამონაწილედ გვხდის ამბისა, რომელიც ძალზედ ამაღელვებელი და სასიამოვნოა.

არქაიზმებით დატვირთული ლექსი სახარებისეულ ეპოქასთან კიდევ უფრო გვაახლოებს და მთელი სიმძაფრით შეგვაგრძნობინებს მის სიდიადეს. ბიბლიური წლების სურნელს თითქოს მკითხველი გრძნობს და ამიტომ ეპიზოდი ისეთივე ნაცნობია ჩვენთვის, როგორც უფლის სასწაული.

უპრიანი იქნება, რამდენიმე სიტყვა ლექსის ფორმაზეც ვთქვათ. ერთი შეხედვით, ეს არის ჩვეულებრივი, ტრადიციული, კონვენციური ლექსის ფორმა. თითოეული სტროფი რვა ტაეპიანია, რომელიც ექვსი მარცვლისაგან შედგება. შიგადაშიგ ხუთმარცვლიანი ტაეპებიც გამოანათებს: „განიბნენ სხვანი... გოდების ღვარნი... გლოვობდა

ასე... რაბი მიხმობდა: გამოვედ გარეთ!“ მხოლოდ ერთგან გვხვდება შვიდმარცვლიანი ტაეპი: „ვერ გაიცნო ვერავინ“.

ამ შემთხვევაში ლექსის სხვადასხვა ფორმის ნიშნებიც იკვეთება. კონკრეტულად, რვატაეპიანი სტროფი ოქტავისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო ტაეპიდან ტაეპში თუ გადატანილია სიტყვის ნაწილი, ეს ანჟამბემანის ნიშანია. მაგალითად, „განბანილს ზეთით და / შესუდრულს ტილოთი“.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრება არ ნიშნავს იმას, რომ ლექსი აუცილებლად რომელიმე სახეობას უნდა მივაკუთვნოთ. ვფიქრობ, ეს ვერლიბრის ნიმუშია, რომლის ტაეპებიც არათანაბარზომიერია და განლაგებულია სალექსო სტრიქონებად.

ნებისმიერმა ტექსტმა სულის სიმები უნდა შეგირხიოს, იგრძნო, ჩაწვდე და შეეხო კიდეც. ვერლიბრის ფორმის ლექსში დიდი დატვირთვა შინაარსობრივ მხარეს აქვს და პოეტი ამით მანიპულირებს მკითხველზე. ნინო დარბაისელს კი ეს ნამდვილად გამოუვიდა.

სიცოცხლის დაბრუნება, მკვდრეთით აღდგენა ლაზარეს სახელთან იყო, არის და იქნება დაკავშირებული. ეს ყველაფერი კი პოეტის ხილვებში ცნაურდება სხადასხვა ფერითა და შეგრძნებით, რომელიც მკითხველს ყოველთვის უბიძგებს, დაუბრუნდეს დაკარგულ ედემს, სადაც ოდესღაც ბედნიერად და უცოდველად ცხოვრობდა.

REFERENCES:

1. d. Guramishvili, Davitiani, Complete Collection of Essays, Tbilisi, 2004.
2. N. Darbaiseli, Lazarus, Jour. Our Writing, 13-19.II, 2004.
3. Ioane Zosime, Praise and Glory in the Georgian Language, Where is Another Georgia, Tbilisi, 1990.
4. Z. Kiknadze, For the Artistic Transformation of Lazarus's Face in Georgian Literature, Journal. Georgian Heritage, XIV, 2010.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ომარ შუდრა - 80 წლის!

ყველა ადამიანს რაღაც განსაკუთრებული თვისება და ხასიათი აქვს, რაც განასხვავებს სხვა ადამიანებისაგან. ამ მხრივ ბატონი ომარი ჩემთვის არის პუნქტუალობის ეტალონი. ადამიანი, რომელსაც ყველაფერი დაგეგმილი აქვს და წერტილ-მძიმეთი დაწყებული ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით უნდა გაასწოროს და შეასრულოს. როცა გავიგე, რომ 80-ის გახდა, ძნელად დავიჯერე, ისე კარგად გამოიყურება. მასთან საუბარი ყოველთვის რაღაცას იძლევა, ყოველთვის სიახლე შემოაქვს რედკოლეგიის მუშაობაში, მას წლების მანძილზე არაერთი რუბრიკა მიჰყვადა ჩვენს ჟურნალში და დღესაც აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალთან...

ამ დიდი გამოცდილების მქონე პიროვნებასთან გადავწყვიტეთ ინტერვიუს სახით გამოგვეხატა ჩვენი პატივისცემა და საჯაროდ მიგველოცა საიუბილეო თარიღი.

- ბატონო ომარ, მოგვიყევით თქვენი განათლების შესახებ, სად სწავლობდით, რა გზა გაიარეთ ამ მიმართულებით?

- დავამთავრე თბილისის 30-ე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. მუსიკის პედაგოგი (ფორტეპიანო) მუსიკალურ კარიერას მირჩევდა, თუმცა ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) ფიზიკის ფაკულტეტზე. ელექტრონიკა მიყვარდა, ამიტომ კიბერნეტიკის განხრით დავამთავრე.

გამანაწილეს იქვე, ნოდარ ამაღლობელის (მომავალში აკადემიკოსი, თსუ-ს რექტორი, ცნობილი საზოგადო მღვაწე) ლაბორატორიაში. ვიყავი მისი პირველი ასპირანტი და მის მიერ შექმნილი კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი 15 წლის განმავლობაში, რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი... დისერტაციაზე წლობით ვმუშაობდი მოსკოვის ოლქში (ქ. დუბნა), ბირთვული კვლევის საერთაშორისო ცენტრში, გამოთვლითი ტექნიკის ლაბორატორიის უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე. უცხოელი კოლეგების ზეგავლენით დავინტერესდი მენეჯმენტით, მუშაობის კულტურით.

- როცა პროფესიონალ ეკონომისტებს, რომლებიც ლექციებით, სტატიებით, წიგნებით გიცნობენ, ვეუბნები, რომ თქვენ განათლებით ფიზიკოსი ხართ, გაოცებული რჩებიან. როგორ აღმოჩნდით „ჩვენს წრეში“?

- 90-იან წლებში, როცა ჩემი ხელფასი უნივერსიტეტში ორ დოლარამდე დაეცა (კუპონებში), დავიწყე ლექციების კითხვა „დოკუმენტალისტიკაში“, სტატიების წერა მენეჯმენტზე.

დიდი სტიმული მომცა ჟურნალ „ეკონომისტის“ რედაქტორთან, იშვიათ პროფესიონალთან და ადამიანთან, იგორ კრავცოვთან თანამშრომლობამ. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩემი რუბრიკა „მართვის კულტურა“ გაგრძელდა ჟურნალებში „საქართველოს ეკონომიკა“ და „ახალი ეკონომისტი“. შემდეგ გავხდი ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ვარ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

- თქვენ წლების განმავლობაში ასწორებდით (კორექტურა, სტილისტიკა) ჩვენი ჟურნალის ქართულ და რუსულ სტატიებს, ამ მიმართულებით თანამშრომლობდით სხვებთანაც. ჩვენი ჟურნალისტების, მეცნიერებათა დოქტორების, ჩინოვნიკების ფონზე საიდან ასეთი მახვილი თვალი?

- არ ვიცი, ალბათ 15 წლიანი სწავლული მდივნობის პერიოდში გამომიმუშავდა ეს ჩვევა... რატომღაც მიყვარს ტექსტებში კირკიტი.

- 25 წელია კოლეჯებში, უნივერსიტეტებში, კურსებზე საქმისწარმოებას თქვენი წიგნით - „ოფისის მართვის საკითხები“ - ასწავლიან...

- დიახ, წიგნი 1996 წელს, ერთ თვეში დავწერე. გამოსცა სტატისტიკის დეპარტამენტმა (დღევანდელი „საქსტატი“), მანვე გააკეთა რეალიზება. მას სახელმძღვანელოს გრიფი არ აქვს (არც მიცდია), მაგრამ ფაქტობრივად იქცა სახელმძღვანელოდ. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე წიგნი გამოიცა (ზოგიერთი მეორე გამოცემით). ყველა ჩემი წიგნის, სტატიის ნახვა თავისუფლად შეიძლება ინტერნეტში.

- გამიგია, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ჟიულ შარტავას (საქართველოს ეროვნული გმირი) ეხმარებოდით წლობით, საზოგადოებრივ საწყისებზე...

- ჟ. შარტავა მაშინ ჩვენი ახალგაზრდობის ლიდერი იყო. მე, როგორც საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, მთხოვეს ჩამეტარებინა ნიჭიერ მოსწავლეთა („მცირე აკადემია“) პირველი საზაფხულო სკოლა ქ. ქუთაისში (1977წ.). ასეთი ბანაკები შემდეგ ტრადიციად იქცა და სხვა ქალაქებშიც ტარდებოდა.

- თქვენს სადარბაზოსთან მემორიალური დაფაა სსრკ სპორტის დამსახურებულ ოსტატზე სერგო შუდრაზე. სადაური გვარია?

- მამა ბორის ბაიჭაძის ფეხბურთელთა გუნდში თბილისის „დინამოს“კარს იცავდა. ის საგურამოდან იყო, მისი დედა ოქროპირიძის ქალი გახლდათ. მეუღლე კი - თამარ გაჩეჩილაძე. პაპაჩემი ახალგაზრდობაში დასავლეთ უკრაინიდან ჩამოსულა. კარგი ზეინკალი იყო და ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით, (ილიას დაცვის უფროსი უკრაინელი ჰყოლია) იქვე, საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლის შრომის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ილიაობასთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული რამდენიმე ექსპონატი დღესაც საგურამოში ილიას მუზეუმში ინახება. მათივე თხოვნით, მისი პირადი საბუთები მათ გადავეცით.

- ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით გილოცავთ საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას.

ლეონიდ ქარჩავა
The New Economist-ის
მთავარი რედაქტორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ალექსანდრე კვაშილავა - მრავალმხრივი უნარისა და ნიჭის მფლობელი

რამდენიმე თვის წინ ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს უხუცეს წევრს, ბატონ **ალექსანდრე კვაშილავას** დაბადების დღე მივულოცეთ. დღეს კი, სამწუხაროდ, გამოსათხოვარი წერილის წერა გვიწევს.

მოკლედ გაგახსენებთ მის ბიოგრაფიას: დაიბადა 1930 წლის 10 ივნისს მარტვილის რაიონის კურზუს თემის სოფელ გოდოგანში. ზოგადი საშუალო განათლება მიიღო კურზუს საშუალო სკოლაში 1937-1948 წლებში. 1949 წელს ქუთაისში დაამთავრა საბუღალტრო კურსები, და 2 წელი იმუშავა ბუღალტრად მარტვილის რაიონში. 1951-1953 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში (გერმანიაში), საიდანაც ოფიცრის წოდებით დაბრუნდა. შემდეგ ისევ ბუღალტრად იმუშავა ერთ წელზე მეტხანს, ხოლო 1955 წლის პირველი ნახევრიდან, როგორც ოფიცერმა, მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სადაც 2004 წლამდე (49 წელი) იმუშავა. აქედან პრაქტიკულ სამუშაოზე ძირითადად გამოძიებაში, სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოებზე. არცერთ ამ სამუშაოს შესრულებაში ან შემსრულებლების ხელმძღვანელობაში ხარვეზი არ ჰქონია.

ბატონი ალექსანდრე გახლდათ სპეცსამსახურის პოლკოვნიკი, ომისა და შრომის ვეტერანი, 11 მედლისა და ღირსების ორდენის კავალერი, მრავალი ქების სიგელისა და სხვა ჯილდოების მფლობელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარჩინებული მუშაკი, რეფერირებადი და რეცენზირებადი, მათ შორის, საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, პოეტი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეასა“ და სხვადასხვა 5 დარგობრივი აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამართალში 18 წიგნის, 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 700-ზე მეტი სამეცნიერო რეკომენდაციის ავტორი. მისი რეკომენდაციების დანერგვით მიღებულია დიდი ეკონომიკური ეფექტი და სხვა მრავალი სოციალური სარგებელი. გამოქვეყნებული აქვს ლექსთა ორი კრებული.

ბატონ ალექსანდრე კვაშილავას ღვაწლი დიდია სამშობლოს წინაშე. ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მის სულს.

სარედაქციო საბჭოს სახელით
ლეონიდ ქარჩავა
The New Economist-ის მთავარი რედაქტორი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ახალი The New
ეკონომისტი ECONOMIST
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge